

მართლმსაჯულება № 3 '19
კანონი

Justice and Law Legal Journal
#3(63) 2019

N3(63)'19

მართლმსაჯულება



კანონი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი
The Scientific-Practical Legal Journal of the Supreme Court of Georgia and the Association of Judges of Georgia

რედაქტორი ნინო ძიდიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბეჰაური

ნომერზე მუშაობდა:
მარინე ვასაძე
დიზაინი:
ბესიკ დანელია



საპარტამენტო მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
მზია თოდუა
გიორგი მიქაუტაძე
ზურაბ ძლიერიშვილი
ჯონი ხეტურიანი

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
GIORGI MIKAUTADZE
ZURAB DZLIERISHVILI
JONI KHETSURIANI

Editor:
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

5 ბადრი ნიპარიშვილი
სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურება
INTENTIONAL PROCRASTINATION OF THE COMMENCEMENT OF CRIMINAL
PROSECUTION
BADRI NIPARISHVILI

19 დავით ათაბეგაშვილი
„მკაცრი შესაბამისობის“ სტანდარტი და მისი ფარგლები
დოკუმენტური აკრედიტივის და საბანკო გარანტიის საფუძველზე
ანგარიშსწორებისას
"STRICT COMPLIANCE" STANDARD AND ITS SCOPE DURING THE PAYMENT
BASED ON THE DOCUMENTARY CREDIT AND BANK GUARANTEE
DAVID ATABEGASHVILI

34 ლალი აბრამიშვილი, ასმატ გუგავა
ფაქტობრივი ქორწინება და მისი სამართლებრივი რეგულირების
საკითხი
UNREGISTERED MARRIAGE AND ITS LEGAL REGULATION
LALI ABRAMISHVILIM, ASMAT GUGAVA

52 სოფიო დემეტრაშვილი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგადი ასპექტები
GENERAL ASPECTS OF PERSONAL DATA PROTECTION
SOPHIO DEMETRASHVILI

66 ნინო მინდიაშვილი
ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის
კანონიერი ძალა და მისი საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა
THE LEGAL FORCE OF AN INDIVIDUAL ADMINISTRATIVE-LEGAL ACT AND ITS
PROCEDURAL-LEGAL SIGNIFICANCE
NINO MINDIASHVILI

84 თამარ იოსელიანი
არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მემკვიდრეობის
უფლების სამართლებრივი რეგულირება
LEGISLATIVE REGULATION OF THE RIGHT OF INHERITANCE OF
THE PERSONS ENAGED IN AN UNREGISTERED MARRIAGES
TAMAR IOSELIANI

ქეთევან ზაქარეიშვილი
96 კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენა ხელშეკრულების
სტანდარტულ პირობებზე

IMPACT OF THE PRINCIPLE OF GOOD FAITH ON THE STANDARD TERMS OF A
CONTRACT
KETEVA ZAKAREISVILI

მათე ხვედელიძე
108 შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების მიმართ
მოქმედი მატერიალური და პროცესუალური ვადები

MATERIAL AND PROCEDURAL TERMS AGAINST DISPUTES FROM LABOR
RELATIONSHIPS – ANALYSIS OF COURT PRACTICE
MATE KHVEDELIDZE

ეკატერინე ნინუა
129 საქართველოს საოჯახო სამართლის ინსტიტუტების ზოგადი
დახასიათება

GENERAL DESCRIPTION OF FAMILY LAW INSTITUTIONS OF GEORGIA
EKATERINE NINUA

თამარ მსხვილიძე
138 უკუმითითების პრინციპი უცხოურ სასამართლო სისტემაში
THE PRINCIPLE OF REFERENCE BACK IN FOREIGN JUDICIAL PRACTICE

TAMAR MSKHVILIDZE

ნინო ძიძიგური
147 კანონის ენის გოგირთი საკითხის შესახებ
REGARDING SEVERAL ISSUES OF THE LANGUAGE OF LEGISLATION

NINO DZIDZIGURI

რევენგია პროფესორ გიორგი გოგიაშვილის სახელმძღვანელოზე
155 „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“

სისხლისსამართ- ლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურება

ბადრი ნიპარიშვილი

*თეორიწაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა
და საბაუნის ლექტორი*

სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურება სისხლის სამართლის პროცესში ის საკითხია, რომელიც არც თუ ისე „პოპულარული“ ინსტრუმენტია დაცვის უფლების განხორციელების პროცესში. ამის მიზეზი ბევრია, რაც უკავშირდება პრაქტიკაში მისი რეალიზაციის სირთულეებს, შიდა კანონმდებლობის არასაკმარის რეგულაციებსა და სასამართლო პრაქტიკის სიმცირეს, ასევე, ეს საკითხი ყველა შემთხვევაში, ავტომატურად არ წამოიჭრება. სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი¹ (შემდეგში – სსსკ) საკმაოდ ზოგადი ხასიათის პრინციპებით შემოიფარგლება თუმცა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა² (შემდეგში – ევროპული კონვენცია) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდეგში – ევროპული სასამართლო) პრეცედენტული სამართლით, მასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურადაა განხილული, რაც მისი არსის გაგებაში გვეხმარება. სწორედ აღნიშნული საკითხია ჩვენი კვლევის მიზანი.

1. სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში, ამ კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი შემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი შესვლიდან 3 დღე-ღამის ვადაში. სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საჩივრის დაკმაყოფილება არის ამ პირის მიმართ აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლოს განჩინება შეიძლება ამ კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით გასაჩივრდეს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

1.1. მიმართვის სუბიექტი

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ თავად სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილი ზოგად ტერმინს გთავაზობს მიმართვის სუბიექტთან მიმართებით და მოიხსენიებს როგორც პირს. შესაბამისი საჩივრით მიმართვის სუბიექტის დადგენა ასევე, მჭიდრო კავშირშია ამგვარი მიმართვის წარმოშობის მომენტთან, ამიტომ ორივე საკითხს ერთდროულად განვიხილავთ.

ეს მომენტი იგივეა, როგორც იმ ბრალდებულის მიმართ, რომელიც არ ემალება გამოძიებას, ისე ძებნილი ბრალდებულის შემთხვევაში და შეადგენს ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანიდან 24 საათს. საქართველოს სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბრალი წაყენებული უნდა იქნას დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს, 24 საათისა. თუმცა, დადგენილების გადაცემის ადრესატი, პირველ შემთხვევაში, თავად ბრალდებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში – ადვოკატი, რადგან იმავე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, პროკურორი ან მისი დავალებით გამოძიებელი ბრალის წასაყენებლად იძახებს ბრალდებულის ადვოკატს და გააცნობს ბრალდების შესახებ დადგენილებას, რაც ჩაითვლება ბრალის წაყენებად. ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ ბრალდებული/ადვოკატი უარს განაცხადებენ დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტის ხელმოწერით დადასტურებაზე, რაც იმავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად მათი უფლებაა, სწორედ უარის თქმის მომენტი უნდა ჩაითვალოს საჩივრით მიმართვის უფლების წარმოშობის დროდ.

ზემოაღნიშნული მსჯელობის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურების ადრესატი შეიძლება იყოს როგორც ბრალდებული, ისე ადვოკატი. თუმცა, სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილის მე-3 წინადადება გამორიცხავს ბრალდებულის გარდა სხვა პირის მიერ საჩივრის

შეტანის უფლებამოსილებას. კერძოდ, ამ ნაწილში აღნიშნულია, რომ საჩივრის დაკმაყოფილება არის ამ პირის (იგივე პირია ნახსენები პირველ წინადადებაშიც) მიმართ აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველი... ანუ თუ ეს პირი ის პირია, რომლის მიმართაც არსებობს ბრალდება, მაშინ იგი მხოლოდ ბრალდებული შეიძლება იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, ამგვარი საჩივრით სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტია პირი, რომლის მიმართაც გაჭიანურდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ანუ ბრალდებული, ვინაიდან თუ საჩივრის დაკმაყოფილება არის ამ პირის მიმართ აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, მაშინ ამ პირში მხოლოდ ბრალდებული იგულისხმება.

ასეთ ვითარებაში, თუ ამ პირში მხოლოდ ბრალდებული იგულისხმება, მაშინ ძებნილ ბრალდებულს აღნიშნული უფლებამოსილება შეეზღუდება, ვინაიდან მას მოუწევს გამოცხადება, რათა შესაბამისი საჩივარი შეიტანოს, რაც პრინციპულად არასწორი მიდგომაა და ძებნილ ბრალდებულს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. მეორე მხრივ, თუ მივიჩნევთ, რომ ძებნილი ბრალდებულის შემთხვევაში, ადვოკატს მივანიჭებთ საჩივრის შეტანის უფლებას, მაშინ არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდება იმ ბრალდებულის ადვოკატი, რომელიც არ ემალება გამოძიებას. შესაბამისად, 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული საჩივრის სუბიექტად ასევე, უნდა მივიჩნიოთ ადვოკატიც.

ამ მოსაზრების სისწორეზე ისიც მიანიშნებს, რომ აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი სსსკ-ის 207-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომელიც გასაჩივრების სუბიექტად ადვოკატსაც მიიჩნევს. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, [...] განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა. ამიტომ არალოგიკური იქნება, თუ ადვოკატის წარმომადგენლობა სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული საქმისწარმოებისას, მხოლოდ ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებით შემოიფარგლება და არა ასევე, პირველადი საჩივრის წარდგენით. გარდა ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის პროცესში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები სწორედ ამ მიმართებით და ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ერთად, მათ ადვოკატსაც მიენიჭა გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად გასაჩივრების შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება აქვთ როგორც ბრალდებულს, ისე მის ადვოკატს.

1.2. პროცედურა

სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, ბრალდების დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში, ამ კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სისხლისსამართლებრივი

დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი, რომელსაც სასამართლო იხილავს მისი შესვლიდან 3 დღე-ღამის ვადაში. სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

ვინაიდან ამგვარ საჩივართან დაკავშირებით სპეციალური ნორმები არ არსებობს, გამოყენებული უნდა იქნას სსსკ-ის მე-13 თავით (შუამდგომლობა, საჩივარი და მათი განხილვის ზოგადი წესი) გათვალისწინებული დებულებები, კერძოდ, 95–99-ე მუხლები. სხვათა შორის, ამგვარ საჩივართან დაკავშირებული ვადები აღნიშნული მუხლებითა და 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით ისედაც იდენტიურია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, თუ რატომ ჰქვია ამგვარ პროტესტს საჩივარი და არა მაგალითად, შუამდგომლობა.

რაც შეეხება საჩივრის განხილვის ფორმას, სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით საჩივრის განხილვის ძირითადი წესია საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა. თუმცა, თუ სასამართლოსთვის არ არსებობს დამატებითი კითხვის ნიშნები, ბუნდოვანი საკითხები, თუნდაც საჩივრის მოთხოვნა არ ქმნის გაურკვევლობას და მას აქვს საქმის სრული მასალები, მაშინ სასამართლოს შეუძლია ზეპირი მოსმენის გარეშეც განიხილოს საჩივარი.

სსსკ-ის 95-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საჩივარს უნდა დაერთოს მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მასალები, მათ შორის, იმ ახალი გარემოებებისა, რომლებიც არ იყო ცნობილი გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას. მიუხედავად ამ მოთხოვნისა, საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი არ შეიძლება გახდეს საჩივართან ერთად საქმის მასალების წარუდგენლობა, ვინაიდან მაინც მნიშვნელოვანია, რომ როდესაც საუბარია მტკიცებულებების დაშვებულად ცნობაზე, საქმის სრული მასალა (მტკიცებულებები) გამოთხოვილ იქნას იმ ორგანოდან, ვინც აწარმოებს გამოძიებას, დედნის სახით.

მიღებული განჩინება საჩივრდება სსსკ-ის 207-ე მუხლით დადგენილი წესით შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელიც საჩივარს იმავე მუხლით დადგენილი წესით განიხილავს 72 საათის განმავლობაში, დასაშვებობის შემოწმების ეტაპიც მხედველობაშია მისაღები. დასაშვებობის განჩინება დასაბუთებული უნდა იყოს და იგი ეხება საჩივრის როგორც ფორმალურ, ისე შინაარსობრივ მხარეს.

1.3. საჩივრის ადრესატი. მიღებულ გადაწყვეტილებაზე საჩივრის ადრესატი

სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურებაზე საჩივრის შეტანა ხდება ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, ხოლო ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლოს განჩინება შეიძლება ამ კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით გასაჩივრდეს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ საჩივრის განხილვისა და შედეგის ყველა ასპექტი მიემართება სასამართლოებს და არა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს – პროკურატურას. მხოლოდ ეს ერთადერთი მინიშნებაა, რომ საჩივარი შეტანა ხდება ასევე, ზემდგომ პროკურორთან, თუმცა მოვლენების შემდგომი განვითარება ბუნდოვანი და უფრო მეტიც, სარისკოდაც კი, გამოიყურება. თუ ბრალდებული/ადვოკატი ამგვარ საჩივარს შეიტანს ზემდგომ პროკურორთან და იგი არ დააკმაყოფილებს მას, ასეთ ვითარებაში საჩივრის ავტორი ვერ აგრძელებს მისი უფლების დაცვას, რადგან სსსკ არ ითვალისწინებს რაიმე რეგულაციას ამ მიმართებით. გასაჩივრება ეხება მხოლოდ სასამართლო განჩინებას და არა ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებასაც. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევები მკაცრად განსაზღვრული და რეგლამენტირებულია სსსკ-ით და არ ტოვებს მისი ინტერპრეტაციის საშუალებას.

ზემდგომი პროკურორის მიერ საჩივრის განხილვას სამართლებრივ გაურკვევლობამდე სხვა მხრივაც მივყავართ. დავუშვათ, რომ ზემდგომი პროკურორი მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა შეგნებულად გაჭიანურდა, ისმის კითხვა რა გადაწყვეტილებას იღებს იგი. 169-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, აღნიშნულის შედეგი კონკრეტული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობაა. ცალსახაა, რომ ზემდგომი პროკურორი მტკიცებულებებს დაუშვებლად ვერ ცნობს, მაშინ რა ბედი ელის ამ მტკიცებულებებს? სსსკ-ის მიხედვით, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა. გარდა ამისა, ზემდგომი პროკურორის ლოგიკის განვითარების შემთხვევაში, ადგილი აღარ რჩება მტკიცებულების დაუშვებლობისთვის, ვინაიდან ამ ეტაპზე ვერ წინასასამართლო სხდომა არ შემდგარა და შესაბამისად, ამ ინფორმაციის მტკიცებულებად წარდგენა ისედაც შეიძლება არ მოხდეს, ვინაიდან აღნიშნული სრულად ბრალდების მხარეზე დამოკიდებული, ხოლო დაცვის მხარე ისედაც არ წარადგენს მათ, ვინაიდან მისი მიზანი ამგვარი საჩივრის შეტანისას სწორედ ამ მტკიცებულებების საქმიდან ამოღებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნდოვანია თუ რას ემსახურებოდა კანონმდებლის მიზანი, როდესაც საჩივრის განხილვის სუბიექტად ზემდგომ პროკურორსაც მიუთითებდა. ამასთან ვაწყდებით სამართლებრივი ხასიათის პრობლემებს, რის გამოც უმჯობესი იქნება, თუ ზემდგომ პროკურორზე მითითება აღარ იარსებებს და მხოლოდ სასამართლოში იქნება შესაძლებელი საჩივრის შეტანა. ამ მიმართებით, დღევანდელი ნორმა იგივე პრინციპითაა ჩამოყალიბებული, როგორც ეს 1998 წლის სსსკ-ში იყო და შეიძლება ითქვას, ავტომატურად მოხდა მისი გადმოტანა მოქმედ საპროცესო კოდექსში.

1.4. გამოძიების შეგნებული გაჭიანურება

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ ტიპის საჩივრების განხილვას უკავშირდება, გამოძიების შეგნებულად გაჭიანურების ფაქტის დადგენაა, რაც იწვევს იმ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას, რომლებიც მოპოვებულია გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი. აღნიშნული ნორმის მნიშვნელობა

ის არის, რომ დაცვის მხარეს შესაძლებლობა ეძლევა ზემოქმედება მოახდინოს ბრალდების მხარის მოქმედებების ეფექტიანობაზე და დროული გადაწყვეტილება იქნას მიღებული პირთან მიმართებით, რაც მისი დიდი ხნით გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნის პრევენციაა. ამასთან, დაცვის მხარეს დევნის დროული დაწყებით შესაძლებლობა ეძლევა სრულყოფილად ჩაერთოს საქმეში, გაეცნოს მტკიცებულებებს, თავად მოიპოვოს მტკიცებულებები, გაასაჩივროს გამომძიებლებისა და პროკურორების მოქმედებები და გადაწყვეტილებები, განაცხადოს აცილებები, მონაწილეობა მიიღოს ბრალდების მხარის საგამოძიებო მოქმედებებში, საბოლოოდ კი, დაცვის უფლება განახორციელოს დროულად, ეფექტურად და არა ფიქციურად.

1.4.1. ფორმალური ასპექტი

ამ მომენტის დასაწყისი კანონით პირდაპირ განსაზღვრულია, თუმცა იგი შეფასებითა და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო აფასებს, თუ როდის წარმოიქმნა პირისათვის ბრალდების წარდგენის საფუძველი, რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის არსებობასთან. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. იმავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

რაც შეეხება, ამ ეტაპის დასასრულს, იგი ცალსახად უნდა დაუკავშირდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტს, ვინაიდან გაჭიანურების მომენტი სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურებას უკავშირდება, ანუ იქამდე არსებულ ვითარებას, ვიდრე პირი ბრალდებულის სტატუსს შეიძენს, ვინაიდან აღნიშნული მომენტიდან, იგი იძენს ბრალდებულის უფლებებს და აღარ იმყოფება გაურკვეველ მდგომარეობაში, რაც წარმოადგენს სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილის დაცვის სფეროს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ).

გასაზიარებელია თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის შემდეგი მოსაზრება: „მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ პირს ბრალდება უნდა წაეყენოს დადგენილების გამოტანიდან 24 საათში და პროკურორი განსაზღვრავს ბრალის წაყენების დროსა და ადგილს, მაგრამ აქვე აღნიშნულია, რომ ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას, პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, მაგრამ „უფლებამოსილება“ ნიშნავს დისკრეციას იმ გაგებით, რომ პროკურორს შეუძლია წაუყენოს ბრალდება და შეუძლია უარი თქვას მასზე

(არ წაუყენოს პირს ბრალდება), მაგრამ „უფლებამოსილება“ არ გულისხმობს ბრალდების მხარის სურვილის შემთხვევაში, ბრალის წაყენებას არაგონივრულ ვადაში. ყველა შემთხვევაში პირისათვის ბრალი წაყენებული უნდა იყოს გამოძიების სტადიაზე შეკრებილი საკმარისი მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ (ანუ მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი), აუცილებლად გონივრულ ვადაში და არ შეიძლება ეს გონივრული ვადა გაგრძელდეს უსასრულოდ, წლებით ან თვეებით.“³

შესაბამისად, ის გარემოება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, სულაც არ ნიშნავს, რომ ამ უფლებამოსილების შეუზღუდავი გამოყენების უფლება აქვს პროკურორს. ამ უფლებამოსილების შეზღუდვის ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილია, რომელიც დაცვის მხარეს ანიჭებს უფლებას კონტროლი განახორციელოს პროკურორის მოქმედებასა და გადაწყვეტილებებზე.

1.4.2. შინაარსობრივი ასპექტი

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. აღნიშნული უფლება რეგლამენტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა ამ კოდექსით დადგენილ ვადებში. იმავე კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად კი, გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს, შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა. გონივრული ვადის ტესტი არ სცილდება სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ფარგლებს და პირიქით, ამ ვადაში საქმის გონივრულ გამოძიებას ეხება, ამიტომ მისი შეფასება პირობითად ნებისმიერ პერიოდთან მიმართებით შეიძლება შემოწმდეს.

აღნიშნულ საკითხს ეხება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი, რომლის თანახმად, [...] წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება [...]. მნიშვნელოვანია არა მარტო თავად კონვენციის ეს მუხლი, არამედ მისი რეგულირებისა და გამოყენების სფერო, რაც ევროპულ სასამართლოს ფართოდ აქვს განმარტებული და დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებებით (პრეცედენტული სამართლით).

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ გაჭიანურებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, წინასწარი გამოძიებისას (წინასასამართლო გამოძიებისას).⁴ რაც შეეხება გონივრული ვადის სტანდარტს, სასამართლომ დაადგინა და არაერთ საქმეში განმარტა მისი შეფასების კრიტერიუმები, კერძოდ, „სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა

უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პრეცედენტული სამართლით დადგენილი კრიტერიუმები, კერძოდ, საქმის სირთულე, განმცხადებლისა და კომპეტენტური ორგანოების ქმედებები.⁴⁵

მართალია, ერთი საკითხია, გამოძიების გაჭიანურება და მეორე – დევნის, თუმცა, მეორე შემთხვევაც სწორედ ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, ვინაიდან საბოლოოდ, გამოძიება დევნის დაწყებას ემსახურება, ხოლო მისი გაჭიანურებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაც ჭიანურდება.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, საწყისი ეტაპია, როდესაც პირის საქმეზე დაწყებულია გამოძიება და თუმცა, მას ოფიციალურდ ბრალდება არ წარედგინა, თავად ამ ფაქტმა (გამოძიების მიმდინარეობამ) დაიწყო მასზე გავლენის მოხდენა.⁶

გარდა ამისა, აუცილებელია დადგინდეს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურება შეგნებულ, გაცნობიერებულ ხასიათს ატარებდა, რაც ბუნებრივია არ გულისხმობს აუცილებლად ამგვარი კონკრეტული პირდაპირი განზრახვის დადასტურებას და ყველა გარემოების მხედველობაში მიღებითაც შეიძლება დადგინდეს ამგვარი ფაქტი. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ თუ პროცესის გაჭიანურება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ შესაბამისი ორგანოები არ მოქმედებდნენ საკმარისი გულმოდგინებითა და სიბეჯითით, ასეთი გაჭიანურებაც გამოიწვევს კონვენციის დარღვევას და ამგვარი პროცესის გაჭიანურება შეუთავსებელია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით მოთხოვნილ გულმოდგინებასთან.⁷ გამოძიებისა და დევნის გაჭიანურება იმ მხრივაც ურთიერთკავშირშია, რომ გამოძიების მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება, რაც მიმართულია დანაშაულის შესაძლო ჩამდენი პირის დადგენისა და მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისაკენ. თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურება ნიშნავს დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის აშკარად არსებობის მიუხედავად, კონკრეტული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიუცემლობასაც, რაც აუარესებს ამ პირის (ფაქტობრივად ბრალდებულის) სამართლებრივ მდგომარეობას, იგი ვერ სარგებლობს მთელი რიგი უფლებებით, რომლებიც უზრუნველყოფს პროცესის შეჯობრებითობასა და დაცვის უფლების სათანადო განხორციელებას და არა მხოლოდ ამას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების საჩივრის განხილვისას, სასამართლომ წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით უნდა იმსჯელოს, კონკრეტულად როდის შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტი და ამასთან, გამოტანილ იქნა თუ არა სწორედ აღნიშნულ მომენტში ან აღნიშნული მომენტიდან გონივრულ ვადაში, პირის მიმართ ბრალდების შესახებ დადგენილება.

1.4.2.1. საქმის სირთულე

ცხადია, სამართალწარმოების (გამოძიების) ხანგრძლივობა იზრდება საქმის სირთულის პროპორციულად. ამასთან, აღნიშნული კრიტერიუმი არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს ვადის გონივრულობის შესაფასებლად თუმცა, მნიშვნელოვანია საბოლოო შეფასებისათვის. საქმის სირთულის განსაზღვრისას, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას დანაშაულის სახე თუმცა, თავად რაიმე კონკრეტული დანაშაული (მისი სახეობა) არ შეიძლება განმაპირობებელი იყოს, რომ ეს საქმე აუცილებლად რთულია; სირთულის ძირითადი კრიტერიუმი ასევე, შესაძლოა გახდეს ბრალდებულთა და მოწმეთა (დაზარალებულთა) რაოდენობა; მხარეთა რაოდენობა; საქმის მასალების მასშტაბურობა, ასევე, არსებობს თუ არა იმის მტკიცებულება, რომ სამართლებრივი მოცემულობები გახდა გამოძიების შეფერხების საფუძველი.

1.4.2.2. ბრალდებულის ქმედება

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ორგანოები პასუხისმგებელი არიან სისხლის სამართალწარმოების ორგანიზებასა და მართვაზე, დაცვის მხარის დამოკიდებულებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მის ხანგრძლივობაზე. დაცვის მხარის თანამშრომლობას კი, პირიქით, შეუძლია დააჩქაროს პროცესი, ხოლო საჩივრებით, წარდგინებებით, შუამდგომლობებითა და სხვა ტიპის ქმედებებით საპირისპირო შედეგის მიღებაა მოსალოდნელი და შესაძლებელი. ასევე, გასათვალისწინებელია ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მის მიერ საქმის განხილვის გადადების მრავალჯერადი მოთხოვნა. განსაკუთრებით გამოძიების სტადიაზე შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეს ბრალდებულის ხშირ გამოუცხადებლობას საგამოძიებო ორგანოში და მის მიერ გამოძიებისათვის თავის არიდებას – მიმალვას. ასევე მნიშვნელოვანია, გაირკვეს ბრალდებულის მხრიდან ხომ არ ხდებოდა ხელშეშლა ან რამდენად იყო იგი ხელმისაწვდომი შესაბამისი ორგანოებისათვის, რამდენად შეიძლება ბრალდებული ჩაითვალოს პასუხისმგებლად გამოძიების გაჭიანურებისათვის.

1.4.2.3. კომპეტენტური ორგანოების ქმედება

რეალურად, ვადის გონივრულობის შეფასებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ამ კრიტერიუმს ენიჭება. კომპეტენტური ორგანოების (აქ იგულისხმება შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა) ქმედებების შეფასებისას მთავარია გაირკვეს, ჰქონდა თუ არა ადგილი დაუსაბუთებელ გაჭიანურებას ან უმოქმედობას; რამდენად იყო იგი გამოწვეული კომპეტენტური ორგანოების ბრალით და ეს უმოქმედობა რამდენად შეიძლება გამართლებულ იქნას; რამდენად საკმარისი გულმოდგინებითა და სიბეჯითით მოქმედებდნენ ისინი. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ისიც მისაღებია, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს წინააღმდეგობებს ან სიძნელეებს, რომლებიც ხელს უშლიან გამოძიების პროგრესს გარკვეულ სიტუაციაში.“⁴⁹

როდესაც საქმე გამოძიების გაჭიანურებას ეხება, ბრალდების მხარე თავს ვერ იმართლებს იმით, რომ იგი ცდილობდა უფრო მყარი მტკიცებულებები მოეძებნა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად, ვინაიდან დევნის დაწყების საფუძველი დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდია (საფუძვლიანი ეჭვი), რაც საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველაზე დაბალი მტკიცებულებითი სტანდარტია. რა თქმა უნდა, როდესაც საუბარია დევნის დაწყების გაჭიანურებაზე, საქმეთა სიმრავლე და საგამოძიებო ორგანოების მოუცლელობა სათანადო არგუმენტი არ არის აღნიშნული სიკეთის საპირწონედ. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ადეკვატური ზომები, რათა მოახდინოს სახელმწიფო ორგანოების ეფექტიანი ორგანიზაცია. ასე რომ, როგორც კი გამოძიების პროცესში გამოიკვეთება პირი, რომლის მიმართაც ასეთი სტანდარტით ეჭვის მიტანის საფუძველი არსებობს, უნდა მოხდეს მისი ბრალდებაც.

1.5. მტკიცებულებათა დაუშვებლობა

სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, საჩივრის დაკმაყოფილება აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით, არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველია, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.

1.5.1. პერიოდი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული

როგორც ზევით აღინიშნა, მტკიცებულებათა დაუშვებლობა მიემართება არა ყველა მტკიცებულებას, რომელიც ამ საქმეზეა მოპოვებული, არამედ მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც დევნის დაწყების საკმარისი საფუძვლის შექმნიდან პირის ოფიციალურ ბრალდებამდე იქნა მოპოვებული.

1.5.2. დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილება

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მტკიცებულებათა დაუშვებლობის კონტექსტში უკავშირდება იმას, თუ ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე, იმავე სასამართლომ, რომელმაც დაადგინა გაჭიანურების ფაქტი, თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ.

აღნიშნული საკითხის კომენტარისას გამოითქვა მოსაზრება, რომ „სასამართლოს მიერ, მით უფრო ზემდგომი პროკურორის მიერ დაცვის მხარის საჩივრის დაკმაყოფილება ავტომატურად არ იწვევს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას. აღნიშნული საფუძველით მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე შუამდგომლობა დაყენებულ უნდა იქნას წინასასამართლო სხდომაზე (თანახმად, სსსკ-ის 72-ე და 219-ე მუხლებისა).“⁴⁹ ეს მოსაზრება ერთი შეხედვით ლოგიკურია, ვინაიდან თუ ამჟამად მოქმედი რედაქციის პირობებში, ზემდგომ პროკურორსაც შეუძლია გაჭიანურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და იგი თავად ვერ ცნობს მტკიცებულებებს დაუშვებლად, მაშინ ერთადერთი გზა

ამ შედეგის მისაღწევად წინასასამართლო სხდომაზე შესაბამისი შუამდგომლობის დაყენებაა, თუმცა, მნიშვნელოვანია ამ საკითხის სიღრმისეული გაანალიზება. ამასთან, ეს მოსაზრება ალოგიკურიცაა იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდების მხარეს ისედაც შეუძლია ინფორმაცია მტკიცებულებად არ წარადგინოს, ამ შემთხვევაში კი, მისი დაუშვებლად ცნობის შემთხვევა არასდროს იარსებებს.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ იცნობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც არა წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, არამედ სხვა მოსამართლეც ცნობს მტკიცებულებებს დაუშვებლად. ამ კოდექსის 112-ე მუხლის მე-ნაწილის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმებისას, მოსამართლეს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. აღნიშნული იმაზე მიანიშნებს, რომ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის ექსკლუზიური უფლებამოსილება მხოლოდ წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს არ ეკუთვნის.

ასევე, ზემოაღნიშნული ლოგიკით, საქმეში წინასასამართლო სხდომამდე იარსებებს „დაუშვებელი მტკიცებულებები“, რომლებიც სათანადო გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში, საქმეში განაგრძობს არსებობას და ბუნებრივია, ფორმალურად მათი გამოყენებაც შესაძლებელია, რაც რისკებს მხოლოდ დაცვის მხარისთვის წარმოადგენს.

გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურებაზე საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სპეციალური წესით, მაშინვე, რაც ამ გადაწყვეტილების შემდგომი გადასინჯვის შესაძლებლობას აღარ ტოვებს. ამიტომ ისმის კითხვა, რატომ არ უნდა მოხდეს შესაბამისი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა იმავე გადაწყვეტილებით, რომლითაც გაჭიანურების ფაქტი დადგინდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უფრო მიზანშეწონილია, რომ ერთი გადაწყვეტილებით, სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურებასთან ერთად მოხდეს შესაბამისი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობაც.

1.5.3. დაუშვებლობის საგანი

მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ნორმა დაუშვებლობას უკავშირებს არა სისხლის სამართლის საქმეს ზოგადად და მასზე მოპოვებულ, არამედ კონკრეტულ ბრალდებასთან დაკავშირებით მოპოვებულ მტკიცებულებებს, რომლის წარდგენაც მოხდა პირისთვის. აღნიშნული გულისხმობს, რომ საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლომ პირველ ყოვლისა, უნდა გაარკვიოს, რომელი მტკიცებულებები ეხება კონკრეტულ წარდგენილ ბრალდებას და ამის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. გამოძიების მიმდინარეობისას შეიძლება გამოიკვეთოს ახალი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც უთითებენ ამ ან სხვა პირთა მიერ სავარაუდო დნაშაულის ჩადენაზე, ამიტომ ვიდრე არ მოხდება ახალ ფაქტებთან დაკავშირებით

ბრალდების ოფიციალური წარდგენა, სასამართლო მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას მათთან მიმართებით არსებული მტკიცებულებების დაუშვებლობაზე იმსჯელოს. როდესაც საუბარია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურებაზე და მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობაზე, სწორედ იმ მტკიცებულებებზეა საუბარი, რომელიც იმ ბრალდებას უკავშირდება, რომლის წარდგენის გაჭიანურებაც მოხდა და არა ყველაფრის, რაც სადავო პერიოდში იქნა მოპოვებული. ამის საწინააღმდეგო განმარტების პირობებში დევნის დაწყება მუდმივად ჩამოკიდებული იქნება სრულიად აბსტრაქტულ იმედზე დანაშაულის სხვა შემთხვევის გამოვლენის თაობაზე, რაც ავტომატურად მისაღებს გახდიდა ნებისმიერ გაჭიანურებას, აღნიშნული კი, პრინციპულად ეწინააღმდეგება სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით დაცულ სიკეთეს.

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხზე მსჯელობისას, ასევე მნიშვნელოვანია გაირკვეს რა ტიპის მტკიცებულებებზეა საუბარი, მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებებზე, თუ ყველა საპროცესო მოქმედებაზე. უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ დაუშვებლობა შეეხება ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც პირის ბრალეულობის შესახებ ინფორმაციას ეხება და არა ასევე, კლასიკური გაგებით საპროცესო დოკუმენტებს, როგორებიცაა მაგ., დაზარალებულად ცნობის დადგენილება, დაკავების ოქმი და ა. შ. გარდა ამისა, პრინციპულ პრობლემას არ წარმოადგენს, რომ დაუშვებლობა გავრცელდეს არა მარტო მტკიცებულებაზე მთლიანობაში, არამედ მის კონკრეტულ ნაწილზეც, რაც უფრო შესაბამისი და ლოგიკური იქნება ზემოაღნიშნული ნორმის რეალიზაციის კონტექსტში.

დასკვნა

ამდენად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული ინსტიტუტი რეალური საშუალებაა დაცვის მხარემ ზემოქმედება მოახდინოს ბრალდების მხარის არაჯეროვან მოქმედებებზე და დროულად განხორციელდეს დაცვის უფლებები, დროულად ჩაერთოს ბრალდებული როგორც მხარე, რაც წარმოშობს მის უფლებებს და პროცესი რეალურად ხდება მეჭიბრებითი. ვიდრე არ არსებობს ოფიციალური გადაწყვეტილება დევნის დაწყების თაობაზე, დაცვის მხარე მოკლებულია მთელი რიგი იმ უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას, რომლებიც ბრალდებულს შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობით აქვს მინიჭებული. ამასთან, აღნიშნული ეფექტიანი საშუალებაა თვითნებობისა და ზემოქმედების რისკების შესამცირებლად, რაც შეიძლება მოჰყვეს პირის განუჭვრეტელი ვადით გაურკვევლობაში ყოფნას, რომლის დროსაც პირმა იცის, რომ იგი სავარაუდო ბრალდებულია, თუმცა ოფიციალური ბრალდება არ ხდება, რაც მას მოწყვლად მდგომარეობაში ამყოფებს. რისკი, რომელსაც ბრალდების მხარე სწევს, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, იმდენად დიდი აღმოჩნდეს, რომ საერთოდ უმნიშვნელო გახადოს შემდგომი დევნის გაგრძელება. საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ კარგი იქნება, თუ კანონმდებელი შესაბამის ცვლილებებს განახორციელებს და უფრო ნათელს და გასაგებს გახდის ამ ნორმის შინაარსს, რაც უკავშირდება მიმართვის სუბიექტს, დააზუსტებს საჩივრის განმხილველ სუბიექტთა წრეს და შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოთი, ასევე, მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სავალდებულო გახდება იმავე განჩინებით, რომლითაც დადგინდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებული გაჭიანურება.

შენიშვნები:

- ¹ 2009 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია.
- ² მიღებულია რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1992 წლის 12 მაისს, სსმ, 24(31), 23/05/1999.
- ³ იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2014 წლის 24 დეკემბრის #გ/1299 განჩინება.
- ⁴ იხ.: გადაწყვეტილება საქმეზე CORIGLIANO v. ITALY, (განაცხადი #8304/78), 1982 წლის 10 დეკემბერი, პარ. 49-50.
- ⁵ იხ.: დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე PÉLISSIER AND SASSI v. FRANCE, (განაცხადი #25444/94), 1999 წლის 25 მარტი, პარ. 67 (აგრეთვე იხ.: საქმეები – Kemmache v. France (nos. 1 and 2), 1991 წლის 27 ნოემბერი, პარ. 60; სტოიანოვა და ნედელკუ რუმინეთის წინააღმდეგ (STOIANOVA and NEDELICU v. ROMANIA, Applications nos. 77517/01 and 77722/01), 2005 წლის 4 აგვისტო, პარ. 24.
- ⁶ იხ.: გადაწყვეტილება საქმეზე KANGASLUOMA v. FINLAND, (განაცხადი #48339/99), 2004 წლის 20 იანვარი, პარ. 26.
- ⁷ იხ.: გადაწყვეტილება საქმეზე PANEK v. POLAND, (განაცხადი #38663/97), 2004 წლის 8 იანვარი, პარ. 35.
- ⁸ იხ.: გადაწყვეტილება საქმეზე LULUYEV AND OTHERS v. RUSSIA, (განაცხადი #69480/01), 2006 წლის 9 ნოემბერი, პარ. 92.
- ⁹ იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, Commentary on the Criminal Procedure Code of Georgia, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბ., 2015, გვ. 498.

INTENTIONAL PROCRASTINATION OF THE COMMENCEMENT OF CRIMINAL PROSECUTION

BADRI NIPARISHVILI

*Judge at Tetrtskaro District Court, PhD Student of Tbilisi State University,
Lecturer at Ilia State University and Sabauni*

Thus, it can be said that the legal means provided for in Article 169, paragraph 9 of the CCP is a real possibility for the defense party to influence on the improper actions of the prosecution and to safeguard the timely performance of the defense rights and to engage the accused as a party as soon as possible that generates its rights and the process becomes adversarial. While there is no official decision on the initiation of the persecution, the defense party lacks the possibility to realize the rights of the defendants granted by domestic and international laws. In addition, this is an effective way to reduce the risk of arbitrariness and to exert influence upon the free will of a person, which may result uncertainty over the during which the person knows that he is allegedly accused, but there is no official charge that makes person vulnerable. The risk that the prosecution makes, in some cases, may be so great that it is less likely to continue further persecution at all. Finally, it would be better, if the legislator will change and clarify the meaning of this provision, specifying the circle of subjects of appeal and the institution entitled trying complaints and it will be limited only by the court, as well as the admissibility of evidence will become mandatory with the same decision.

„მკაცრი შესაბამისობის“ სტანდარტი და მისი ფარგლები დოკუმენტური აკრედიტივის და საბანკო გარანტიის საფუძველზე ანგარიშსწორებისას

დავით ათაბეგაშვილი

*სამართლის დოქტორი, ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
ასოცირებული პროფესორი*

1. „მკაცრი შესაბამისობის“ სტანდარტის შინაარსობრივი ანალიზი

დოკუმენტირებული ხასიათის გადახდის და უზრუნველყოფის საშუალებები, პირობითი საბანკო გარანტია და დოკუმენტური აკრედიტივი მიზნობრივად წარმოადგენენ როგორც ძირითადი ვალდებულების შესრულებისათვის სამსახურისათვის განკუთვნილ გადახდის საშუალებებს, ასევე მონაწილე მხარეების, მყიდველის და გამყიდველის¹ ერთმანეთის მიმართ უნდობლობის რისკის დაზღვევის საშუალებას.²

როგორც დოკუმენტური შინაარსის საბანკო გარანტია, ასევე აკრედიტივი წარმოშობს დამოუკიდებელ სამართლებრივ ურთიერთობებს, რასაც ხაზგასმულია ჯერ კიდევ, საკონტრაქტო გარანტიების შესახებ 1978 წლის N325 პუბლიკაციის მიღებამდე, საერთაშორისო სავაჭრო პალატის, ICC-ის უნიფიცირებული წესებისა და პრაქტიკის, UPC-ის ყველა ვერსიით. ამასთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატის UPC 500-ის 4(b) მუხლი ითვალისწინებდა წარდგენილი დოკუმენტაციის შინაარსობრივად შემოწმების წესს, რაც თავის-

თავად კავშირშია ძირითად კონტრაქტთან, მაგრამ მხოლოდ საპრეზენტაციოდ შეთანხმებული დოკუმენტაციის ფარგლებში, მაგრამ UPC 600-ის 4(b) მუხლი განსხვავებულად აყალიბებს აღნიშნულ წესს. მოცემული დებულება, ანგარიშსწორების მიზნებისათვის მყიდველის მომსახურე ბანკს აკისრებს ნებისმიერი მოთხოვნის შესრულების ვალდებულებას, თუ აკრედიტივით გათვალისწინებულ პირობას წარმოადგენს მაგალითად, ძირითადი კონტრაქტის ასლის, პროფორმა ინვოისის ან სხვა დოკუმენტების წარდგენა და ეს პირობა შესრულებულია.

დამოუკიდებლობის პრინციპი მჭიდრო კავშირშია დოკუმენტირებულ ხასიათთან. კერძოდ, დამოუკიდებლობა უკავშირდება მხოლოდ დოკუმენტაციას, ანგარიშსწორება ხდება წარდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებში, რაც გამორიცხავს ძირითად კონტრაქტთან პირდაპირ კავშირს. აღნიშნული სავალდებულო სტანდარტი ხაზგასმულია UPC 600-ის მე-5 მუხლით, რომლის მიხედვითაც, ანგარიშსწორების მიზნისათვის, ბანკი იხილავს წარდგენილ დოკუმენტაციას და არა საქონლს, სერვისს ან შესრულებას, რომელთაც დოკუმენტაცია შეიძლება ეხებოდეს.

დოკუმენტირებული ხასიათი არ ნიშნავს, რომ პრეზენტირებულ დოკუმენტებს ყოველთვის მტკიცებულების დანიშნულება აქვს. დისპოზიციურობაზე დაყრდნობით, მონაწილე მხარეების ნების გამოვლენაზე დამოკიდებული, გაითვალისწინებენ ანგარიშსწორების მარტივ პირობას დოკუმენტაციის ფორმალური წარდგენის გზით, თუ მას მინიჭებენ მტკიცებულებით ხასიათს. შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ თანხის მიღება, შესაძლებელია უშუალო კავშირში იყოს ძირითად ვალდებულებასთან მხოლოდ საპრეზენტაციოდ შეთანხმებული დოკუმენტაციის ფარგლებში ან დოკუმენტაციის პრეზენტაცია ფორმალურ, მარტივ ხასიათს ატარებდეს. დოკუმენტირებული ხასიათის ოპერაციების შემთხვევებში, მხარეები განსაზღვრავენ, თუ სად იქნება ზღვარი ბენეფიციარის მოთხოვნის უზრუნველმყოფი საგარანტიო ვალდებულებასა და ძირითად ვალდებულებას შორის. ბენეფიციარის მიერ წარსადგენ დოკუმენტაციას ექნება ფორმალური ხასიათი, თუ მოცემული დოკუმენტაციით აუცილებელი იქნება ძირითადი კონტრაქტით შეთანხმებული რომელიმე პირობის დამტკიცება. შედეგად, აკრედიტივის მსგავსად, დოკუმენტირებული შინაარსის საბანკო გარანტიის შემთხვევაში, მხარეები ადგენენ, თუ სად გადის ზღვარი ერთი მხრივ, საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობასა და მეორე მხრივ, ძირითად სამართლებრივ ურთიერთობას შორის, მხოლოდ და მხოლოდ პრეზენტირებული დოკუმენტაციის ფარგლებში.

როგორც აღინიშნა, სტატიის მიზანს ასევე წარმოადგენს, საგარანტიო ვალდებულების შესრულების პროცესში, საგარანტიო თანხის გადახდის წესისა და გარანტის ვალდებულებების განსაზღვრა. თუ რა ვალდებულებებს აკისრებს ICC-ის უნიფიცირებული წესები გარანტს და რა სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს მან ბენეფიციარის მოთხოვნის შესრულებისას.³ ასევე, საგარანტიო ვალდებულების შესრულების პროცესში, რა სტანდარტებით იმოქმედოს გარანტმა, რომ ერთდროულად, თანაბრად დაიცვას როგორც ბენეფიციარის, ასევე პრინციპალის ინტერესები. საგარანტიო ურთიერთობაში მონაწილე მხარეთა თანასწორობის დაცვისათვის რა მნიშვნელობა ენიჭება გარანტის კეთილსინ-

დისიერ ქმედებას. ასევე, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს გარანტიის ქმედება, რომ აღნიშნული კეთილსინდისიერად ჩაითვალოს.

ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაში გარანტს შუალედური როლი ეკისრება. ის ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერების ფარგლებში და ამგვარად, უზრუნველყოს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის fair balance-ის, იგივე სამართლიანი ბალანსის დაცვა. დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვის გათვალისწინებით, გარანტის პასუხისმგებლობას პირდაპირ უკავშირდება, თუ რამდენად საფუძვლიანად აქვს შესრულებული მას საგარანტიო დოკუმენტაციით მისთვის დაწესებული მოთხოვნები. ამასთან, დამოუკიდებლობის პრინციპი არ არის აბსოლუტური.⁴ დამატებით, ბანკს შეუძლია თანხის გადახდა არ განახორციელოს, თუ დოკუმენტების პრეზენტაციის პროცესში სახეზე იქნება „თაღლითობის“ ან სხვა გამონაკლისის არსებობის ფაქტი.⁵ ასევე, მხარეთა თანასწორობის დასაცავად, გარანტმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ერთი მხრივ, დამოუკიდებლობის პრინციპი და მეორე მხრივ, „მკაცრი შესაბამისობის“⁶ პრინციპი.⁷ აღნიშნულის საფუძველზე, ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის აკრედიტივის ან საბანკო გარანტიის პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, არ უნდა განხორციელდეს ბენეფიციარისათვის თანხის გადახდა.⁸

ICC-ის უნიფიცირებულ წესებში გვხვდება „მკაცრი შესაბამისობის“ სტანდარტი, რომლის საფუძველზეც, გარანტის პასუხისმგებლობის ფარგლები და შესაბამისად, საბანკო გარანტიის ძირითადი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლობის ხარისხი, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ უპირობო და პირობითი საბანკო გარანტიის შემთხვევაში:

– უპირობო გარანტიის შემთხვევაში, გარანტის პასუხისმგებლობის ფარგლებს ადგენს თავად საგარანტიო დოკუმენტი. ის ვალდებულია ზედმიწევნით შეასრულოს საბანკო გარანტიის მოთხოვნები. მაგრამ თუ გაცემულია პირობითი გარანტია და გათვალისწინებულია პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის დოკუმენტირებული მტკიცება, ბენეფიციარის მიერ წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე დაადგინოს და შეისწავლოს, აქვს თუ არა პრინციპალს ძირითადი ვალდებულება დარღვეული. ამასთან, პრინციპალი მხოლოდ საბანკო გარანტიაში მითითებული დოკუმენტაციის საფუძველზე იკვლევს და იღებს გადაწყვეტილებას საგარანტიო თანხის გადახდასთან დაკავშირებით. გარანტის პასუხისმგებლობის ფარგლებს სცდება დამატებითი ფაქტების, გარემოებების თუ დოკუმენტაციის შესწავლის ვალდებულება. საგარანტიო თანხის გადახდის საკითხი ძირითად ურთიერთობაზე არაპირდაპირ, „დოკუმენტირებული შესაბამისობის სტანდარტის“ ფარგლებში არის დამოკიდებული. ამ დამოკიდებულების ხარისხი თავად პირობითი საბანკო გარანტიის შინაარსით განისაზღვრება. ხოლო ამავდროულად, დამოუკიდებელია იმ ნაწილში, სადაც გარანტი მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით შემოიფარგლება, არ იჭრება ძირითად სამართლებრივ ურთიერთობაში და არ იკვლევს, რამდენად შეესაბამება რეალობას, ბენეფიციარის მიერ მისთვის წარდგენილი დოკუმენტაციით მითითებული, პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი.

2. დოკუმენტური კრედიტივი და „მკაცრი შესაბამისობის“ სტანდარტი

კომერციული, ტრადიციული აკრედიტივი ორი ძირითადი თვისებით ხასიათდება. კერძოდ, მასში გაერთიანებულია „Principle of Documentary Compliance“ ანუ დოკუმენტირებული, იგივე მკაცრი შესაბამისობის პრინციპი და „Independence Principle“ – დამოუკიდებლობის პრინციპი.⁹ აღნიშნული პრინციპები გულისხმობს საპრეზენტაციო დოკუმენტაციის აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობის კრიტერიუმს და ძირითადი სამართლებრივი ურთერთობისაგან მის დამოუკიდებლობას.¹⁰ ავტონომიურობის პრინციპი დოკუმენტირებული აკრედიტივის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს,¹¹ რომელიც საგარანტიო პრაქტიკისა და საერთაშორისო რეგულაციების მიხედვით, ასევე, მოგვევლინა დოკუმენტირებული ხასიათის საბანკო გარანტიების¹² სავიზიტო ბარათად. მნიშვნელოვანია, რომ საგარანტიო ვალდებულების ავტონომიურობის პრინციპმა რეალური განხორციელება ჰპოვოს. აღნიშნული, აუცილებლად უნდა გამოიხატოს საგარანტიო დოკუმენტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების რეალურ დამოუკიდებლობაში, საგარანტიო ურთერთობის წრის შემკვრელი ორივე სხვა ვალდებულებითი ურთერთობისაგან – ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული ძირითადი კონტრაქტისაგან და გარანტს და პრინციპალს შორის არსებული ფინანსური მომსახურების გაწევის შესახებ სამართლებრივი ურთერთობისაგან.¹³

აკრედიტივის ყოველთვის სავალდებულო დოკუმენტირებული ხასიათი არ ნიშნავს, რომ მისი ტექსტით გათვალისწინებულ საპრეზენტაციო დოკუმენტაციას ყოველთვის მტკიცებულებითი დანიშნულება აქვს. ანგარიშსწორების მიზნებისათვის საკრედიტივო პრაქტიკაში, კომერციული აკრედიტივით მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ანგარიშსწორების ორ განსხვავებულ პირობაზე. ესენია: „Red Clause“ და „Green Clause.“¹⁴

2.1. ანგარიშსწორების წესზე მარტივი დათქმა – Red Clause

აღნიშნული წარმოადგენს აკრედიტივის საფუძველზე ანგარიშსწორების მარტივ ფორმას,¹⁵ რომლითაც მხარეები თანხმდებიან მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე თანხის გადახდის თაობაზე. ამ შემთხვევაში პრეზენტირებულ დოკუმენტაციას არა აქვს მტკიცებულებითი ხასიათი და არ მოითხოვება ძირითადი კონტრაქტის შესრულების დადასტურება. ბენეფიციარის მიერ თანხის მიღებისათვის აუცილებელი არ არის ემიტენტის მომსახურე ბანკისათვის მაგალითად, ისეთი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც დაადასტურებს, რომ ტვირთი საწყობშია ან საქონელი ნამდვილად არსებობს.¹⁶ შესაბამისად, არ ხდება იმ ფაქტის შემოწმება, თუ რამდენად მიიღო ბენეფიციარმა იმ ძირითადი კონტრაქტით შეთანხმებული ოდენობის ან ხარისხის პროდუქცია, რა მიზნობრიობითაც არის აკრედიტივი გაცემული.

ანგარიშსწორების შემთხვევაში, ხდება წარდგენილი დოკუმენტაციის აკრედიტივის პირობებისათვის შედარება. თუ დოკუმენტაცია აკრედიტივის პირობებს შეესაბამება, ბანკი ახდენს ანგარიშსწორებას. მას არ ეკისრება შემოწმების ვალდებულება, თუ რამდენად შეესაბამება წარდგენილი დოკუმენტა-

ციით გათვალისწინებული ინფორმაცია რეალობას და რამდენად ასახავს ძირითადი კონტრაქტის პირობების მხარეთა მიერ შეთანხმებულ შესრულებას. თანხის გადახდის მიზნებისათვის, მთავარი დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია ემთხვეოდეს აკრედიტივის პირობებს. ბანკი ხელმძღვანელობს მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტაციის საგარანტიო პირობებთან შესაბამისობის სტანდარტით და აღნიშნულის საფუძველზე იღებს აკრედიტივით გათვალისწინებული თანხის ბენეფიციარისათვის გადახდის ან არგადახდის შესახებ გადაწყვეტილებას.

ჯერ კიდევ, 1948 წელს, ჰენრი ჰარფილდი სააკრედიტო პრაქტიკაში „Red Clause Documentary Credit“-ის ინსტიტუტის დამკვიდრებას ჩინეთს უკავშირებს. კერძოდ, ანგარიშსწორების მიზნებისათვის საკმარისი იყო მხოლოდ აკრედიტივით ბენეფიციარისათვის მარტივი დაპირების მიცემა, რომ მის მიერ მითითებული დოკუმენტაციის პრეზენტაციის შემთხვევაში, თანხის გადახდა მოხდებოდა.¹⁷

თანამედროვე სააკრედიტივო პრაქტიკაში, აღნიშნული პირობა ნიშნავს საქონლის დანიშნულების ადგილას ტრანსპორტირებამდე ანგარიშსწორებას. ხშირ შემთხვევაში, Red Clause Documentary Credit-ის დათქმა შესაძლებელია ითვალისწინებდეს ანგარიშსწორების პირობას, ტვირთის ტრანსპორტირების დაწყებამდე. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ გამყიდველს/ბენეფიციარს აქვს ტვირთის ტრანსპორტირების ვალდებულება დანიშნულების ადგილას. ხოლო თუ იგი ვერ შეასრულებს ტრანსპორტირების ვალდებულებას, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს გადახდილი ნასყიდობის ღირებულების უკან დაბრუნება.¹⁸

2.2. ანგარიშსწორების წესზე რთული დათქმა – Green Clause

კომერციული აკრედიტივით ანგარიშსწორების რთულ წესზე შეთანხმება ნიშნავს, რომ ბენეფიციარს ეკისრება გარკვეული ფაქტებისა და გარემოებების მტკიცების ტვირთი.¹⁹ შესაბამისად, Green Clause წარმოადგენს Red Clause-ის მოდიფიცირებულ ვარიანტს, რომელიც უფრო მეტად მყიდველის ინტერესებს ემსახურება, ვიდრე ბენეფიციარისას. მოცემულ შემთხვევაში, ანგარიშსწორების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, პრეზენტირებული დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარმა გამყიდველმა მყიდველს დაუმტკიცოს, რომ ნასყიდობის საგანი ნამდვილად იმყოფება საწყობში, შეთანხმებული ხარისხით და ოდენობით.²⁰ შესაბამისად, ამ შინაარსის აკრედიტივი განსხვავდება Red Clause-ის დათქმისაგან, რადგან უფრო მეტად მტკიცებულებითი შინაარსისაა. ანგარიშსწორების მიზნებისათვის მხოლოდ მარტივი პირობის, დოკუმენტაციის პრეზენტაციის არსებობა საკმარისი არ არის და მნიშვნელოვანია, რომ ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით დასტურდებოდეს ძირითადი ვალდებულების დარღვევა.²¹

3. „მკაცრი შესაბამისობის“ სტანდარტის სამართაშორისო ასპექტები

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთში „Strict Compliance“-ის სტანდარტს ნაკლები დატვირთვა აქვს. კერძოდ, შესაძლებელია საერთაშორისო საგარანტიო პრაქტიკითა და

კანონმდებლობით გათვალისწინებული საგარანტიო ანგარიშსწორების შეზღუდვის საფუძვლების, „თაღლითობისა“ და „არაკეთილსინდისიერების“ გარდა, ბენეფიციარს და პრინციპალს შორის არსებული ძირითად სამართლებრივ ურთიერთობაში კანონთან შეუსაბამო ელემენტების არსებობის ვარაუდი²² ან თუნდაც, ბენეფიციარის წარმომავლობა გახდეს საგარანტიო თანხის გადახდის შეზღუდვის წინაპირობა.²³ აღნიშნული ცალსახად, Stict Compliance-ის ფარგლების გადაცდენა წარმოადგენს. სასამართლო პრაქტიკაში განხილულ იქნა საკითხი, თუ რა სახის ელემენტები შეიძლება გახდეს ანგარიშსწორების შეზღუდვის საფუძველი, რომელიც illegality-ის სახელით არის ინგლისში მოხსენიებული.²⁴ აღნიშნულთან დაკავშირებითაც, ისევე როგორც fraud-ის²⁵ შემთხვევაში, ფიქსირდებოდა ორი განსხვავებული პოზიცია. ერთი პოზიცია ვითარდებოდა ბენეფიციარის ინტერესების სასარგებლოდ და ავტონომიურობის პრინციპის დასაცავად. ხოლო მეორე, აუცილებლად მიიჩნედა ავტონომიურობის პრინციპის შეზღუდვას გარკვეულ შემთხვევებში.²⁶ მხოლოდ ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში იქნა მიჩნეული fraud-თან²⁷ და Unconscionability-თან²⁸ ერთად, illegality ავტონომიურობის პრინციპის შეზღუდვის წინაპირობად. აზრთა სხვადასხვაობა²⁹ არსებობდა მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით, ძირითადი კონტრაქტის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობაში თუ რა სახის დეტალების არსებობა შეიძლება გამხდარიყო ავტონომიურობის პრინციპისა და ანგარიშსწორების შეზღუდვის საფუძველი.³⁰ ინგლისის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული კონცეფცია, როგორც გამონაკლისი არსებობდა. მაგრამ კიდევ ერთხელ, მნიშვნელოვანი იყო დადგენა, ძირითად კონტრაქტში თუ რა სახის მოცემულობა წარმოადგენდა illegality-ის არსებობის წინაპირობას.³¹

სხვა სამართლებრივ სისტემებს არა აქვს გაზიარებული ბრიტანული მიდგომები და საერთაშორისო საგარანტიო კანონმდებლობის თუ პრაქტიკისაგან განსხვავებული პოლიტიკა „მკაცრი შესაბამისობის“ სტანდარტთან დაკავშირებით. მითითებულ ქვეყნებში, საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობასა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის დაცვას, ბევრად უფრო მაღალი მნიშვნელობა ენიჭება. ანგარიშსწორების მიზნებისათვის, ბანკი შემოიფარგლება წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, Strict Compliance-ის³² სტანდარტის შესაბამისად. ძირითადი კონტრაქტის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების დეტალები, მისთვის არ წარმოადგენს თანხის გადახდის შემზღუდველ წინაპირობებს. მაგალითად, ბრიტანულ მიდგომას ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის არ ჰყავს მხარდამჭერები. კერძოდ, მიდგომამ, რომლის მიხედვითაც, ბენეფიციარის წარმომავლობის³³ ან ძირითადი ურთიერთობის დეტალების გამო დოკუმენტირებული ოპერაცია შეიძლება არ დაექვემდებაროს შესრულებას, ცალსახად კრახი განიცადა.³⁴ შესაბამისად, illegality როგორც ავტონომიურობის პრინციპიდან გამონაკლისი, ინგლისის გარდა, არც ამერიკის შეერთებული შტატების და არც სხვა სამართლებრივი სისტემებისათვის არ არის ცნობილი.

მართალია, დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ ნიუ-იორკის 1995 წლის კონვენცია ითვალისწინებს აღნიშნულ კონცეფციას, როგორც გამონაკლისს, მაგრამ აღნიშნულში იგულისხმება არბიტრაჟის ან სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და

არა ბანკის გადაწყვეტილება.³⁵ თანხის გადახდის პროცესში იგი არ ეხება ძირითად კონტრაქტს, არ წარმოადგენს პრინციპალის მოქმედებების შემფასებელს და მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხელმძღვანელობს. კონვენცია გამონაკლისის სახით ასევე, ითვალისწინებს საგარანტიო თანხის შეზღუდვის შესაძლებლობას, თუ ძირითადი კონტრაქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობა აშკარაა, მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს დროებითი ორდერის³⁶ საფუძველზე.³⁷ აღნიშული ხასიათის ორდერი საგარანტიო პრაქტიკაში ასევე, ცნობილია Mareva-type injunction-ის სახელით,³⁸ რომლის გამოსაყენებლადაც სასამართლოსათვის აუცილებელია ძირითად ვალდებულებით ურთიერთობაში კანონსაწინააღმდეგო ელემენტების მაღალი ალბათობა, დადასტურებული უტყუარი მტკიცებულებით.³⁹

N758 პუბლიკაციის მიხედვით, გარანტია, მისი შინაარსით არის დამოუკიდებელი ძირითადი ურთიერთობისაგან და გარანტს არც ერთ შემთხვევაში, არ ეხება ძირითადი ურთიერთობის შინაარსობრივი დეტალები. ამასთან, საბანკო გარანტიის ტექსტით ძირითად ურთიერთობაზე მითითება არ ცვლის მის დამოუკიდებელ ხასიათს. გარანტის ვალდებულება, გადაიხადოს საგარანტიო თანხა, წარმოადგენს მას და ბენეფიციარს შორის არსებული საგარანტიო ურთიერთობის საგანს და არანაირად არ არის ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავის, მოთხოვნის ან შესაგებლის საგანი.⁴⁰ ასევე, კონვენციის მიხედვით, დამოუკიდებელ ვალდებულებას წარმოადგენს საბანკო გარანტია ან სარეზერვო აკრედიტივი, გაცემული ბანკის, სხვა დაწესებულების ან პიროვნების მიერ, რომ გადაუხდის ბენეფიციარს გარკვეულ თანხას, მარტივი მოთხოვნის ან მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.⁴¹ მოცემულ შემთხვევაშიც, ისევე როგორც მოთხოვნისთანავე შესასრულებელი გარანტიების შესახებ ICC-ის N758 უნიფიცირებული წესები, კონვენცია ხაზს უსვამს საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობას. მიუთითებს გარანტის ვალდებულებაზე, პირობითი გარანტიის შემთხვევაში, Strict Compliance-ის სტანდარტის ფარგლებში იხელმძღვანელოს მხოლოდ წარდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და არ ჩაერიოს ძირითად ურთიერთობაში.

გარანტი არ არის ძირითადი ვალდებულების დარღვევის შემფასებელი და გამომძიებელი პირი. ამ ტვირთისაგან როგორც უპირობო, ასევე პირობითი გარანტიის შემთხვევაში ის გათავისუფლებულია. ავტონომიურობის პრინციპი საგარანტიო ვალდებულების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს,⁴² რაც მნიშვნელოვანია, რომ რეალურად განხორციელდეს პრაქტიკაში. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ საგარანტიო ვალდებულება წარმოიშობა ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული ძირითადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად, გარანტიის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები არსებითად დამოუკიდებელია ძირითადი კონტრაქტის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებებისაგან, რომლებიც გარანტს არანაირად არ ეხება, არც ერთი ტიპის საბანკო გარანტიის შემთხვევაში.⁴³ საგარანტიო პრაქტიკაში, უმეტესი გარანტიები წარმოადგენენ პირველივე მოთხოვნისას შესასრულებელი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს, რომელთა ტექსტითაც გათვალისწინებულია გარანტის ვალდებულება, პირველივე მოთხოვნისთანავე ბენეფიციარს გადაუხადოს საგარანტიო თანხა, პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დამტკიცების გარეშე.⁴⁴ გარანტს

ოდნავადაც არა აქვს პირდაპირი კვეთა ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული კონტრაქტის დეტალებთან. ისევე, როგორც კითხვაზე პასუხის გაცემის ვალდებულება, შესრულებული აქვს თუ არა პრინციპალს ბენეფიციარის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები, ან დარღვეული აქვს თუ არა მოცემული ვალდებულებები.⁴⁵ პირობითი საბანკო გარანტიის შემთხვევაშიც კი, გარანტი კისრულობს აბსოლუტურ ვალდებულებას, ბენეფიციარს გადაუხადოს საგარანტიო თანხა მხოლოდ და მხოლოდ საგარანტიო დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.⁴⁶

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირობითი საბანკო გარანტიის შემთხვევაშიც კი, არ შეიძლება გარანტს დაეკისროს იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, რასაც მას საგარანტიო პირობები აკისრებს, Strict Compliance-ის ფარგლებში.⁴⁷ ამგვარი საბანკო გარანტიის შემთხვევაშიც კი, გარანტი აფასებს მხოლოდ წარდგენილ დოკუმენტაციას და არა მაგალითად, ძირითადი სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ფორსმაჟორის არსებობის ან ბენეფიციარის მიერ პრინციპალისათვის ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის თუ არგანსაზღვრის ფაქტს. გარანტის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებით საბანკო გარანტიის პირობებთან ან რამდენად დგინდება წარდგენილი დოკუმენტაციით ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი. ნებისმიერი დამატებითი გარემოების კვლევა, როგორც ანგარიშსწორების წინაპირობა, განსაკუთრებით ძირითად ვალდებულებაში შეჭრა ცალსახად, არანაირ კავშირში არ არის საგარანტიო თანხის გადახდასთან.⁴⁸

საბანკო გარანტიის ლიკვიდური ხასიათიდან გამომდინარე და „ჯერ გადახდის, შემდეგ დავის“⁴⁹ ქვაკუთხედზე დაფუძნებით, გარანტი წარმოადგენს „მოლარეს და არა გამომძიებელს.“⁵⁰ არც ერთ შემთხვევაში, გარანტი ბენეფიციართან არ შედის დავაში და ძირითადი სამართლებრივი ურთიერთობის დარღვევის ფაქტის გამომძიებლად არ გვევლინება. მის მიერ სამოქმედო წესებს „დოკუმენტური შესაბამისობის“ სტანდარტი განსაზღვრავს.

უნიფიცირებული წესები და საერთაშორისო კანონმდებლობა, უპირობო გარანტიის შემთხვევაში არ ავალდებულებს ბენეფიციარს, რომ ვალდებულების დარღვევის ფაქტი ასაბუთოს. ხოლო გარანტი არ უნდა გასცდეს წარდგენილი მოთხოვნის, პირობითი გარანტიის შემთხვევაში, მასზე თანდართული დოკუმენტაციის ფარგლებს.

ასევე, „დამოუკიდებელი გარანტიების და სარემერვო აკრედიტივების შესახებ“ კონვენციის მიხედვით, კონვენციის მიზნებისათვის საგარანტიო ურთიერთობა არის დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს რომ გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ არ არის დამოკიდებული ძირითად ტრანსაქციაზე ან ნებისმიერ სხვა ვალდებულებაზე.⁵¹ საგარანტიო ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული იმ რაიმე სხვა გარემოებაზე, რომელიც საგარანტიო დოკუმენტით არ არის გათვალისწინებული, ისევე როგორც სამომავლო გაურკვეველ მოქმედებაზე ან მოვლენაზე.⁵²

დასკვნა

დოკუმენტირებული ხასიათის გადახდისა და უზრუნველყოფის საშუალებების შემთხვევაში, როგორც აკრედიტივის, ასევე საბანკო გარანტიის შესრულების პროცესში, ავტონომიურობის პრინციპი⁵³ ბალანსდება მხოლოდ „დოკუმენტური შესაბამისობის,“ იგივე strict compliance-ის სტანდარტით.⁵⁴ აღნიშნული, ანგარიშსწორების წინაპირობად გულისხმობს, მხოლოდ ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას, აკრედიტივით ან საბანკო გარანტიით შეთანხმებულ პირობებთან. ანგარიშსწორება მხოლოდ აღნიშნული სტანდარტის საფუძველზე, საპრეზენტაციო დოკუმენტაციის ფარგლებში არის კავშირში ძირითად სამართლებრივ ურთიერთობასთან. პირობითი გარანტიების შემთხვევაში, „მკაცრი შესაბამისობის“ სტანდარტი განსაზღვრავს გარანტის ვალდებულებებს და მისი პასუხისმგებლობის ფარგლებს. ხოლო, უპირობო საბანკო გარანტიის შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული შინაარსის გარანტიის საფუძველზე, საგარანტიო თანხით ანგარიშსწორებისათვის ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძვლიანობის შეფასებისას, დოკუმენტაციის პრეზენტაციის წესის გათვალისწინებაც კი არ ხდება, „მკაცრი შესაბამისობის“ სტანდარტი გარანტს დოკუმენტაციის კვლევის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს. იგი მხოლოდ საგარანტიო პირობის საბანკო გარანტიით გათვალისწინებულ პირობასთან, ბენეფიციარის მოთხოვნის შესაბამისობის შემოწმებით შემოიფარგლება.

შესაბამისად, დოკუმენტირებული ხასიათის, პირობითი საბანკო გარანტიის საფუძველზე, საგარანტიო თანხით ანგარიშსწორების პროცესში, საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობა Strict Compliance-ის, იგივე დოკუმენტური შესაბამისობის კრიტერიუმით განისაზღვრება და ძირითადი ვალდებულებისაგან მის ავტონომიურობაში გამოიხატება. საგარანტიო პირობის დადგომის შემთხვევაში, ანგარიშსწორებას ძირითადი ვალდებულების შინაარსობრივი მხარე არ განაპირობებს. აღნიშნული მიზნებისათვის, გარანტი არ სცდება ბენეფიციარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებს. იგი საგარანტიო თანხის გადახდის შესახებ გადაწყვეტილებას, მხოლოდ ბენეფიციარის მიერ პრეზენტირებული დოკუმენტაციის საგარანტიო პირობებთან შესაბამისობის ან მოცემული დოკუმენტაციით პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის დამტკიცების საფუძველზე იღებს. ხოლო არადოკუმენტირებული ხასიათის, უპირობოდ შესასრულებელი საბანკო გარანტიის საფუძველზე, ანგარიშსწორების წესი განისაზღვრება მხოლოდ ბენეფიციარის მიერ საგარანტიო პირობების დაცვით. კერძოდ, მისი მოთხოვნით საგარანტიო თანხის მიღების თაობაზე ან ამ მოთხოვნით, მის მიერ პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევაზე მითითებით და განმარტებით, თუ რაში გამოიხატება აღნიშნული დარღვევა. ამასთან, უპირობო საბანკო გარანტიის შემთხვევაში, გარანტი Strict Compliance-ის სტანდარტითაც კი არ იბოჭება და დოკუმენტირებული ხასიათის გადახდისა და უზრუნველყოფის საშუალებებთან შედარებით, საგარანტიო თანხის გადახდის წესი არადოკუმენტირებულ, გამარტივებულ ხასიათს ატარებს.

შენიშვნებისთვის:

- ¹ გარანტიის შემთხვევაში, ბენეფიციარის.
- ² იხ.: „Letter of Credit as a Security Device in International Trade”, LL.M thesis, auth. Krzysztof Kazmierczyk, Central European University, Budapest 2006.
- ³ როგორც დოკუმენტური აკრედიტივის, ასევე იმ საბანკო გარანტიის თუ სარეზერვო აკრედიტივის შემთხვევაში, სადაც ანგარიშსწორების წინაპირობას, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნაზე შესაბამისი დოკუმენტაციის დართვა არის გათვალისწინებული, გარანტი აუცილებლად ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობის პრინციპის და Strict Compliance-ის, იგივე დოკუმენტური შესაბამისობის სტანდარტით. იხ.: Approaches to Resolving the International Documentary Letters of Credit Fraud Issue, page 19, Yanan Zhang, Publications of the University of Eastern Finland Dissertations in Social Sciences and Business Studies, N15, 2011; ციტ: Gao, Xiang & Buckley, Ross P. (2003), „The Unique Jurisprudence of Letters of Credit: Its Origin and Sources,” 4 San Diego International Law Journal 91, pp. 119-124; Regal, Dorothea W. (2003), „Basic Principles of Letters of Credit,” 847 Practising Law Institute 13 (Commercial Law and Practice Course Handbook Series), February.
- ⁴ იხ.: Letter of Credit as a Security Device in International Trade: What will change under the Uniform Customs and Practise 600? Page 22, Krzysztof Kazmierczyk, Central European University, Budapest, 2006.
- ⁵ იქვე, ციტ: Stephen J. Leacock, Fraud in the International Transaction: Enjoining Payment of Letters of Credit in International Transactions, 17 VAND. J Transnational L. 885, 889 (1984).
- ⁶ იგივე Strict Compliance-ის მოთხოვნა.
- ⁷ იხ.: IMPACT OF THE DOCTRINE OF STRICT COMPLIANCE ON A LETTER OF CREDIT TRANSACTION, 3.2 legal principles, page 8 Danute Krazovska, MSc EU Business and Law, 2008 Aarhus.
- ⁸ იქვე, 3.2.2 Doctrine of strict compliance; აღნიშნული სტანდარტი მოცემულია UCP-ის შესაბამის ვერსიებში - article 13(a), UCP500; article 2, UCP600.
- ⁹ იქვე.
- ¹⁰ იხ.: „Fraud in the Letter of Credit Transaction and its Possible Arbitration,” Gemot Fohler, Institute of Comparative Law, McGill University, Montreal, Quebec, Canada, November 1999.
- ¹¹ იხ.: Illegality as an exception to the autonomy principle of bank demand guarantees, page 345, Michelle Kelly-Louw, XL CILSA 2009.
- ¹² ასევე, იგულისხმება სარეზერვო აკრედიტივი.
- ¹³ იხ.: Illegality as an exception to the autonomy principle of bank demand guarantees, page 346, Michelle Kelly-Louw, XL CILSA 2009; ასევე იხ.: R Goode „Abstract payment undertakings in international transactions“ (1996) XXII Brooklyn Journal of International Law 1 at 12; John F Dolan The law of letters of credit: commercial and standby credits (revised edition, loose-leaf, 1996) (“Dolan: The law of letters of credit”) in par 2.01; JCT Chuah Law of international trade (3ed 2005) in par 10-36 at 487; E McKendrick (gen ed) et al Sale of goods (2000) in par 14-068; FR Malan „Letters of credit and attachment ad fundandam jurisdictionem“ 1994 Tydskrif vir die Suid-Afrikaanse Reg 150 at 150-151; Schulze n 14 above at 674; and AN Oelofse The law of documentary letters of credit in comparative perspective (1997) (Oelofse: The law of documentary letters of credit) in par 9.1 at 354-357. See also Urquhart Lindsay and Co Ltd v Eastern Bank Ltd [1922] 1 KB 318 (KB) ([1921] All ER 340 (KB).
- ¹⁴ იხ.: „Documentary Credits in International Commercial Transactions with speciall focus on Fraud Fule,” 3.3.5 Red Clause Documentary Credits and Green Clause Documentary Credits, page 26, Zsuzsanna Tóth, dr. Dissertation, Athen/ Budapest 2006, Pazmany Peter Catholic University.

¹⁵ Red Clause Documentary Credit.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იხ.: „Documentary Credits in International Commercial Transactions with speciall focus on Fraud Fule,“ 3.3.5 Red Clause Documentary Credits and Green Clause Documentary Credits, page 26, Zsuzsanna Tóth, dr. Dissertation, Athen/Budapest 2006, Pazmany Peter Catholic University; ციტ: Wilbert War, Henry Harfield, Bank Credits and Acceptances (3rd ed., 1948) New York, p. 133.

¹⁸ იქვე. ციტ: Charles Del Busto, ICC Guide to Documentary Credit Operations, A Stage-by-Stage Presentation of the Documentary Credit Process, ICC Publication No. 515, p. 49.

¹⁹ Green Clause Documentary Credit.

²⁰ იხ.: „Documentary Credits in International Commercial Transactions with speciall focus on Fraud Fule,“ 3.3.5 Red Clause Documentary Credits and Green Clause Documentary Credits, page 27, Zsuzsanna Tóth, dr. Dissertation, Athen/Budapest 2006, Pazmany Peter Catholic University; ციტ: Raymond Jack, Documentary Credits (1991) London, p. 30.

²¹ იქვე.

²² „Illegality as an exception to the autonomy principle of bank demand guarantees,“ page 354, Michelle Kelly-Louw, XL CILSA 2009; ასევე იხ. Wahda Bank v Arab Bank Plc (1992) 2 Bank LR 233; United City Merchants (Investments) Ltd and Glass Fibres and Equipments Ltd v Royal Bank of Canada (incorporated in Canada), Vitrorefuerzos SA and Banco Continental SA [1983] AC 168 (HL) ([1982].

²³ იქვე, გვ. 352–353.

²⁴ იქვე, გვ. 354.

²⁵ აღნიშნული კონცეფცია წარმოადგენს, საგარანტიო თანხის შემლუღვის საფუძველს და ავტონომიურობის პრინციპიდან გამონაკლისს.

²⁶ იხ.: Illegality as an exception to the autonomy principle of bank demand guarantees, page 354, Michelle Kelly-Louw, XL CILSA 2009; ასევე იხ. Mahonia Ltd v JP Morgan Chase Bank and Another [2003] 2 Lloyd’s Rep 911(QB (Com Ct)) at 927. აღნიშნული სასამართლო დავის განხილვისას, ქვაკუთხედს წარმოადგენდა illegality-ის, როგორც ავტონომიურობის პრინციპის შემლუღვის საფუძველად მიჩნევა, რა შემთხვევაშიც აღნიშნულს ძირითადი კონტრაქტის დეტალები განაპირობებდა.

²⁷ იქვე.

²⁸ არაკეთილსინდისიერება.

²⁹ იქვე, აღნიშნულ განსხვავებულ პოზიციებთან დაკავშირებით იხილეთ შემდეგი სასამართლო დავები – Group Josi Re v Walbrook Insurance Co Ltd and Others [1996] 1 Lloyd’s Rep 345 (CA) ([1996] 1 WLR 1152 (CA)); and [1996] 1 All ER 791 (CA)) at 362 and 368 where the discussion of the Court of Appeal was inconclusive; and see also the decision of the court a quo in Deutsche Ruckversicherung AG v Walbrook Insurance Co Ltd and Others; Group Josi Re (formerly known as Group Josi Reassurance SA) v Walbrook Insurance Co Ltd and Others [1995] 1 WLR 1017 (QBD) ([1994] 4 All ER 181 (QBD)) at 1027.

³⁰ იხ.: Illegality as an exception to the autonomy principle of bank demand guarantees, page 355, Michelle Kelly-Louw, XL CILSA 2009; ციტ: Enonchong n 1 above at 405; and Brindle & Cox n 10 above in par 8–037.

³¹ იქვე. ციტ: D Warne & N Elliott Banking litigation (2ed 2005) at 259.

³² იგივე „დოკუმენტური შესაბამისობის პრინციპი,“ რა შემთხვევაშიც ბანკი/გარანტი თანხის გადახდის წინაპირობად ამოწმებს მხოლოდ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას აკრედიტივის/საბანკო გარანტიის პირობებთან. არ სცდება პრეზენტირებული დოკუმენტაციის ფარგლებს და არც ერთ შემთხვევაში არ იკვლევს ძირითად ურთიერთობას, თუ რამდენად აქვს

- პრინციპები დარღვეული ან შესრულებული ბენეფიციარის მიმართ შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები.
- ³³ იხ.: Illegality as an exception to the autonomy principle of bank demand guarantees, page 370, Michelle Kelly-Louw, XL CILSA 2009; The American bankruptcy laws, for example, may apply directly to prohibit honour under a letter of credit, and the Export Administration Act and its regulations (Export Administration Act, 50 app. USCA 2407(a)(1) (1991); 15 CFR 769.2(f)(5) (1995)) also provide a defence to honour any credit that violates the anti-boycott provisions of the legislation (see Turner n 71 above under the heading „Illegality in the underlying transaction“).
- ³⁴ იქვე.
- ³⁵ იხ.: United Nations Convention on Independent Guarantees and Stand-by Letter of Credit, Article 19(2)(b), New York, 11 December, 1995.
- ³⁶ იგულისხმება საკითხის საბოლოო განხილვამდე და გადაწყვეტამდე, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სასამართლოს მიერ გაცემული დროებითი შემაკავებელი ორდერი.
- ³⁷ იხ.: United Nations Convention on Independent Guarantees and Stand-by Letter of Credit, Article 20, New York, 11 December, 1995.
- ³⁸ იხ.: Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction, page 398, IV. THE MAREVA INJUNCTION, Peter S. O'Driscoll, Northwestern Journal of International Law & Business, Volume 7, 1985.
- ³⁹ იხ.: Illegality as an exception to the autonomy principle of bank demand guarantees, page 382, Michelle Kelly-Louw, XL CILSA 2009; ციტი: Hugo: The law relating to documentary credits n 14 above at 309.
- ⁴⁰ ICC Uniform Rules for Contract Guaranties, Publication N325, 1978, მე-6 მუხლი.
- ⁴¹ „დამოუკიდებელი გარანტიების და სარემერვო აკრედიტივების შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლი, 1-ლი პუნქტი; UNCITRAL, ნიუ იორკი, 1995 წელი.
- ⁴² იხ.: Illegality as an exception to the autonomy principle of bank demand guarantees, page 347, Michelle Kelly-Louw, XL CILSA 2009; ასევე იხ. HN Bennett „Performance bonds and the principle of autonomy“ 1994 Journal of Business Law 574; I Ndekugri „Performance bonds and guarantees: construction owners and professionals beware“ (November/December 1999) 125 Journal of Construction Engineering and Management 428 at 432; Ganotaki n 2 above at 148; I Ndekugri „Performance bonds and guarantees in construction contracts: a review of some recurring problems“ (1999) 16 International Construction Law Review 294 at 304–305; Jack n 14 above in par 1.41 at 21; SITPRO's Report on the use of demand guarantees in the UK (July 2003) („SITPRO's Report“) at 5 www.sitpro.org.uk (last accessed 3 July 2009) at 5; ABLU 1998 n 14 above at 7 of the article; ABLU 2002 n 2 above at 15 of the article. In Union Carriage and Wagon Company Ltd v Nedcor Bank Ltd 1996 CLR 724 (W) at 731–732; ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ავტონომიურობის პრინციპი ასევე, გამოიყენება სარემერვო აკრედიტივისა და საბანკო გარანტიის შემთხვევაში (ასევე იხ.: Van Niekerk & Schulze n 14 above 24 at 307).
- ⁴³ იქვე, ციტი: Guide to the URDG n 3 above at 17–18; cf Dinnie n 12 above at 128; Bennett n 17 above at 575; Enonchong n 2 above at 84; Bailey n 2 above at 252; SITPRO's Financial guide: demand guarantees (2007) („SITPRO's Financial guide“) at 2 www.sitpro.org.uk (last accessed 3 July 2009) at 4.
- ⁴⁴ იქვე, ციტი: G Penn „On-demand bonds – primary or secondary obligations?“ (1986) 4 Journal of International Banking Law 224 at 224.
- ⁴⁵ იხ.: Illegality as an exception to the autonomy principle of bank demand guarantees, page 347, Michelle Kelly-Louw, XL CILSA 2009; ასევე იხ.: Edward Owen Engineering Ltd v Barclays Bank International Ltd [1978] 1 QB 159 (CA) ([1978]).

- ⁴⁶ იქვე.
- ⁴⁷ იხ.: „The fraud exceptions in bank guarantee,“ 3.1 Duties of the bank, page 52, G.L. Cayembe, LLM essay, February 2008.
- ⁴⁸ იხ.: „The fraud exceptions in bank guarantee,“ 3.1 Duties of the bank, page 53, G.L. Cayembe, LLM essay, February 2008.
- ⁴⁹ იხ.: სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014, პერიფრაზი-Lieske WM 1968, S. 22.
- ⁵⁰ იხ.: „Fraud and the UN Convention on Independent Guarantees and Standby Letters of Credit,“ Alan Davidson, Vol. 1; Issue 1 Geo. Mason J. Int’l Comm. L. Fall 2010, page 28, ციტ. Explanatory Note, supra note 6, cmt. 18.
- ⁵¹ „დამოუკიდებელი გარანტიების და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლი, ა.) პუნქტი, UNCITRAL, ნიუ იორკი, 1995 წელი.
- ⁵² იქვე, მე-3 მუხლი, ბ.) პუნქტი.
- ⁵³ იხ.: THE IDENTITY OF THE FRAUDULENT PARTY UNDER THE FRAUD RULE IN THE LAW OF LETTERS OF CREDIT, page 121, XIANG GAO, UNSW Law Journal Volume 24(1), The Fraud Rule in the Law of Letters of Credit, 2001; დამოუკიდებლობის პრინციპს ხაზი აქვს გასმული საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) უნიფიცირებული წესების და პრაქტიკის (1993) მე-3 და მე-4 მუხლებით. უნიფიცირებული წესები და პრაქტიკა დოკუმენტური აკრედიტივებისათვის შესახებ პირველად გამოქვეყნდა ICC-ის მიერ 1933 წელს და მას შემდეგ, რამდენჯერმე მოხდა რევიზია. მიმდინარე ვერსია გამოქვეყნდა 1993 წელს და ცნობილია როგორც UCP 500 (საუბარია UCP 600-ის გამოქვეყნებამდე პერიოდზე), რომლის მე-3 მუხლი ხაზს უსვამს სხვა ოპერაციებისაგან დოკუმენტური აკრედიტივის დამოუკიდებლობას და ადგენს, რომ იგი ნასყიდობის ან სხვა ძირითადი კონტრაქტისაგან განცალკევებული ტრანსაქციაა. ბანკებს არ ეხებათ და არც არიან დაინტერესებულნი ძირითადი ხელშეკრულების დეტალებით. მოცემული უნიფიცირებული წესების მე-4 მუხლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხარეები ხელმძღვანელობენ სააკრედიტივო დოკუმენტებით და არა საქონლით, როგორც ძირითადი კონტრაქტის საგნით.
- ⁵⁴ იქვე, p. 122, ციტ: „Note: Letters of Credit: Injunction As a Remedy for Fraud in UCC Section 5-114“ (1979) 63 Minnesota Law Review 487, 490.

"STRICT COMPLIANCE" STANDARD AND ITS SCOPE DURING THE PAYMENT BASED ON THE DOCUMENTARY CREDIT AND BANK GUARANTEE


DAVID ATABEGASHVILI

Doctor of Law

Assistant Professor of New Vision University

In the article published in the volume N16 of the Georgian Law Review in 2016, the Strict Compliance standard was applied by the author for the purposes of the study.¹ The purpose of the present article is to analyze the standard used in that article, its content and scope, in the process of payment based on the documentary credit, bank guarantee and reserve letter of credit.

Considering the above mentioned, the subject of the study is the Stict Compliance, or "documental compliance" standard. Which, based on a documentary credit represents an obligatory precondition for the payment, and in case of bank guarantee and a reserve letter of credit² – for determining the payment of the warranty payment. The relevance of the research is determined by different perception of the terms of payment of the guarantee and its prerequisites in different legal spaces and warranty practices. Accordingly, the purpose of the article is to determine the guidance guidelines and its obligations in the settlement process in case of warranty status. Specifically, what is



the point in which the guarantor shall not exceed the guarantee commitment within the warranty relationship, and therefore, in relation to the purpose of payment, to what extent to touch to the relationship with the main liabilities. A "strict compliance" standard has been studied in accordance with various international guarantees, ICC Uniform Rules and Warranty Practices for achieving this goal, including analysis of English warranty practices, in compliance with international law and uniform rules. Theories of "Red Clause Documentary Credit"³ and "Green Clause Documentary Credit"⁴ are discussed and the relevant conclusion is suggested.

NOTES:

- ¹ David Atebugashvili, "Improper Understanding of Bank Guarantee or Proprietary Priority", *Georgian Law Review*, Vol 16, 2016.
- ² Reserve Letter of credit- American model of bank guarantee.
- ³ Simple reservation on the payment rule.
- ⁴ Difficult reservation on the payment rule.

ფაქტობრივი ქორწინება და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი

ლალი აბრამიშვილი

სამართლის დოქტორი

ასმათ გუგავა

სამართლის დოქტორი

ქორწინებამ კაცობრიობის არსებობის მანძილზე რთული და გრძელი გზა განვლო. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, იცვლებოდა ადამიანთა შეხედულებები, ტრადიციები, ადამიანთა შორის ურთიერთობები. დრომოჭმული, არასწორი, უთანასწორო და იძულებითი ურთიერთობები ცივილიზებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი – თანასწორი და ნებაყოფლობითი ურთიერთობებით იცვლებოდა. ცხოვრების კვალდაკვალ, ცვლილებები ხდებოდა ქალისა და მამაკაცის ქორწინებით ურთიერთობაშიც.

თუ ადრე, ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინებას, მამაკაცის უპირატესობა ედო საფუძვლად, სადაც მამაკაცის როლი და უფლებები შეუდარებლად მაღალი იყო ქალის უფლებებთან მიმართებაში, ქალისა და მამაკაცის ქორწინებით ურთიერთობას დასაქორწინებელ პირთა ოჯახების (არცთუ იშვიათ შემთხვევაში, სახელმწიფოებისაც კი) პოლიტიკური, ეკონომიკური, შემრიგებლურ-დამოყვრებითი, ანგარებითი და სხვა ინტერესები ედო საფუძვლად და უგულებელყოფილი იყო დასაქორწინებელ პირთა გრძნობები, ნება და სურვილი, ცალკეული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რომელიც ყოფით ცხოვრებას შეიძლება ყოველთვის თან ახლდეს, დღეს აღარ არის.

ქორწინება მუდამ იყო და არის საზოგადოების ქვაკუთხედი. მტკიცე, მყარი ოჯახი ძლიერი საზოგადოების, ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია. ურთიერთპატივისცემასა და თანასწორობაზე დამყარებული ოჯახები ის ნოყიერი ნიადაგია, სადაც ჯანსაღი და საზოგადოების ღირსეული მოქალაქეები იზრდებიან.

ქვეყნის ინტერესი და მიზანია შეიქმნას ოჯახები, სადაც ქალიც და მამაკაციც თანასწორნი იქნებიან და თითოეულის უფლება დაცული და გარანტირებული იქნება.

სამოქალაქო რეგისტრაციამდე ქორწინებას, ოჯახის შექმნას, ქალისა და მამაკაცის შეუღლებას, რელიგია აკანონებდა. ეკლესია-მონასტრებში ხდებოდა დასაქორწინებელ პირთა ჯვრისწერა და საეკლესიო დავთრებში გატარება-აღნიშვნა.

იმთავითვე, ეკლესია და საზოგადოება, ჯვარდაუწერლად ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას თუ ოჯახის შექმნას, ცოდვად მიიჩნევდა და განიხილავდა, როგორც ქალისა და მამაკაცის ამორალურ ქცევას. ასეთი ურთიერთობისას დაბადებული ბავშვები „ნაბიჭვრებად“ იწოდებოდნენ და უფლებრივად მოკლებულნი იყვნენ იმ სიკეთებს, რასაც ჩვეულებრივ, ჯვარდაწერილი ქორწინებისას დაბადებული ბავშვები ღებულობდნენ. საზოგადოებაც აღმაცერად უყურებდა ასეთ ბავშვებს. არალიარებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, თან სდევდა მშობლების ქცევა, როგორც სამარცხვინო ლაქა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც სამართალმა რელიგიაზე გაიმარჯვა, რაც სამართლებრივმა ნორმებმა წინ გაუსწორო რელიგიურ ნორმებს და ადამიანთა ცხოვრება და ურთერთობა მთლიანად, სამართლის ნორმებს დაეყრდნო, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. სამართლებრივი ნორმის საფუძველზე განხორციელებული ქორწინება გახდა იურიდიული ძალისა და შედეგის მქონე, ხოლო რელიგიური ნორმები, საეკლესიო ჯვრისწერა კი, დარჩა პიროვნების შიგნით, მის პირად პასუხისმგებლობაში, რწმენისადმი მის დამოკიდებულებასა და ზნეობრივ ხასიათში.

თანამედროვეობაში მოქმედმა სამართალმა ქალი და მამაკაცი თანასწორი გახადა, უპირატესობა მათ თავისუფალ ნებას მიანიჭა, ქალსა და მამაკაცს შეუძლიათ საკუთარი სურვილით ერთმანეთს დაუკავშირონ თავიანთი ბედი და ცხოვრება, შექმნან ოჯახი და აღზარდონ შვილები. კანონი იცავს ოჯახის ყველა წევრის უფლებებსა და ინტერესებს.

უფლებებისა და ინტერესების დაცვის პარალელურად, სამართალი ქალსა და მამაკაცს უდგენს „ბორკილებს“ ვალდებულებების სახით, რაც ურთიერთპატივისცემაში, ერთგულებაში, ურთიერთსიყვარულში, შვილების ერთობლივ აღზრდაში, რჩენაში, ურთიერთთანადგომასა და სხვა სახის ურთიერთობებში გამოიხატება. სწორედ ამიტომაც, რომ კანონმა უზრუნველყოს მეუღლეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, ალტერნატივის გარეშე შესთავაზა საზოგადოების წევრებს ქორწინების რეგისტრაცია და მხოლოდ, ასეთი კავშირი აღიარა კანონიერად. მაგრამ სამწუხაროდ, მიუხედავად თანამედროვეობისა, საზოგადოების ყველა წევრის, ყველა მოქალაქის სოციალური, კულტურული და სამართლებრივი განვითარება ერთნაირი არ არის. ყველას არა აქვს თანდაყოლილი მორალურ-

ზნეობრივი თვითშეგნება, სწორად აღიქვან და გაიაზრონ სამართლის მოთხოვნების უპირატესობა, ზოგჯერ კი, ადამიანები შეგნებულად გვერდს უვლიან კანონის მოთხოვნებსა და რეგისტრაციის გარეშე ქმნიან ოჯახებს, ეწევიან ოჯახურ თანაცხოვრებას.

გარკვეული პერიოდი „მეუღლეები“ მშვიდად ცხოვრობენ, აქვთ ერთმანეთისადმი პატივისცემა, ზრდიან შვილებს, იძენენ ქონებას, საზოგადოების, ახლობლებისა თუ ოჯახის წევრების მიერ მიღებული არიან როგორც მეუღლეები, მაგრამ დგება დრო, როცა ურთიერთობაში თავს იჩენს ხოლმე სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები, რომლებიც ანგრევენ „ოჯახებს“ და იწყება კონფლიქტები, რა დროსაც, „მეუღლეები“ ადვილად იღებენ გადაწყვეტილებას, დაშორდნენ ერთმანეთს. მათ არ სჭირდებათ არც სარეგისტრაციო ორგანოში და არც სასამართლოში განცხადების შეტანა განქორწინების თაობაზე, არც ერთად შექმნილი ქონების დაკარგვის შიში აქვთ, არც ერთმანეთისადმი ვალდებულებები გააჩნიათ. რა თქმა უნდა, ამ დროს იჩაგრება ქალი ან მამაკაცი, უფრო მეტად კი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვი და ეწირება მისი ინტერესები, რასაც ხშირად, გამოუსწორებელი შედეგები მოსდევს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითხოვს ქორწინების რეგისტრაციას და მხოლოდ ამ გზით შექმნილ ოჯახებს აძლევს სამართლებრივ გარანტიებს, უწევს დახმარებას, ფაქტობრივი ქორწინება მაინც ღებულობს მასობრივ გავრცელებას, როგორც პოპულარული ალტერნატივა, როგორც საქორწინო-საოჯახო სტილი და სულ უფრო და უფრო იკავებს მნიშვნელოვან სოციალურ ადგილსა და როლს ოჯახურ ურთიერთობაში.

ასე რომ, ფაქტობრივი ქორწინება, როგორც სოციალური მოვლენა დე ფაქტოდ არსებობს, მაგრამ მის სამართლებრივ რეგულირებას კანონი არ ახდენს. ე. ი. გამოდის, რომ საზოგადოებაში არსებობს ურთიერთობა, რომელიც სამართლებრივი სივრცის გარეთაა დარჩენილი.

ისმის კითხვა: თუ სამართალი ადამიანებისთვის არსებობს, მაშინ რატომ არ იღებს კანონი ზომებს დე ფაქტოდ არსებული ურთიერთობა თავის ფარგლებში მოაქციოს და აღმოფხვრას ის ხვრელი, რომლითც სარგებლობენ არაკეთილსინდისიერი მეუღლეები, თავი აარიდონ იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც მათ ოჯახურ ურთიერთობაში წარმოეშობათ?

ფაქტობრივ ქორწინებას, რომლის მიზანი სწორედ, ოჯახის შექმნაა, ახასიათებს ყველა ნიშანი, რაც რეგისტრირებულ ოჯახებს გააჩნია. ერთდეროთი ნიშანი, რაც ფაქტობრივ ქორწინებას განასხვავებს რეგისტრირებული ქორწინებისაგან, არის სამართლებრივი მხარე. კანონი არ იცავს ფაქტობრივ ქორწინებისას „მეუღლეების“ უფლებებსა და ინტერესებს, არ უწესებს ვალდებულებებს.

იბადება კითხვა: შეგნებულად თუ შეუგნებლად ადგილი ხომ არა აქვს ადამიანების მიმართ სამართლებრივ დისკრიმინაციას? მაშინ, როდესაც მამაკაცი და ქალი ქმნიან ოჯახს, ოჯახის კეთილდღეობისთ-

ვის იძენენ ქონებას, ზრდიან შვილებს, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აქვთ ურთიერთობა ოჯახის ნათესავებთან, მეზობლებთან, მეგობრებთან, საზოგადოებაში ცნობილნი და მიღებულნი არიან როგორც მეუღლეები, რატომ უნდა უგულებელყოფდეს მას სამართალი, სახელმწიფო და არ აღიარებდეს იმ ჩარჩოებში, როგორშიც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ოჯახები არიან. რატომ უნდა უშვებდეს კანონი განსხვავებას მხოლოდ ტერმინოლოგიური სახელის გამო. დიახაც, რომ ფაქტობრივი ქორწინება, რომელიც რეგისტრირებული ქორწინების ალტერნატივაა, აუცილებლად მოითხოვს სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას და რეგულირებას.

დღეს ფაქტობრივი ქორწინების აქტუალობა და პრობლემურობა მთელ რიგ ასპექტებში ვლინდება. ეს ასპექტებია:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.“⁴¹ ასეთი ქორწინების დროს, მეუღლეები თანასწორუფლებიანი არიან და „საოჯახო ურთიერთობებში სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი.“⁴² „დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი და სხვა გარემოებათ გამო.“⁴³ აქედან გამომდინარე, თუ ადგილი ექნება კანონში მითითებული რომელიმე გარემოების დარღვევას, მაშინ სამართლი დაიცავს როგორც ქალის, ისე მამაკაცის უფლებებს.

ფაქტობრივი ქორწინების შემთხვევაში, სამართლებრივი დაცვის მიღმა რჩებიან „მეუღლეები.“ მათ უფლება არა აქვთ მიმართონ კანონს და დაიცვან თავი. რჩებათ ერთადერთი გზა, ხატოვნად, რომ ვთქვათ, ქუდი დაიხურონ, დატოვონ ყველაფერი და წავიდნენ შეურაცხყოფილნი და დამცირებულნი. მათ უფლება არა აქვთ განცხადება შეიტანონ განქორწინებაზე და მოითხოვონ ის, რაც ფაქტობრივი ქორწინებისას, თანაცხოვრების პერიოდში ერთობლივი შრომით შეუძენიათ.

2. რიგ შემთხვევაში, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს (მამაკაცს) კანონი უკრძალავს მიმართოს სასამართლოს განცხადებით განქორწინების თობაზე. ასეთი აკრძალვა იმპერატიულია და მოცემული კანონში „ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში, ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე.“⁴⁴ ასეთი დაცვის მექანიზმი ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ ქალს არა აქვს. სამართლებრივი ვალდებულების არარსებობის „წყალობით,“ მამაკაცს შეუძლია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში მიატოვოს მეუღლე და შვილები და ამისათვის მას პასუხი არ მოეთხოვება. რეგისტრირებული ქორწინებისას კანონის მიზანი, როცა ის მამაკაცს უკრძალავს ქალის ორსულობისა

და დაბადებიდან ბავშვის ერთი წლის ასაკამდე მეუღლის – ქალის თანხმობის გარეშე აღძრას სარჩელი განქორწინების შესახებ, არის ის, რომ რეგისტრირებული ქორწინებისას დასაბადებელი თუ უკვე დაბადებული ბავშვი დაიბადოს და გაიზარდოს გონებრივად ჯანსაღი და ფსიქიკურად ნორმალური, რადგან ცნობილია, რომ დედის სულიერი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, მის გონებრივ ჩამოყალიბებასა და ჯანმრთელობაზე. საპირისპიროდ, რა ხდება ფაქტობრივი ქორწინებისას? მამაკაცი, რომელიც შეზღუდული არ არის კანონით და არანაირი იურიდიული ვალდებულებები არ გააჩნია, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ მდგომარეობაში, ტოვებს ფეხმძიმე მეუღლეს და ერთი წლის ასაკამდე მიუღწევველ შვილებს. კანონის დაცვის გარეშე დარჩენილი ბავშვი განწირულია იმ მოსალოდნელი საშიშროებისაგან, რომლისგანაც იცავს კანონი რეგისტრირებულ ქორწინებაში დასაბადებელ თუ უკვე დაბადებულ ბავშვებს. ასეთი მიდგომით, სამართალმა იმთავითვე დაუშვა სამართლებრივი დისკრიმინაცია მათ მიმართ, ვისაც ამ ქვეყანაზე მოვლინება არავისთვის უთხოვიათ და შესაბამისად, არც სახელმწიფოს, არც სამართლის და არც მშობლების მიმართ დანაშაული არ მიუძღვით.

3. რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის წარმოშობას, სახელსა და გვარს განსაზღვრავს კანონი. „მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლება-მოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით.“⁴⁶ „შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება მეუღლეთა ერთობლივი ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტებით,“⁴⁶ „შვილს სახელს არქმევენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით,“⁴⁷ „შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით.“⁴⁸ ფაქტობრივ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის წარმოშობის, სახელისა და გვარის მინიჭების საკითხი კი, რთულია. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს კარგი ურთერთობა აქვთ და ერთად ცხოვრობენ, ეს საკითხი მეტ-ნაკლებად შერბილებულია, მაგრამ თუ მამა არაკეთილსინდისიერია ან მან მიატოვა „მეუღლე,“ ბავშვის დაბადებამდე, მაშინ საქმე რთულდება. მამას არ სურს ბავშვს მისცეს გვარი, დაბადების მოწმობაში ჩაიწეროს მისი სახელი. უფრო მეტიც, არცთუ იშვიათად, „მამები“ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ბავშვი მისი არ არის და სურთ თავიდან აიცილონ საალიმენტო და სხვა ვალდებულებები. ბავშვს ეძლევა დედის გვარი, მამის სახელად იწერება დედის მიერ შერჩეული სახელი, რაც შემდგომ წლებში, როცა ბავშვი დამოუკიდებელ აზროვნებას იწყებს, ებადება კითხვა, რატომ არის იგი დედის გვარზე, ვინ არის ის კაცი, ვისი სახელიც მითითებულია მის დაბადების მოწმობაში, ვინ არის მისი მამა და ა. შ. ამას ბავშვები მტკივნეულად განიცდიან და ეს განცდები ხშირად აგრესიაში გადადის, უჩინდებათ ზიზღი ადამიანების მიმართ, თვით საკუთარი დედის მიმართაც კი.

რაც შეეხება ბავშვის წარმოშობის დადგენას, ეს კიდევ უფრო მტკივნეული ხდება ბავშვებისთვის. გამონაკლისის გარეშე, ბავშვებს აინტერესებთ ვინ არიან, ვისი შვილები არიან, ვისი გენეტიკის მატარებელი არიან. არაკეთილსინდისიერი მამის შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხს

ანუ „ბავშვის მამობის დადგენის საკითხს, სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად.⁹ გენეტიკური ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის ჩატარების აუცილებლობა და ამით მამობის დადგენა ბავშვის წარმოშობის განსაზღვრის მიზნით, კიდევ უფრო მტკიცეულია მოზარდებში და მოზარდის ასაკს გადასულ ახალგაზრდებში. მორალური ტკივილი და უარყოფითი შეგრძნებები არ აძლევს ბავშვებს საშუალებას გაიზარდონ და ჩამოყალიბდნენ საზოგადოებისათვის სრულფასოვან ადამიანებად ე. ი. არარეგისტრირებულ ქორწინებაში, იგივე ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირების ერთად ცხოვრების პერიოდში დაბადებული ბავშვის სამართლებრივი უფლებები კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან ბავშვი მამის ხაზით, მამის გვარს იღებს მხოლოდ მშობელთა რეგისტრირებული ქორწინების დროს. ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი ბავშვის გვარისა და მისი წარმოშობის დადგენა კი, დამოკიდებულია მამის კეთილ ნებაზე ან/და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

4. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს კანონით მინიჭებული აქვთ უფლება ერთობლივად და შეთხმებულად იშვილონ ბავშვი, „მეუღლეებს შეუძლიათ ბავშვი ერთად იშვილონ,⁴⁰ „თუ ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა.“⁴¹ ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ პირებს უფლება არა აქვთ იშვილონ ბავშვი, რადგან კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ბავშვი უნდა იზრდებოდეს ოჯახში. და რაკი ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირების ურთიერთობა და თანაცხოვრება ქორწინებად და მაშასადამე, ოჯახად კანონის მიერ მიჩნეული არ არის, მათ შვილად აყვანის უფლება არ გააჩნიათ.

5. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი „მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. დახმარებაზე უარის თქმისას ან/და სარჩოს მიცემის შესახებ მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობისას, სასამართლო წესით სარჩოს მიღების უფლება აქვთ:

- ა) შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს;
- ბ) ცოლს, ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში;⁴²
- გ) ასევე, „შრომისუუნარო მეუღლეს, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან.“⁴³

ე. ი. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს, გარდა მორალურ-ზნეობრივი ნორმებისა, კანონი ავალდებულებს გაუფრთხილდნენ და მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს.

არაკეთილსინდისიერი მეუღლის უღირსი საქციელისაგან კანონით დაცულია მეორე მეუღლე, არა მარტო ჯანმრთელობის გაუარესებისა და შრომისუუნარობის დროს, არამედ მაშინაც, როცა მეუღლე ორსულადაა ან/და მის მცირეწლოვან შვილს არ მიუღწევია სამ წლამდე ასაკისთვის. ვინაიდან ორსულობის პერიოდში ქალის შრომისუუნარიანობა დაქვეითებულია, ფიზიკურად შრომა აღარ შეუძლია და ასევე, მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდა დიდ დროს, მაქსიმალურ ყურადღებასა

და ენერჯიას მოითხოვს, ქალს, დედას, უკვე აღარ რჩება დრო ეწეოდეს სხვა სამუშაოს. უფრო მეტიც, რჩენის მოთხოვნის უფლებას კანონი მეუღლეს ანიჭებს არა მარტო ქორწინების პერიოდში, არამედ განქორწინების შემდეგაც, ერთი წლის განმავლობაში თუ აღმოჩნდება, რომ მეუღლე შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან. რა თქმა უნდა, ეს უთუოდ ჰუმანურობაა კანონის მხრიდან იმ შრომისუუნარო მეუღლისათვის, ვინც არაკეთილსინდისიერი მეუღლის მხრიდან უყურადღებოდ იქნება მიტოვებული, მაგრამ რა ხდება ფაქტობრივი ქორწინებისას. აქ „მეუღლეები“ სრულიად დაუცველები არიან და მთლიანად დამოკიდებულნი არიან მეუღლეთა კეთილსინდისიერებაზე და მათ შინაგან პატიოსნებაზე. ვინაიდან ფაქტობრივი ქორწინება ოჯახად არ მიიჩნევა, კანონს არ ძალუძს დაეხმაროს ადამიანებს, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. ფაქტობრივი ქორწინება არ წარმოშობს უფლებებს, შესაბამისად, არ არსებობს ვალდებულებებიც და არაკეთილსინდისიერ „მეუღლეს“ სინდისის ქენჯნის გარეშე და ამავე დროს, სამოქალაქო დასჯის გარეშე, შეუძლია ბედის ანაბარა დატოვოს შრომისუუნარო „მეუღლე“ და მცირეწლოვანი შვილი.

6. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, „არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.“⁴ რა თქმა უნდა, ახლობლებს შორის მეუღლაც მოიაზრება. ეჭვმიტანილ თუ უკვე ბრალდებულ მეუღლესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეორე მეუღლეს, კანონით და მოქმედი წესებით უფლება აქვს მონახულოს საპატიმრო და დაკავების ადგილებში მყოფი მეუღლე. რაც შეეხება ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს, ეს უფლება არ გააჩნიათ. ისინი კანონისთვის მეუღლეები არ არიან.

მიგვაჩნია, რომ სამართლის ამგვარი მიდგომა ამ კონკრეტული სოციალური დე ფაქტო მოვლენის მიმართ არასწორია, ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლე დღეს მოქმედი სამართლებრივი ნორმების მიხედვით, მეუღლედ არ მიიჩნევა რა, ვალდებულია ჩვენება მისცეს საგამოძიებო ორგანოებს იმ ადამიანის საწინააღმდეგოდ, ვისთანაც ფაქტობრივ ქორწინებაში უკვე წლებია იმყოფება. გამოდის, რომ არა თუ საოჯახო სამართლის ნორმები, არამედ თვით უზენაესი კანონი, კონსტიტუციაც კი არ/ვერ იცავს თავის მოქალაქეს იმ მოსალოდნელი და ადვილად გამოსაცნობი საშიშროებისაგან, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აიძულებს ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფმა ერთმა „მეუღლემ“ მეორე „მეუღლის“ საწინააღმდეგო ჩვენება მისცეს.

7. ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეებისათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამასთან, მტკივნეულია ქონებრივი საკითხი. დიდია განსხვავება რეგისტრირებულ და ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების მიერ თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი მოძრავი თუ უძრავი ქონების აღრიცხვის, გაყოფის, მიკუთვნების და ა. შ სამართლებრივ რეგულირებაში. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების მიერ შექმნილი ქონების ბედს ნათლად და ზუსტად განსაზღვრავს კანონი, ფაქტობრივი ქორწინებისას კი, ეს საკითხი აბსოლუტურად უგულებელყოფილია.

ადამიანები უკავშირებენ რა, ერთმანეთს თავიანთ ცხოვრებას, არავინ ფიქრობს, რომ მომავალში დასცილდებიან. პირიქით, აქვთ კეთილშობილური მიზნები და გეგმები – ერთად იყვნენ, ერთად გაზარდონ შვილები, დატკბნენ შვილიშვილების ცქერით და ერთად მიაღწიონ ღრმა და მშვიდ სიბერეს. ასეთი მიზნები აქვთ როგორც რეგისტრირებულ, ისე ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს. სწორედ ამიტომაც, ქორწინების დღიდანვე, იწყებენ რა თანაცხოვრებას, იწყებენ ქონების შექმნასაც და უჩნდებათ საერთო მოძრავი და უძრავი ქონება, დაწყებული წვრილმანი საყოფაცხოვრებო ნივთებით, დამთავრებული საცხოვრებელი ბინებით, აგარაკებით, კომერციული ფართებით, მიწის ნაკვეთებით, ძვირადღირებული მანქანებით და ა. შ.

დროთა განმავლობაში, მეუღლეების თანაცხოვრებაში ყოფნის გარკვეულ მონაკვეთში, თავს იჩენს უარყოფითი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები, ჩნდება ბზარები ცოლქმრულ ურთიერთობაში და ხშირ შემთხვევაში, დარღვეული მშვიდი თანაცხოვრება ცოლ-ქმრის დაშორებით მთავრდება. ცოლქმრული ურთიერთობის შეწყვეტისას, სხვა ინტერესებთან ერთად, წინა პლანზე გამოდის იმ ქონების ბედის გადაწყვეტის საკითხი, რომლებიც მეუღლეებმა ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებმა ურთიერთშეთანხმებით ვერ მოაგვარეს საკითხი, მიმართავენ სასამართლოს სარჩელით ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების გაყოფის თაობაზე.

ვინაიდან არსებობს რეგისტრირებულ და ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ორი კატეგორია, ისმება კითხვა – აქვს თუ არა ორივე კატეგორიის მეუღლეებს უფლება ამგვარი სარჩელით მიმართოს სასამართლოს? პასუხი უარყოფითია. ამგვარი სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, ვინც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. რეგისტრირებული ქორწინება კანონის მიერ აღიარებულია კანონიერ ქორწინებად და ორივე მეუღლის უფლებები და ინტერესები მათ შორის, ქონებრივიც მაქსიმალურად დაცულია, ხოლო ფაქტობრივი ქორწინება სამართლის მიერ ქორწინებად აღიარებული არ არის და მთელი რისკები „მეუღლეებზე“ მოდის.

რეგისტრირებულ ქორწინებაში შექმნილ ქონებას კანონი ორივე მეუღლის საერთო საკუთრებად იმთავითვე თვლის და მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში, შუაზე იყოფა, მნიშვნელობა არა აქვს ერთი მეუღლე მუშაობდა და მატერიალურად უზრუნველყოფდა ოჯახს და მეორე მეუღლე სახლში იყო და უვლიდა ოჯახს, რადგან კანონის მიერვე ერთ-ერთი მეუღლის ოჯახში შრომა, მეუღლისა და შვილების მოვლა-პატრონობა გათანაბრებული იქნა იმ მეუღლის შრომასთან, რომელიც ოჯახს მატერიალურად უზრუნველყოფს: „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, არ ჰქონდა

დამოუკიდებელი შემოსავალი.⁴⁵ თანასაკუთრებაში არსებული ქონების მართვისას მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები და „ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთ ურთიერთშეთანხმებით.“⁴⁶ უფრო მეტიც, მეუღლეთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს არა მარტო ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონება, არამედ ერთი მეუღლის ქონება შესაძლებელია გადაიქცეს მეორე მეუღლის საკუთრებად და მოექცეს საერთო საკუთრების სამართლებრივ რეჟიმში. „თითველი მეუღლის ქონება შეიძლება ჩითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (დაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა).“⁴⁷

„მეუღლეთა საერთო ქონება თითველი მთგანის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგაც.“⁴⁸

რაც შეეხება ფაქტობრივ ქორწინებას, რადგან ფაქტობრივი ქორწინება კანონის ფარგლებს გარეთ არსებული, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაა და არა ოჯახი, კანონს ხელები აქვს დაბანილი და ბედის ანაბარა ჰყავს მიტოვებული თვისი მოქალაქეები. მერე რა, რომ ფორმალურად ისინი ოჯახურ ურთიერთობას ეწევიან, ზრდიან შვილებს, იძენენ ქონებას და კონფლიქტის წარმოშობამდე ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებენ, სულ ერთია, მათ მიერ შექმნილი უძრავი და მოძრავი ქონება საერთო ქონებად არ ჩაითვლება და ის მხოლოდ და მხოლოდ იმ „მეუღლის“ (პირის) საკუთრებად მიიჩნევა, ვისზეცაა გაფორმებული, მეორე „მეუღლე“ კი, რჩება არაფრის გარეშე. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ნივთებს, მაგალითად: საწოლს, კარადებს, სამზარეულოსა და სააბაზანო მოწყობილობას, ტექნიკას და სხვა ნივთებს, მათი გაყოფა არ ხდება, რადგან როგორც წესი, ამ ნივთების შექმნის ქვითრებს არავინ ინახავს, მით უფრო წლების მანძილზე, ამიტომაც ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი „მეუღლეების“ დაშორებისას, მოძრავი ნივთები არც სამართლიან და არც უსამართლო გაყოფის პრინციპს არ ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში მეუღლე, რომელიც იძულებული გახადეს წასულიყო, ვარდება უკიდურესად დაზარალებულ მდგომარეობაში.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, არსებობს თუ არა რაიმე გამოსავალი, რომ ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლე, რომელმაც ფიზიკური თუ მატერიალური რესურსი ოჯახს დაახარჯა, ცარიელი არ დარჩეს? თუ დაზარალებული მეუღლე მეორე მეუღლის კეთილ ნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული?

რა თქმა უნდა, ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფმა დაზარალებულმა „მეუღლემ“ აუცილებლად უნდა მიმართოს სასამართლოს და სასამართლოს მეშვეობით შეეცადოს დაიცვას თავისი ინტერესები. სასამართლოსთვის მიმართვისას მის მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს ფაქტობრივ ქორწინებაში შექმნილი ქონების თანასაკუთრებაში აღრიცხვა ან გაყოფა. ცხადია, მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული ვერ იქნება საოჯახო-საქორწინო სამართლის ნორმები, არამედ იგი

დარეგულირებული უნდა იქნას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრებასთან დაკავშირებული ნორმებით, კერძოდ, საერთო საკუთრების ნორმებით, რომელთა საფუძველზე ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ქონება, რომელიც შეძენილი იქნა მათი თანაცხოვრების პერიოდში და ეწეოდნენ ერთიან საოჯახო და სამეურნეო ცხოვრებას, შესაძლებელია ჩაითვალოს საერთო წილობრივ საკუთრებად.

ასეთი სასარჩელო მოთხოვნების დადასტურება და სასამართლოს დარწმუნება, რომ ფაქტობრივ ქორწინებაში აქვთ მეუღლეებს შეძენილი ქონება, ადვილი არ არის, რადგან მხარეს უწევს ორი დიდი გარემოების დამტკიცება:

1. მეუღლე მეორე მეუღლესთან იმყოფებოდა ფაქტობრივ ქორწინებაში და ცხოვრობდნენ ერთად.
2. თანაცხოვრების პერიოდში ეწეოდნენ საერთო სამეურნეო საქმიანობას და საერთო ძალებით და ფინანსებით იძენდნენ ქონებას.

საამისოდ სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნას შესაბამისი და თანაც უტყუარი მტკიცებულებები. კერძოდ, ჩვენი მოსაზრებით, პროცესის მოსაგებად შეკრებილი და სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნას შემდეგი სახის მტკიცებულებები:

- ა) ქვითრები, ჩეკები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ცალსახად დაადასტურებენ ქონების შეძენის ფაქტს, დროს, გარემოებას, გადამხდელის გვარს და სახელს და სხვა.
- ბ) წერილები, მიმოწერები სოციალურ ქსელებში, ელექტრონულ ფოსტაში, ტექსტური შეტყობინებები მობილურში და სხვა.
- გ) კრედიტორისთვის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, ხელწერილები, საბანკო გადარიცხვის ქვითრები, რომელშიც მითითებული იქნება კრედიტორის, მოვალის ან გადამხდელის გვარი, სახელი, დანიშნულება, დრო, თარიღი და სხვა.
- დ) მოწმეები: ახლობლები, ბავშვები, მეგობრები, მეზობლები, შეძენილი ქონების ძველი მესაკუთრეები და სხვა, რომლებიც თავიანთ ჩვენებებში დაადასტურებენ ერთად ცხოვრების და ქონების შეძენის ფაქტს და სხვა.
- ე) ფოტოსურათები.
- ვ) საკრედიტო ხელშეკრულებები, სადაც აღნიშნული იქნება თანხის ოდენობა, დრო, გადახდის ვადები.
- ზ) თანაცხოვრების პერიოდში ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების მიერ ქონების შეძენისას, შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტები.
- თ) საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტიზის დასკვნები და სხვა სახის დოკუმენტები, რომლებსაც მნიშვნელობა ექნება საქმესთან მიმართებაში.

რა თქმა უნდა, ასეთი დოკუმენტების მოძიება და სასამართლოში წარდგენა ადვილი არ არის, მაგრამ არც შეუძლებელი. მათი შესწავლისა და ერთობლიობაში შეფასებისას, შესაძლებელია სასამართლომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და „დაჩაგრული მეუღლე“ აღმოჩნდეს არაკეთილსინდისიერი მეუღლის ქონების წილობრივი მესაკუთრე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგისტრირებულ ქორწინებაში მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება მათ საერთო საკუთრებას წარმოადგენს და კანონით იცავს თითოეულ მათგანს იმ მოსალოდნელი ზიანისაგან, რაც შესაძლებელია მიადგეს არაკეთილსინდისიერი მეუღლისაგან. იმ შემთხვევაში, თუ არაკეთილსინდისიერი მეუღლე წერილობითი თანხმობის გარეშე, გაასხვისებს ქორწინების პერიოდში ერთად შექმნილ საერთო თანასაკუთრების საგანს, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ დაზარალებულ „მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი“⁴⁹ და ამით აინაზღაუროს მეუღლის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანი.

აბსოლუტურად დაუცველია ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი „მეუღლეების“ ქონებრივი უფლებები, რადგან ფაქტობრივი ქორწინების საფუძველია არა კანონი, არამედ ურთიერთნდობა, „მეუღლეთა“ კეთილსინდისიერება, ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებები.

როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, კეთილსინდისიერებას ყავლი მალე გაუდის ხოლმე, ხოლო ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებების მირაჟი ქრება და ადამიანები ვარდებიან უკიდურეს მდგომარეობაში.

რადგან ფაქტობრივ ქორწინებაში შექმნილი ქონება არ წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას და ის, იმ მეუღლის საკუთრებაა, ვისზედაც ქონებაა გაფორმებული, ამიტომაც ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ „ცოლს“ თუ „ქმარს“ არ სჭირდებათ არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით გაცემული თანხმობა, რათა „მეუღლემ“ გაასხვისოს მის სახელზე რიცხული ქონება ე. ი. წარმოიშობა მდგომარეობა, როცა ერთი „მეუღლეთაგანი“ თვითნებურად ასხვისებს „საერთო წილობრივ საკუთრებას“ და მეორეს არ შეუძლია ამას ხელი შეუშალოს.

8. ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების კანონისაგან აბსოლუტური დაუცველობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს, როცა „მეუღლეები“ აღმოჩნდებიან ხოლმე მემკვიდრეობის საკითხის პირისპირ. რეგისტრირებული ქორწინებისას ცოცხლად დარჩენილი მეუღლე გარდაცვლილი მეუღლის პირველი რიგის მემკვიდრეა, რომელსაც კანონმა მიანიჭა უფლება მიიღოს ქონება, მოითხოვოს დახმარებები, მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია, სათანადო გარემოებების არსებობისას, კომპენსაცია. ასევე, აუღებელი ხელფასი, შვებულების ფული, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის თანხები და ა.შ. ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლე მიუხედავად ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთად თანაცხოვრებისა, ვერ ხდება გარდაცვლილი მეუღლის კანონისმიერი მემკვიდრე, ვერ ღებულობს ერთად შექმნილ ქონებას, ვერანაირ დახმარებას, კომპენსაციას, პენსიას მარჩენალის დაკარგვის გამო და ა. შ.
9. ყოფა-ცხოვრებაში არის ისეთი მაგალითებიც, როცა ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს მრავალწლიანი თანაცხოვრების შემდეგ მიუღიათ გადაწყვეტილება სარეგისტრაციო

ორგანოში ხელისმოწერით განამტკიცონ თავიანთი ოჯახური ურთიერთობა. ასეთ შემთხვევაში, როგორ წყდება ხელისმოწერამდე მათ მიერ შეძენილი ქონების ბედი? ჩაითვლება თუ არა ეს ქონება თანასაკუთრებად? პასუხი უარყოფითია, რადგან კანონი ამოქმედებას იწყებს მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ქალი და მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით ხელს მოაწერენ სარეგისტრაციო ორგანოში. ვინაიდან ფაქტობრივ ქორწინებას კანონი არ მიიჩნევს ქორწინებად, ბუნებრივია, ვერ განსაზღვრავს იმ ნივთების სამართლებრივ ბედს, რომლებიც სწორედ, რეგისტრაციამდე შეიძინა წყვილმა. ასეთი ქონება იმ პირის საკუთრებად ითვლება ვისზედაც ის არის აღრიცხული.

10. კიდევ ერთი შეზღუდვა, რომელიც აქვთ ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ „მეუღლეებს“ არის ის, რომ მათ უფლება არა აქვთ მიმართონ სასამართლოს მეუღლის უგზოუკვლოდ დაკარგულად თუ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, მაშინ როდესაც ასეთი უფლებით სარგებლობენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები.

პირის აღიარება უგზოუკვლოდ დაკარგულად თუ მისი გარდაცვლილად გამოცხადება დაკავშირებულია ქონებრივ ურთიერთობებთან: ქონების მართვასთან, მოვლა-პატრონობასთან, განკარგვასთან, მემკვიდრეობასთან და ა.შ. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე, რომელიც დაინტერესებულ პირს წარმოადგენს, ყოველგვარი სამართლებრივი ბარიერებისა და აკრძალვების გარეშე, მიმართავს სასამართლოს და სასამართლოც შესაბამისი დოკუმენტების არსებობის შემთხვევაში, აკმაყოფილებს მოთხოვნას. ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ „მეუღლეს“, რომელიც მეუღლის გაუჩინარების შემდეგ ფაქტობრივად ოჯახში ცხოვრობს, მართავს, უვლის ქონებას, არა თუ სამართლებრივი ბარიერები ხვდება, საერთოდ არ განიხილება მისი განცხადება, ვინაიდან ის არ არის სათანადო მხარე, ისევე და ისევე იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ ფაქტობრივ ქორწინებას კანონი ქორწინებად არ მიიჩნევს და შესაბამისად, უკანონო ურთიერთობაზე სამართლებრივი ნორმები არ ვრცელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებას, რასაც სამართალი რეგისტრირებული და ფაქტობრივი ქორწინებასას, ამ ორი იურდიული ტერმინის ქვეშ მყოფი ადამიანების მიმართ ადგენს და საერთოდ, ფაქტობრივი ქორწინების სამართლებრივი რეგულირების მიღმა მოქალაქეების დატოვებას დიდი და ზოგჯერ გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივი ქორწინებით შექმნილი დე ფაქტო ოჯახები, რომლებიც სამართლებრივი სივრცის მიღმაა დარჩენილი, სამოქალაქო დარგის ქართველი მეცნიერები თუ პრაქტიკოსი იურისტები ნაკლებ მტკივნეულად აღიქვამენ და არ განიხილავენ ამ მოვლენას, როგორც სერიოზულ პრობლემას, რომელიც როგორც რეგისტრირებული ქორწინების ალტერნატიული ქორწინება, როგორც სოციალური მოვლენა, დღევანდელ ყოფით ურთიერთობაში სულ უფრო და უფრო მზარდი ხდება.

ფაქტობრივი ქორწინებით შექმნილი ოჯახების მკვეთრი ზრდა და მის საფუძველზე „მეუღლეებს“ შორის წარმოშობილი კონფლიქტები და დავები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების მორალურ-ზნეობრივ და სამართლებრივ მდგომარეობაზე, მტკიცენი საკითხია რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობისთვისაც.

რუსეთის ფედერაციის საოჯახო სამართალი ცნობს და აღიარებს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შექმნილი ქალისა და მამაკაცის ქორწინებას და იცავს მხოლოდ ამ წესით შექმნილი ოჯახებისა და მისი წევრების სამართლებრივ უფლებებს.

რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ქორწინებად მიიჩნევა, მხოლოდ სამოქალაქო აქტების მარეგისტრირებელ ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინება,“ ხოლო ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, „საოჯახო კანონმდებლობა ადგენს საოჯახო სამართლის განხორციელებისა და დაცვის პირობებს, ქორწინებისა და მისი შეწყვეტის წესს, ქორწინების არანამდვილად ცნობის პირობებს ასევე, არეგულირებს ოჯახის წევრებს შორის პირად არაქონებრივ და ქონებრივ ურთიერთობებს.“²⁰

ფაქტობრივი ქორწინება კი, როგორც საოჯახო ურთიერთობათა სტილი და რეგისტრირებული ქორწინების ალტერნატივა, დარჩენილია სამართლებრივი რეგულირების მიღმა.

ე. ი. რუსეთის საოჯახო სამართალი არ სცნობს ფაქტობრივ ქორწინებას და ქორწინებად მიიჩნევს მხოლოდ საოჯახო კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ქორწინებას:

1. ქორწინება დგება მხოლოდ სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ აქტების ჩამწერ ორგანოებში.
2. მეუღლეებს უფლებები და მოვალეობები წარმოეშობათ მხოლოდ სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოებში, სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ აქტების რეგისტრაციის დღიდან.²¹

იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ნორმატიული აქტები (ასევე, საქართველოს კანონმდებლობაც) არ სცნობენ ტერმინს „ფაქტობრივ ქორწინებას“ მისი შინაარსის მიუხედავად, ეს ტერმინი ადამიანთა ყოფით ცხოვრებაში მაინც არსებობს და ვერ გამორიცხავს და ვერ კრძალავს მის გამოყენებას. რის დადასტურებასაც წარმოადგენს ბოლო წლებში რუსეთის სასამართლო ორგანოების აქტებში აღნიშნული ტერმინის ხშირი გამოყენება.

კანონის მკაცრი და კატეგორიული მოთხოვნების მიუხედავად, ჩვენს თანამედროვეობაში ფაქტობრივ ქორწინებაში და რეგისტრაციის გარეშე, მეუღლეთა თანაცხოვრებაში ყოფნის მსურველ მოქალაქეთა რიცხვი, დღითიდღე მზარდი ხდება. რა თქმა უნდა, ამის მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, მოქალაქეებს უნდათ რომ შეამოწმონ თავიანთი ურთიერთობა, იურიდიული ჩარჩოებიდან გასული და ოფიციალური ქორწინების გარეშე, შეამოწმონ თავიანთი ხასიათები, გრძნობები, გაიარონ ურთიერთნდობის, შეგუებისა და ურთიერთპატივისცემის პერიოდი, სხვა შემთხვევაში, ზოგიერთს

მიანია, რომ რეგისტრაცია მხოლოდ ფორმალობა და ქალაქდომანიაა, ხშირად ბავშვების დაბადებაც კი, არ მიანიათ საკმაოდ სერიოზულ მიზეზად მოახდინონ ქორწინების რეგისტრაცია.²² გამორიცხული არ არის, რომ ფაქტობრივი ქორწინება თავის თავში მოიცავდეს ან ერთი ან მეორე არაკეთილსინდისიერი მეუღლის მხრიდან ანგარებასაც, მოტყუებასაც და სხვა არასასურველ და მიუღებელ ქვენაგრძნობებსაც. ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მოქალაქეები თავიანთ ურთიერთობას სერიოზულად და მტკივნეულად მხოლოდ მაშინ აღიქვამენ, როცა „მეუღლეებს“ შორის იწყება კონფლიქტი, ჩხუბი და დავა, როცა ერთმანეთს ეყრებიან და დგებიან ქონებრივი თუ სხვა პრობლემების წინაშე.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის საოჯახო კანონმდებლობა იცავს მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების უფლებებსა და აღჭურავს მათ სამართლებრივი გარანტიებით, მაგრამ ვინაიდან „ფაქტობრივი ქორწინება“ იურიდიული ჩარჩოების მიღმა დარჩენილი, თავსატეხი უჩნდება სამართალს: როგორ დაეხმაროს „მეუღლეებს“, როგორ დაარეგულიროს რეალურად დე ფაქტოდ არსებული ურთიერთობა, თუ დატოვოს ადამიანები ბედის ანაბარა, მისცეს თავისუფლება არაკეთილსინდისიერ „მეუღლეს“ დაჩაგროს მეორე, გამოიყენოს მისი მატერიალური, ფიზიკური და სხვა შესაძლებლობები, შემდეგ კი, ისე მიატოვოს, რომ სანაცვლოდ არაფერი გაიღოს, არაფერი დათმოს და არანაირი პასუხისმგებლობა არ დაეკისროს. ბუნებრივია, არარეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვის ზრდა და რეალურად არსებული ურთიერთობა, ადრე თუ გვიან აიძულებს სახელმწიფოსაც და სამართალსაც შეიმუშაოს სპეციალური ნორმები და მოახდინოს ფაქტობრივი ქორწინებითი ურთიერთობის დარეგულირება და იურიდიულ ჩარჩოებში მისი მოქცევა. თუ ადრე მაგალითად, 2011 წლამდე რუსეთის ფედერაციის სასამართლოები ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირების სარჩელებს არ განიხილავდენენ, რადგან კანონი არ სცნობდა მას, როგორც ოჯახს, 2011 წლის შემდეგ, აღნიშნული საკითხისადმი რუსეთის სასამართლოების დამოკიდებულება და შესაბამისად, სასამართლოების მიდგომა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით დადგენილი პრაქტიკა შეიცვალა. სასამართლოები ყოფით ცხოვრებაში არსებულ ურთიერთობიდან გამომდინარე, იძულებულები არიან ყურადღება მიაქციონ ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: ერთობლივი თანაცხოვრება და ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ერთობლივი მეურნეობა, ფაქტობრივ ქორწინებაში ერთად ცხოვრების პერიოდში მეუღლეების საერთო ქონებისადმი დამოკიდებულება, როცა არ არსებობს მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის წილის გამოყოფის განზრახვა და სხვა.²³

ამგვარად, რუსეთის სასამართლოების დამოკიდებულების ცვლილება „ფაქტობრივი ქორწინებით“ შექმნილი და მათ საფუძველზე წარმოშობილი სარჩელების მიმართ, იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ჩვენი, ეროვნული სამართლისაგან განსხვავებით, რუსულმა სამართალმა უკვე დაიწყო ფიქრი და ზრუნვა არარეგისტრირებული ქორწინებითი ურთიერთობის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივ ქორწინებით ურთიერთობასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს უკრაინის კანონმდებლობას.

უკრაინის მოქმედი კანონმდებლობა კერძოდ, საოჯახო კოდექსის 74-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ქალი და მამაკაცი ცხოვრობენ ერთ ოჯახად ქორწინების რეგისტრაციის გარეშე და არ იმყოფებიან სხვაგვარ რეგისტრირებულ ქორწინებაში, მათ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებზე ვრცელდება ისეთივე სამართლებრივი ნორმები, როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებზე. ამ საერთო წესიდან გამომდინარე, ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი ქორწინების პერიოდში წარმოშობილი ქონება მიეკუთვნება საერთო ერთობლივ საკუთრებას, მიუხედავად იმისა, თუ ერთ-ერთ მეუღლეს საპატიო მიზეზის გამო, არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. არსებობს ისეთი შესაძლებლობაც, როცა ფაქტობრივი ქორწინებისას წარმოშობილი (შექნილი) ქონების რეგისტრაცია ხდება როგორც ერთი მეუღლის კერძო საკუთრება თუმცა, მისი გაყოფა შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების მეშვეობით.⁴⁴ სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ორი საკითხის დადგენა:

1. დადგენილი იქნას „მეუღლეების“ სამოქალაქო (ფაქტობრივ) ქორწინებაში ყოფნის და მისი ხანგრძლივობის ფაქტი;
2. ერთობლივი თანაცხოვრების პერიოდში შექნილი ქონების ფაქტი.

უკრაინის საოჯახო კოდექსის 74-ე მუხლი პირდაპირ ადგენს:

- „1. თუ ქალი და მამაკაცი ცხოვრობენ ერთ ოჯახად, მაგრამ არ იმყოფებიან ერთმანეთთან რეგისტრირებულ ქორწინებაში ან/და სხვაგვარ რეგისტრირებულ ქორწინებაში, ქონება, რომელიც წარმოშობილია მათი ერთად ცხოვრების პერიოდში, მიეკუთვნება მათ საერთო საკუთრების, თუ მათ შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულებით სხვა რამე არ არის დადგენილი.
2. ქონებაზე, რომელიც ითვლება ქალისა და მამაკაცის ერთობლივი საკუთრების ობიექტად, როცა ქალი და მამაკაცი არ იმყოფება რეგისტრირებულ ან ნებისმიერ სხვაგვარ ქორწინებაში, ვრცელდება ამავე კოდექსის მე-8 თავით გათვალისწინებული წესები.“⁴⁵

უკრაინის საოჯახო კოდექსის მე-8 თავი კი, ითვალისწინებს, რომ მეუღლეთა საერთო საკუთრების ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც ამოღებული არ არის სამოქალაქო ბრუნვიდან. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით კი, ცოლს და ქმარს უფლება აქვთ, თანაბრად ფლობდნენ, სარგებლობდნენ და განკარგავდნენ საერთო საკუთრების ობიექტს, საერთო წილობრივი საკუთრებიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, ამავე კოდექსის 62-ე მუხლის მიხედვით, „საერთო საკუთრების უფლების წარმოშობა ქონებაზე, რომელიც ცოლის ან ქმრის საკუთრებას წარმოადგენს“, საერთო საკუთრების სამართლებრივ რეჟიმში ექცევა არა მარტო ფაქტობრივი ქორწინების პერიოდში შექნილი ქონება, არამედ საერთო საკუთრების რეჟიმში ექცევა ასევე, მეუღლეთა ის საკუთრებაც, რომელიც მათ ჰქონდათ მანამდე, ვიდრე ფაქტობრივ ქორწინებით ურთიერთობას დაიწყებდნენ, თუ მათი ერთად ცხოვრების პერიოდში ასეთი ქონების ღირებულება საგრძნობლად გაიზარდა და გაფართოვდა:

„1. თუ ქალისა და მამაკაცის (ქორწინებამდელი) ქონების ღირებულება ერთად ცხოვრების განმავლობაში არსებითად მოიმატებს, საერთო შრომისა და ერთობლივი ფულადი დანაზოგის, ანდა ერთ-ერთი მეუღლის ფულადი დანაზოგის ხარჯზე, დავის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ეს ქონება შეიძლება გადაიქცეს მეუღლეთა საერთო საკუთრებად.“⁴²⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირების სამართლებრივი მდგომარეობა, უკრაინის კანონმდებლობით უფრო დაცულია, ვიდრე ჩვენი და იგივე რუსეთის კანონმდებლობის მიერაა დაცული. უკრაინის კანონმდებლობის მიერ მეტნაკლებად შევსებულია ის სიცარიელე, რაც ასე თვალშისაცემია ჩვენს კანონმდებლობაში ფაქტობრივი ქორწინების სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით.

მართალია, ადამიანებს, როგორც რეგისტრირებულ ისე არარეგისტრირებულ, ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ პირებს უფლება აქვთ რელიგიური წესით ჯვარი დაიწერონ და ამით დაადასტურონ ურთიერთშორის ოჯახური კავშირი, მაგრამ საეკლესიო ჯვრისწერა სამართლებრივ შედეგებს არ იძლევა არათუ არარეგისტრირებული, ფაქტობრივი ქორწინებისას, არამედ, თვით რეგისტრირებული ქორწინების პირობებშიც კი. ამაზე სწორად მიუთითებს ნ. კვანტალიანი თავის სტატიაში. იგი აღნიშნავს: „გართულებულია ვითარება ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ (დაუქორწინებელ) პირებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ სასამართლო პრაქტიკა, 1151-ე მუხლით გათვალისწინებულ იმპერატიულ მოთხოვნას, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში ავრცელებს. საეკლესიო წესით ჯვრისწერის მიუხედავად, სახელმწიფოსაგან მისი აღიარების, მეუღლეთა კანონით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი ვერ გახდება, ვინაიდან კონსტიტუციური შეთანხმების ნორმა დეკლარაციული ხასიათისაა. ნორმით ზუსტად განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ ჯვრისწერის აღიარების ფარგლები, ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღსრულების შემდეგ, ახლადშექმნილი ოჯახი მართლმადიდებლური წესით ხდება კანონიერი და მას რაიმე თანმდევი კანონით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არ მოჰყვება. ასეთი ფაქტობრივი ქორწინება რეგისტრირებულისაგან განსხვავებით, სრულყოფილად არ წარმოშობს მექორწინეებისთვის კანონით დადგენილ ქონებრივ უფლებებს. ამ მიმართებით ეროვნული სასამართლოებისთვის გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ქორწინების გარეშე ერთ ოჯახად მცხოვრებ პირთა სამართლებრივ მდგომარეობაზე.

ეროვნული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ვინაიდან ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი ოჯახების ოდენობა მზარდი რეალობაა და მას ახასიათებს ოჯახისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პარტნიორების არა მარტო ფორმალურ ურთიერთობას, არამედ მათ ფაქტობრივ კავშირებსაც. „ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მომხდარი სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების

გათვალისწინებით, ოჯახური ცხოვრების განმარტება სტრასბურგის ორგანოების მიერ გასცდა ფორ-
მალურ ურთიერთობას და ასევე, მოიცავს ფაქტობრივი კავშირები პარტნიორებს შორის. ამდენად, თუ
პარტნიორებს არა აქვთ ფორმალური ურთიერთობა, შეადგენს თუ არა ასეთი ურთიერთობა ოჯახურ
ცხოვრებას, დამოკიდებული იქნება ფაქტობრივ მდგომარეობაზე.“ „ოჯახური ცხოვრების ცნება არ
იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე
ფაქტო „ოჯახურ კავშირებს,“ როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე.“²⁷

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ფაქტობრივი ქორწინება,
რომელიც სულ უფრო და უფრო მზარდი ხდება, საზოგადოებისაგან და სახელმწიფოსაგან მეტ და
სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. ალბათ, დროა სამართალმა დაიწყოს ფიქრი, რომ ფაქტობრივი
ქორწინება სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციოს და არ მისცეს საშუალება არაკეთილსინდისიერ
მოქალაქეებს თავიდან აიცილონ ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რომლებიც ფაქტობრივი
თუ რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში წარმოიშობა.

შენიშვნები:

- 1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1151.
- 2 იქვე, მ. 1152.
- 3 იქვე, მ. 1153.
- 4 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1123.
- 5 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1187.
- 6 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1189.
- 7 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1194.
- 8 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1195.
- 9 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1190.
- 10 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1246.
- 11 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1247.
- 12 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1182.
- 13 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1183.
- 14 საქართველოს კონსტიტუცია, მ. 42, პ. 8.
- 15 საქ.სამოქალაქო კოდექსი,მ.1158.
- 16 საქ.სამოქალაქო კოდექსი,მ.1159.
- 17 საქ.სამოქალაქო კოდექსი,მ.1163.
- 18 საქ.სამოქალაქო კოდექსი,მ.1164.
- 19 საქ. სამოქალაქო კოდექსი, მ. 1160.
- 20 Семейный кодекс РФ <http://semeinyj-kodeks.ru/st-2-sk-rf>
- 21 იქვე, მუხლი 10.
- 22 [http //Раздел имущества супругов в „гражданском браке“, Брусков П. В.](http://Раздел имущества супругов в „гражданском браке“, Брусков П. В.)
- 23 <http Раздел имущества супругов в „гражданском браке“, Брусков Павел Витальевич.>
- 24 <https://www.baf.kiev.ua.https://. Голубничий Олег Игоревич.>
- 25 Семейный Кодекс Украины 2018 Украины-[www.UBC. UA](http://www.UBC.UA)მუხლი 74.
- 26 იქვე, მუხლი 62.
- 27 ნ. კვანტალიანი, www-gccc.ge/up-content/uploads/2016/03/Artikel-133-pdf. Pg.2-3.



UNREGISTERED MARRIAGE AND ITS LEGAL REGULATION

LALI ABRAMISHVILI

Doctor of Law

ASMAT GUGAVA

Doctor of Law

Between the members of the community (and not only us), the role of unregistered marriage is increasing as an alternative type of registered marriage.

Although the unregistered marriage has all the characteristic of the family, it is left beyond the legal regulation. This creates an inconvenience to society and the state. Unregistered marriage as a social event is "de facto" and its growing number creates the necessity to elaborate the legal norms that regulate such relationships. Legal regulation of unregistered marriage will eliminate legal discrimination which exists between the citizens today.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის გობადი ასპექტები

სოფიო დემეტრაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს გარკვეული კლასიფიკაცია ახასიათებს. ადამიანის ძირითადი უფლება არის სახელმწიფოსგან დაცვის მექანიზმი, რათა არ მოხდეს უხეში ჩარევა. ამასთან, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება დაიცვას ინდივიდის უფლებები მესამე პირთა ჩარევისაგან. სწორედ აღნიშნულს მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება.¹

თანამედროვე სამყაროში არსებული გამოწვევების ფონზე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პერსონალური მონაცემების დაცვას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სხვადასხვა სისტემებისათვის დამახასიათებელია განსხვავებული მიდგომები პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის კუთხით. აღსანიშნავია, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს უკანონო საშუალებების გამოყენების პრევენცია, შემდგომში ზიანის თავიდან აცილების მიზნით. ამ კუთხით, მნიშვნელოვან გარანტორს წარმოადგენს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენცია, რომელიც პერსონალურ მონაცემს განსაზღვრავს, როგორც „ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ² ან იდენტიფიცირებად³ ფიზიკურ პირს.“⁴

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს, შეუძლია წარმოშვას უფლებები და მოვალეობები ეროვნულ დონეზე. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ, თავიანთი უფლებები დაიცვან ევროპული კონვენციის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტები მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (და მისი დამატებითი ოქმების) ტექსტში, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით.⁵ ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიაზრება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე, ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები.⁶ კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა მეტისმეტად ზოგადად არის ფორმულირებული. კონვენციასთან ერთად, ადამიანის უფლებათა სტანდარტები გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.⁷ ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტდება კონვენციის (და მისი ოქმების) დებულებათა შინაარსი და ფარგლები.⁸ კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ნათელს ჰფენს კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.⁹

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი საფუძვლები

დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს პერსონალურ მონაცემთა დაცვა წარმოადგენს, რომელიც დაცულია 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, პირადი ცხოვრების უფლება.¹⁰ „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“¹¹

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი ადგენს, რომ „არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.“¹² ასევე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის თანახმად: „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა და მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციის, ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.“¹³

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალური მონაცემების დაცვა ძალზედ აქტუალური საკითხებია როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების დონეზე.¹⁴ პერსონალური მონაცემების დაცვა უკავშირდება ადამიანის ავტონომიას, პირადი ინფორმაციის განკარგვას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და პირადი ცხოვრების უზრუნველყოფას.¹⁵ შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას რამდენიმე საუკუნოვანი ისტორია აქვს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას.¹⁶ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მთავარი გარანტი საქართველოში, საქართველოს კონსტიტუციაა.¹⁷ კერძოდ კი, კონსტიტუციის მე-15 მუხლი.¹⁸ მართალია, მოცემული დებულება იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მაგრამ არა აბსოლუტურად. იქვე არის დათქმა, რომელიც უშვებს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც დასაშვებია მისი „ხელყოფა.“ მსგავსი შემზღუდვა დასაშვებია, თუ ამაზე არსებობს „სასამართლოს გადაწყვეტილება.“¹⁹ აქვე, არსებობს ბუნდოვანი დათქმა, სადაც ნათქვამია „...ან მის გარეშე,“ კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.²⁰

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულია ორი ტიპის უფლებები: უფლებები, რომლებსაც სახელმწიფო ვერ შეზღუდავს ვერცერთ სიტუაციაში, მათ შორის საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროსაც კი²¹ და უფლებები, რომლებიც გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიძლება მართლმომიერად შეიზღუდოს. საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ამკვიდრებს ტერმინებსა და განმარტებებს, რომლებიც არ არის ახალი.²² ისინი სათავეს იღებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული საერთაშორისო აქტებიდან და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო კონვენციებიდან.²³ 2013 წელს კი, შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საბედამხედველო ორგანო, ინსპექტორის აპარატის სახით, რომლის უმთავრეს უფლებამოსილებას განეკუთვნება პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე კონტროლი. ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა აღნიშნულ საკითხს. 2013 წლის 29 ნოემბერს, საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა²⁴ და 2014 წლის 27 ივნისს, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის საფუძველზე,²⁵ საქართველომ აიღო ვალდებულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტების დანერგვის, საკანონმდებლო რეგულაციებისა და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების მიზნით. პერსონალური მონაცემების დაცვა პირის პირადი ცხოვრების ხელყოფისაგან დაცვას, პერსონალური მონაცემების უკანონო გამოყენებისა და აღნიშნული მონაცემების შეცვლის საფრთხის თავიდან აცილებას წარმოადგენს.

„პირადი ცხოვრება“ – ძალიან საკამათო და ბუნდოვანი, თითქმის არაფრის მთქმელი ტერმინია. სწორედ მისი ბუნდოვანება წარმოადგენს დაცვის არსს. სად გადის ზღვარი პირად სფეროსა და საჯარო სფეროს შორის, როგორ შეიძლება მათი ერთმანეთისაგან გამოიჯვანა? პირადი ცხოვრების

ზუსტი დეფინიცია არ გვაქვს მოცემული, რაც სრულიად მართებულად მიგვაჩნია. მისი განსაზღვრის შესახებ არსებობს გარკვეული „მითითებები“ სხვადასხვა სასამართლო პრაქტიკიდან. ერთ-ერთ სასამართლო დავაზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „პირადი ცხოვრება“ ფართო ცნებაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრას.²⁶ დოქტრინაში, პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებით, საუბარია რამდენიმე ელემენტის ერთობლიობაზე: 1. პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობაზე; 2. სახელმწიფოს მიერ პირადი მონაცემების შეგროვებასა და შენახვაზე, პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე; 3. სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებაზე; 4. სახელებზე.²⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად: „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.“²⁸ სახელმწიფო ერთი მხრივ, ვალდებულია დაიცვას ადამიანის პატივი და ღირსება, ხოლო მეორე მხრივ, ვალდებულია უფლების დარღვევის შემთხვევაში, აღკვეთოს იგი. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით დაცულ ურთიერთობათა სფერო საკმაოდ ფართოა და არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრებას.²⁹ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიმართულების განვითარების ისტორია საქართველოში მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემატიკა და პრობლემატიკა, როგორც აკადემიური კვლევის, ისე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, სიახლეა ქართული სამართლისათვის. სტატისტიკის მიხედვით, ყოველდღიურად, მილიონახევრამდე მონაცემი იკარგება ან იპარავენ მას,³⁰ რის შედეგადაც მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციების გარდა, ზიანი მონაცემთა მესაკუთრეს – მონაცემთა სუბიექტს ადგება, ვინაიდან მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა რისკის ქვეშ დგება. ინფორმაციაზე აბსოლუტური უფლების არსებობა შეუძლებელია. „წაართვა“ პირს მიღებული ცოდნა – შეუძლებელია. ინფორმაციის თავისუფლების პრობლემა საკმაოდ რთულია. საქართველოში ინფორმაციის საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით, ეროვნული საკანონმდებლო ბაზა მწირია. ინფორმაციის გასაიდუმლოება უნდა ხორციელდებოდეს „ზომიერების“ ფარგლებში, ხოლო ინფორმაციის საიდუმლოება ზღვარდადებული უნდა იყოს, რადგან ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს თავისუფალი ცხოვრების წინაპირობას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაც და ხელი შეეწყოს მათი დაცვის გაუმჯობესებას. „პირადი მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა შესაბამისად წარმოადგენს პირადი ცხოვრების პირობებს.“³¹

პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება და მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობა არსებითადაა დამოკიდებული მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და საფუძვლების დაცვაზე. კანონით დადგენილი პრინციპები და საფუძვლები, „მათი მდგრადი ხასიათიდან გამომდინარე, ამკვიდრებენ მონაცემთა დამუშავების ზოგად წესს და განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავებლების ქმედების კანონიერებას.“³²

კონვენციით დადგენილი უფლებები ფართოდ განიმარტება და მოიცავს როგორც დადებით, ასევე უარყოფით ვალდებულებას. სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც არღვევს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. რაც შეეხება დადებით ვალდებულებას, სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები ინდივიდების დაცვის მიზნით.³³ კონფიდენციალურობის უფლების ფარგლების ინტერპრეტირება იმოქმედებს იმაზე, თუ როგორ განიხილება ანონიმურობის პროცესი. კონფიდენციალობის აბსოლუტური თვალსაზრისი ეფუძნება იმ აზრს, რომ ინდივიდს აქვს უფლება, მოახდინოს თავისი ინფორმაციის გამოყენების კონტროლი ყველა გარემოში, მაშინაც კი, როდესაც ინფორმაცია ანონიმურია.³⁴ კონფიდენციალურობის უფლება დაბალანსებული უნდა იყოს გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით განმტკიცებულ უფლებას წარმოადგენს და განიხილება როგორც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განვითარების კონცეფციის საფუძველი.³⁵

პერსონალური მონაცემები განიხილება როგორც 21-ე საუკუნის ნავთობი, რადგანაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ღირებულებას სამომხმარებლო ბაზარზე.³⁶

პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტი მართლმსაჯულების განხორციელების დროს

საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მართლმსაჯულების, საკონსტიტუციო კონტროლისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.³⁷ მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი, უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებასა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი მოთხოვნაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა,³⁸ შესაბამისად, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ არსს, დანიშნულებასა და გამოწვევას წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა – ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილად სარგებლობის გზით, თავისუფალი თვითრეალიზაციის შესაძლებლობის გარანტირება.³⁹ ხოლო სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, რაც გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს.⁴⁰ თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის მიერ პირის ძირითად უფლებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მოწესრიგების კანონმდებლისთვის მინდობა არ გულისხმობს მისთვის უპირობო თავისუფლების მინიჭებას.⁴¹ კანონმდებლის უფლებამოსილების ფარგლების ამგვარი გაგება ეწინააღ-

მდეგება კონსტიტუციის უზენაესობის, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. კონსტიტუციის ძირითადი იდეა ადამიანის უფლებების დაცვაა და შესაბამისად, შეუძლებელია იგი ხელისუფლებას ანიჭებდეს უპირობო ან/და აბსოლუტურ თავისუფლებას იმ ურთიერთობების დარეგულირების პროცესში, რომლებიც ეხება კონსტიტუციით განმტკიცებულ უმთავრეს ღირებულებებს – ადამიანის ძირითად უფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის მიერ კანონმდებლისთვის გარკვეული უფლებამოსილების მინიჭებას თან სდევს სახელმწიფოს ვალდებულება, არ მოხდეს ამა თუ იმ უფლების არაგონივრული, არაპროპორციული შეზღუდვა.⁴² სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება შეზღუდულია უპირობო ვალდებულებით, ადამიანის თავისუფლებაში (მის ნებისმიერ უფლებაში) ჩაერიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გარდაუვალია და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელია.⁴³ ასეთია ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი. ინფორმაციის თავისუფლება კი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოვლინებაა.⁴⁴ სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტიან მონაწილეობას ხელისუფლების განხორციელების პროცესში, რაც წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უმთავრეს მოთხოვნას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმ გარანტიების დასადგენად, რომლებიც დაცულია კონვენციით. ის ფაქტი, რომ კონვენციაში პირდაპირ არ არის მითითება ამა თუ იმ გარემოებაზე, რომლებზეც შეიძლება გავრცელდეს კონვენციის კონკრეტული დებულება, არ ნიშნავს, რომ გამოირიცხება ამ გარემოებაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებისა და თავისუფლების გავრცელება. კონვენციით განმტკიცებული გარანტიების გამოყენების არეალი შეიძლება გაფართოვდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით და გამოყენებულ იქნას ისეთი გარემოების მიმართ, რომელიც პირდაპირ არ არის მოხსენიებული ევროპულ კონვენციაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება კონკრეტული მაგალითების მოტანა. საქმეზე, კლასი და სხვები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ,⁴⁵ რომელიც ეხებოდა სატელეფონო მოსმენას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ არ იცავს სატელეფონო საუბრების კონფიდენციალურობას, ამ მუხლით განსაზღვრული ცნებები: „პირადი ცხოვრება“ და „მიმოწერა“ მოიცავს მას.

ასევე, შეიძლება სხვა მაგალითის მოტანა, რომელიც კონვენციის დებულებებთან ერთად, ნათელყოფს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას კონკრეტული უფლების შინაარსის დასადგენად. საქმეზე – ნიმიტცი გერმანიის წინააღმდეგ,⁴⁶ რომელიც ეხებოდა ბ-ნი მ. ნიმიტცის, პროფესიით ადვოკატის, პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლებას, – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნის საადვოკატო ოფისის ჩხრეკამ დაარღვია მისი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლება. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საადვოკატო ოფისი, უფრო ზოგადად კი, მომჩივნის

სამუშაო ადგილი, ექცევა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცნება „საცხოვრებელი“, რომელიც დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, მოიცავს ადამიანის სამუშაო ადგილს და შესაბამისად, იცავს პირს არამართლობიერი ჩარევისაგან.

ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაში არსებობს „მონაცემთა ნაკადის“ და „მონაცემთა გადაცემის“ ცნებები, რომელიც დადებითი ხასიათის მატარებელია. ევროკავშირის კანონმდებლობით, პერსონალური მონაცემების გათავისუფლება და დაბლოკვის შესახებ მონაცემები, მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემთა გაცვლის შესახებ გადაწყვეტილება ხორციელდება პირადი მონაცემების გაცვლის საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია მოხდეს დოკუმენტაციის მატერიალური სახით. უფრო ზოგადად, მონაცემთა ნაკადის ცნება, რომელიც განსაზღვრავს წინასწარ განსაზღვრულ სივრცეში მონაცემთა თავისუფალ მიმოქცევას, ხოლო საერთაშორისო მონაცემთა გადაცემის ცნების მიხედვით, რომ მონაცემები ეფექტიანად იგზავნება ან მიიღება, ამოღებულია ან მიბმული, არსებული ნაკვალევით და მხოლოდ მათი მეშვეობით. თუმცა, ეს სივრცული მეტაფორები სრულად არ შეესაბამება მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის რეალობას.

ამ თვალსაზრისით, „მონაცემთა ნაკადები“ (თავისუფალი) ძირითადად, ერთჯერადი იურისდიქციის (ევროპული) ქვეშ მყოფი მონაცემთა გამრავლების შეუზღუდავი ოპერაციებია და „მონაცემთა გადაცემა“, ფუნდამენტურად მოქმედება იმ მონაცემებით, რომლებიც აღსადგენად ხელმისაწვდომი გახდება სხვა ქვეყნის იურისდიქციაში. აღნიშნული გამომდინარეობს იმ რეალობისგან, რომ მონაცემთა ადგილმდებარეობა და მისი შემდგომში მიწოდების ადგილი სრულიად შეუსაბამობაშია, შესაბამისად, ივარაუდება, რომ პერსონალური მონაცემები გაედინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიზნებისათვის მონაცემების ადგილმდებარეობის შესაბამისობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ინფორმაცია ექსტრატერიტორიულობის შესახებ. არსებობს მუდმივი ტრანსატლანტიკური უთანხმოება იმის შესახებ, არის თუ არა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონი ექსტრატერიტორიული.⁴⁷ ევროკავშირის პირადი მონაცემების დაცვა ფაქტობრივად არის ტერიტორიული. ადამიანის უფლებების დაცვის ფუნდამენტური უფლება, ამ თვალსაზრისით, არ ითვალისწინებს ევროკავშირის ინდივიდუალურ მონაცემებზე დაფუძნებულ ყველა პერსონალურ მონაცემს, მაგრამ ყველა იმ ადამიანის უფლება, რომელიც უზრუნველყოფილია ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე, იმდენად რამდენადაც მათი პირადი მონაცემების დამუშავება ხდება სწორედ აღნიშნულის მიერ.

დასკვნა

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით, რომლის მიზანია, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას უზრუნველყოს

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.⁴⁸ მონაცემები დაცული უნდა იყოს იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები.⁴⁹ საქართველოს კონსტიტუციის მიერ კანონმდებლისთვის გარკვეული უფლებამოსილების მინიჭებას თან სდევს სახელმწიფოს ვალდებულება, არ მოხდეს ამა თუ იმ უფლების არაგონივრული, არაპროპორციული შეზღუდვა.⁵⁰ სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება შეზღუდულია უპირობო ვალდებულებით, ადამიანის თავისუფლებაში (მის ნებისმიერ უფლებაში) ჩაეროს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გარდაუვალია და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელია.⁵¹ ასეთია ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი. ამასთან, სიღრმისეულად უნდა მოხდეს საჯარო და კერძო სიკეთეების გააზრება და გამიჯვნა, თუ რომელს ენიჭება უპირატესობა ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, რა დროსაც აუცილებლად გასათვალისწინებელია პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოხდეს პროპორციულობის ტესტის ინტეგრირება საქართველოს კანონმდებლობაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართებით განხილვისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მიზნით. ასევე, აუცილებელი ფაქტორია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ვინაიდან კანონმდებლობის პრაქტიკაში ეფექტიანი იმპლემენტაცია მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მისი ადრესატები ინფორმირებულნი არიან თავიანთი უფლებებისა თუ მოვალეობების შესახებ. ამისათვის, საჭიროა შეფასდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ინფორმაციის თავისუფლების პირისპირ. ამასთან, უდავოა, რომ უფლების შემზღუდველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არსებობას უკავშირდება.⁵²

შენიშვნები:

- ¹ დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008, გვ. 72-73.
- ² იდენტიფიცირებულია პირი, რომლის შესახებ ინფორმაცია ცნობილია.
- ³ იდენტიფიცირებადია პირი, რომლის ვინაობის დასადგენად დამატებითი ინფორმაციის მოძიება არის საჭირო.
- ⁴ „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.
იხ.: <https://personaldata.ge/manage/res/docs/convention%20108.pdf>
- ⁵ A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.) 2001, p. 676.
- ⁶ Macovei M., Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001, 5.
- ⁷ Polakiewicz J., The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, №11-12, 1996, 407.
- ⁸ Wildhaber L, Speech made at the Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special iss.), № 50, 2000, 42.
- ⁹ Kilkelly U., the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights, 2003, 5.
- ¹⁰ იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [24.07.2019].
- ¹¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.
- ¹² საერთაშორისო პაქტის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ მე-17 მუხლი.
- ¹³ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლი.
- ¹⁴ საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით, 2015, გვ. 166.
- ¹⁵ Hustinx P., EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and The Proposed General Data Protection Regulation, 2013, 2.
- ¹⁶ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მუხლი 22.
- ¹⁷ იქვე, მუხლი 28.
- ¹⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15.
- ¹⁹ იქვე.
- ²⁰ იქვე.
- ²¹ მაგ., სახელმწიფო ვერ დაუშვებს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, რაც აკრძალულია კონვენციის მე-3 მუხლით.
- ²² სტატიათა კრებული შრომის სამართალში, მაალიშვილი ვ., „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების იმპლემენტირება შრომის სამართალში“, რედ: ჩაჩავა ს., თბ., 2014, გვ. 29.
- ²³ Council of Europe, Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Convention 108.
- ²⁴ <https://ninishoshiashvili.wordpress.com/2014/12/24/ასოციირების-ხელშეკრულება/> [24.07.2019].
- ²⁵ იქვე.
- ²⁶ Costello-Roberts v. the United Kingdom, Series A no. 247-C (The European Court of Human Rights 25th of March 1993).

- ²⁷ იზორია ლევან, კორკელია კონსტანტინე, კუბლაშვილი კონსტანტინე, ხუბუა გიორგი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ., 2005, გვ. 123.
- ²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, მე-2 ნაწილი.
- ²⁹ Costello-Roberts v. the United Kingdom, 25th of March 1993, Par. 36.
- ³⁰ Gemalto's 2015 Breach Level Index, [მოსხენიებულია: ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები (სტატიათა კრებული), ქალდანი თ., სარიშვილი ნ., „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში,“ 2016 წელი].
- ³¹ იქვე.
- ³² პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2013-2014 წლის ანგარიში, იხ.: <http://www.library.court.ge/upload/TAMTA%20ARCHUADZE.pdf> [24.07.2019].
- ³³ Harris, Boyle and Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, Butterworths, 1995.
- ³⁴ Dunkel Y., Medical Privacy Rights in Anonymous Data: Discussion of rights in the United Kingdom and the United States in the light of the Source Informatics Cases, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, February 2001.
- ³⁵ Council of Europe Recommendation No. R(91) 10, Communication to third parties of personal data held by public bodies, Explanatory Memorandum, at para. 10.
- ³⁶ The economic value of personal data for online platforms, firms and consumers, By: Liem C., Petropoulos G., 2016, იხ.: http://www.pieria.co.uk/articles/the_economic_value_of_personal_data_for_online_platforms_firms_and_consumers.
- ³⁷ <https://gdi.ge/ge/news/statement-04-11-18.page> [24.07.2019].
- ³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის
- ³⁹ N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარაგრაფი 2.
- ⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 1.
- ⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 25.
- ⁴² იქვე.
- ⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557/574,576 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 34.
- ⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II, პარ. 3.
- ⁴⁵ Klass and others v Federal Republic of Germany, (Case N1979-80), ECHR, 6 September 1978.
- ⁴⁶ Niemietz v. Germany (Case N251-B) ECHR, 16th of December 1992, Par. 29-33.
- ⁴⁷ Kuner Christopher, Extraterritoriality and regulation on international data transfers in EU data protection law, (2015), 5(4) International Data Privacy Law, 235-245.

- ⁴⁸ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი.
- ⁴⁹ „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.
- ⁵⁰ იქვე.
- ⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557/574,576 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები ვალერიან გელახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 34.
- ⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება, იხ.: http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=810&action=show

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია 21/02/1921;
2. საქართველოს კონსტიტუცია 24/08/1995 (2018 წლის რედაქცია);
3. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი 16/12/1966;
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია 11/05/1994;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 26/06/1997;
6. „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენცია, 1981 წლის 28 იანვარი, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს, ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან;
7. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი 28/12/2011.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. Harris, Boyle and Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, Butterworths, 1995;
2. J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, №11-12, 1996;
3. Council of Europe, Committee of Ministers, Recommendation No. R (97) 5 on the Protection of Medical Data (Feb. 13, 1997);
4. L. Wildhaber, Speech made at the Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special iss.), № 50, 2000;
5. A. Drzemczewski & M. Nowicki, Poland, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), R. Blackburn & J. Polakiewicz (Eds.) 2001;
6. Dunkel, Y., Medical Privacy Rights in Anonymous Data: Discussion of rights in the United Kingdom and the United States in the light of the Source Informatics Cases, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, February 2001;
7. M. Macovei, Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001;
8. U. Kil Kelly, the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights, 2003;
9. იზორია ლევან., კორკელია კონსტანტინე., კუბლაშვილი კონსტანტინე., ხუბუა გიორგი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ., 2005;

10. დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008;
11. P. Hustinx, EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and The Proposed General Data Protection Regulation, 2013;
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2013–2014 წლის ანგარიში, იხ.: <http://www.library.court.ge/upload/TAMTA%20ARCHUADZE.pdf>
სტატიათა კრებული შრომის სამართალში, რედ: ჩაჩავა ს., ბაალიშვილი ვ., „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების იმპლემენტირება შრომის სამართალში,“ თბ., 2014;
Christopher Kuner, Extraterritoriality and regulation on international data transfers in EU data protection law (2015);
12. საგინაშვილი ნ., „პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა,“ ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით, 2015;
13. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები (სტატიათა კრებული), ქალდანი თ., სარიშვილი ნ., „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, 2016;
14. Council of Europe Recommendation No. R(91) 10, Communication to third parties of personal data held by public bodies, Explanatory Memorandum;
15. Liem C., Petropoulos G., The economic value of personal data for online platforms, firms and consumers, 2016.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. Klass and others v Federal Republic of Germany, (Case N1979-80), ECHR, 6 September 1978;
2. Niemietz v. Germany (Case N251-B) ECHR, 16th of December 1992;
3. Costello-Roberts v. the United Kingdom, Series A no. 247-C (The European Court of Human Rights 25th of March 1993;
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557/574,576 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე;
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

ინტერნეტ წყაროები

- <https://gdi.ge/ge/news/statement-04-11-18.page>
<https://ninishoshiashvili.wordpress.com/2014/12/24/ასოციირების-ხელშეკრულება/>
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

GENERAL ASPECTS OF PERSONAL DATA PROTECTION

SOPHIO DEMETRASHVILI

*Assistant Professor of the Faculty of Law and International Relations
of Georgian Technical University, PhD student of East European University*

Personal data protection in Georgia is carried out in accordance with the Law of Georgia on "Personal Data Protection", the purpose of which is ensuring protection of human rights and freedoms, including the privacy of private life while processing personal data.¹ The data shall be protected in the form which allows the identification of a data subject only in the timeframe required for the purposes for which the data is stored.² Granting certain powers to the legislature by the Constitution of Georgia is accompanied by the state's obligation not to allow the unreasonable, disproportionate restriction of the right.³ In the legal state, the government is restricted by unconditional obligation, to interfere in the freedom of a person (any right of a person) only when it is inevitable, and only as far as this is necessary.⁴ This is the constitutional order of any legal state. In addition, the understanding and separation of public and private benefits should be carried out in depth, which one the preference is given to, depending on each specific case, when the principle of proportionality should be taken into consideration. I consider it to be appropriate to integrate the proportional test in the Georgian legislation to review the rights of personal data protection with respect to other fundamental rights and to take into account the interests of the public. Increasing public awareness is a necessary factor, since effective implementation of legislation in the practice is possible only when its recipients are informed about their rights and obligations. To do this, it is neces-

sary to evaluate personal data protection right face to face with freedom of information. In addition, it is undeniable that in the assessment of the constitutionality of the norm of the right restriction, the crucial importance is given to the existence of a legitimate aim of restriction of the right.⁵

NOTES:

- ¹ Article 1 of the Law of Georgia on "Personal Data Protection".
- ² Sub-paragraph "e" of Article 5 of the Convention on the "Protection of Individuals in Automatic Processing of Personal Data".
- ³ Ibid.
- ⁴ Decree N1/4/557/ 574,576 dated November 13, 2014 of the Constitutional Court of Georgia, regarding the case "The citizens of Georgia Valerian Gelbakhiani, Mamuka Nikolaishvili and Aleksandre Silagadze vs Georgian Parliament", II, Para. 34.
- ⁵ Decision N3/1/531 of the Plenum of the Constitutional Court of Georgia, November 5, 2013, see: http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=810&action=show

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის კანონიერი ძალა და მისი საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა

ნინო მინდიაშვილი

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი

შესავალი

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი¹ მოითხოვს საჯარო მმართველობაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ზუსტი და ერთგვაროვანი საფუძვლების განსაზღვრას, ვინაიდან აღნიშნული პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი შედეგის დადგომასთან და მოქალაქეთა სამართლებრივ დაცვასთან. ადმინისტრაციული სამართლის ცალკეული სფეროების მომწესრიგებელი კანონები (შემდგომში – სპეციალური კანონმდებლობა/კანონები), ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლისა და მისი გასაჩივრების განსხვავებულ მოწესრიგებას გვთავაზობს, რომელიც ხშირ შემთხვევებში, არსებით წინააღმდეგობაშია საჯარო მართვის კანონიერების პრინციპებთან² და ნაკლებად ემსახურება ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

კვლევის მიზანია გავანალიზოთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერი ძალის ინსტიტუტი და განვსაზღვროთ მისი საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა. დავადგინოთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემები და გამოვიკვლიოთ აღნიშნული პრობლემების საკანონმდებლო თუ მმართველობითი ხასიათის მიზეზები. მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ თუ რატომ ეწინააღმდეგებიან სპეციალური კანონმდებლობის რიგი მუხლები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ პრინციპული ხასიათის დებულებებს და დავისახოთ სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონკრეტული გზები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერი ძალის შესწავლისას, განსაკუთრებული ყურადღება მის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობის განხილვას დავუთმეთ. განვიხილეთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის, გასაჩივრების ვადის ათვლისა და კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსი საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად. მიმოვიხილეთ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საფუძვლები და ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის შესაბამისად.

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის სამართლებრივი მოწესრიგება

ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ძალაში შედის, ანუ კანონიერი ძალის მქონე ხდება, როდესაც აქტი კონკრეტულ ადრესატს, მხარეს ოფიციალურად გაეცნობა (აქტის უშუალოდ გადაცემა/ფოსტის მეშვეობით გაგზავნა) ან ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც პირს შეექმნება ობიექტური შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია აქტის შინაარსის შესახებ (გამოქვეყნება/საჯაროდ გაცნობა).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდეგში – სზაკ) 54–58-ე მუხლებისა და სპეციალურ კანონებში მოცემული დანაწესების თავისებურებებს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ოფიციალურ დეფინიციას სზაკ-ის 54-ე მუხლის პირველი ნაწილი გვთავაზობს, კერძოდ, „თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლისათვის მისი ოფიციალური გაცნობა კანონის იმპერატიული დანაწესია, ვინაიდან იგი წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების ფინალს და

მისი პროდუქტი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარი-სათვის ოფიციალური გაცნობით.³ როგორც კანონის ზემოაღნიშნული დეფინიციიდან ირკვევა, „თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული...“ სპეციალური კანონებით შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის სხვა ვადებიც იყოს დადგენილი. წარმოდგენილი რეგულაციის შესაბამისად, სზაკ თითქოსდა თავისუფლებას ანიჭებს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის განსხვავებული მოწესრიგება დაადგინოს თუმცა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს თავისუფლება ლიმიტირებული თავისუფლებაა და მასში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გათვალისწინებული უნდა იქნას აქტის ადრესატისათვის გაცნობის ვალდებულება.

სზაკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას.“ ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არაუგვიანეს, მე-7 დღისა. სზაკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი შეიძლება გამოქვეყნდეს ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ან ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას საჯაროდ განთავსდეს. აღნიშნულ საფუძვლებთან აგრეთვე, გათანაბრებულია აქტის ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება, ისევე როგორც საჯაროდ გამოცხადება გამოიყენება იმ აქტებისათვის, რომლებიც ფორმალური ან საჯარო ადმინისტრაციული წესით გამოიცემა და მიმართულია 50-ზე მეტი პირის მიმართ. ეს ის შემთხვევებია, როდესაც თითოეული ადრესატისათვის აქტის გაცნობა სირთულეს წარმოადგენს ან იწვევს მომეტებულ ფინანსურ ხარჯებს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული კანონი აქტის ძალაში შესვლას მისი გამოქვეყნების გზით უზრუნველყოფს.

კანონით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ადრესატისათვის გაცნობის ზემოაღნიშნული საფუძვლები ერთნაირი იურიდიული ძალის მქონეა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მათი შერჩევა ხდება ადმინისტრაციული წარმოების სახისა და ადრესატთა რაოდენობის ასევე, სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელობის ხარისხის შესაბამისად.⁴

ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის საპროცესო სამართლებრივი ფუნქციის ფარგლებში უმნიშვნელოვანესია განვიხილოთ ოფიციალური გაცნობის, გასაჩივრების ვადის ათვლისა და კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსი საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ადრესატისათვის გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა

საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ, უცნობი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება“⁶ და, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა წარმოადგენს არა მარტო აქტის კანონიერების კრიტერიუმს, არამედ მისი არსებობის წინაპირობას. თუ საკანონმდებლო აქტი მისი ოფიციალური გამოქვეყნებით შედის ძალაში, მაშინ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს მისი ადრესატისათვის ოფიციალური გაცნობით.⁶

ვინიდან სზაკ-ის 54-ე მუხლი ადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის პირობებს და აქტის უშუალო გაცნობა ამ შემთხვევაში იმპერატიული დანაწესია, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია (ბს-220-212 (2კ-13), რომ სზაკ-ის ეს მნიშვნელოვანი პრინციპი გათვალისწინებული უნდა იქნას ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ ნაწილშიც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდაღვევათა კოდექსის (შემდეგში – სასკ) 303-ე მუხლის შესაბამისად, მართვის უფლების ჩამორთმევა დადგენილების გამოტანის მომენტს უკავშირებდა, ანუ აქტი ძალაში შედის გამოცემისთანავე. აღნიშნული არ ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდეგში – შსს) დადგენილება გაუგზავნოს და გააცნოს ადრესატს.⁷ მოცემულ საქმესთან მიმართებით, მთელი ცხრა თვის განმავლობაში ადრესატმა არ იცოდა, რომ მას სამართალდარღვევისათვის სახდელი ეკისრებოდა და მართვის მოწმობა ჰქონდა ჩამორთმეული, ვინაიდან შსს მოქმედებდა სასკ-ის 268-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული დისკრეტული უფლებამოსილების ფარგლებში⁸ და ადრესატს საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება არ გაუგზავნა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე, აქტების გამოცემის, ძალაში შესვლისა და აღსრულებისას გამოიყენება სასკ-ით განსაზღვრული რეგულაციები, თუმცა აღნიშნულ სამართალდარღვევებზე საქმის წარმოება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სზაკ-ით დადგენილ პრინციპული ხასიათის დებულებებს. ვინაიდან სასკ ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს განეკუთვნება, მისი ნორმები ჰარმონიაში უნდა იქნას მოქცეული ადმინისტრაციული სამართლის ზოგად ნაწილთან.⁹ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისეთ შეხამებას, რომ მოქალაქეები გარკვეულ სიტუაციაში არ აღმოჩნდნენ დაუცველები ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობისაგან. მით უმეტეს რომ სასკ რეპრესიული ტიპის საკანონმდებლო აქტია და ამძიმებს ადრესატის სამართლებრივ მდგომარეობას, ადმინისტრაციული ორგანოს პროცედურული მოქმედება უნდა ემსახუროდეს კერძო ინტერესის – ადამიანის უფლებების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. სხვა შემთხვევაში, ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი როგორცაა, კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობა.¹⁰ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და შესაბამისი სახდელის შეფარდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით

ხორციელდება და მისი გაცნობა, გასაჩივრების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით ადრესატისათვის განეკუთვნება ნორმატიულად გარანტირებულ უფლებას.¹¹ კანონიერი მმართველობა კი, მოითხოვს სუბიექტის უფლებების დაცვისათვის სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობით სარგებლობით უზრუნველყოფას.¹²

მოცემული მსჯელობის შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თუ მხარეს ოფიციალურად არ გაეცნობა აქტი, მაშინ საერთოდ არ არსებობს აქტი და იგი ვერასოდეს ვერ გახდება ადრესატისათვის ვალდებულებების დაკისრების ოფიციალური დოკუმენტი. ზემოთ განხილული საქმის შესაბამისად, სახეზე გვაქვს სზაკ-ისა და სასკ-ის ჰარმონიზაციის პრობლემა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რიგ შემთხვევებში, შსს-ს მიერ უგულებელყოფილია სახდელის დადების შესახებ აქტის ადრესატისათვის გაცნობის ვალდებულება, რაც ეწინააღმდეგება სზაკ-ით დადგენილ პრინციპული ხასიათის დებულებებს და ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელი მოქალაქეს და შემდგომში იგი დატოვოს გასაჩივრების უფლების რეალიზაციის გარეშე.

3. გასაჩივრების ვადის დინამისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ადრესატისათვის გაცნობის გუსტი დროის სამართლებრივი მნიშვნელობა

ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ბუსტი დროის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია აქტის მიმართ საჩივრისა და სარჩელის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადების დასაცავად. სწორედ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის, ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე იწყება მისი გასაჩივრების (სარჩელის შეტანის) ვადების ათვლა.¹³

მეტად აქტუალურია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების საკითხი. სამწუხაროდ, ადმინისტრაციული ორგანოები ეფექტიანად არ უზრუნველყოფენ გათავისუფლებული მოხელისათვის ბრძანების დროულ ჩაბარებას. შედეგად ვიღებთ, რომ მოქალაქე მისი დარღვეული უფლებების დასაცავად სასამართლო წესით დავას იწყებს გათავისუფლებიდან მთელი რამდენიმე თვის შემდგომ. აღნიშნული პრაქტიკა კი, წინააღმდეგობაში მოდის „საჯარო სამსახური შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანთან, რომლის შესაბამისადაც, სამსახურებრივ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ადმინისტრაციული კანონდებლობის შესაბამისად,¹⁴ ხოლო სზაკ-ის 180-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას აქტის გამოქვეყნებიდან ან გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.¹⁵

საქმეში (#ბს-415-402(კ-10)) წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 01 აგვისტოს ბრძანება რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მომსახურების სამმართველოს თანამშრომლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების

შესახებ. იმავე აქტზე განხორციელებული ჩანაწერებით დასტურდება, რომ გათავისუფლებულ პირს ზემოაღნიშნული აქტი ჩაბარდა 2009 წლის 12 თებერვალს, მთელი 6 თვის დაგვიანებით.¹⁶ ვინაიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის დენის დასაწყისს უკავშირებს აქტის მხარისათვის სზაკ-ის 58-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გადაცემას, საკასაციო სასამართლო, მიუხედავად აქტის გამოცემის თარიღისა და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებისა, რომელიც ადასტურებს, რომ მხარისათვის იმავე თვეს ცნობილი იყო მისი სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი, ვადის ათვლის დინებას იწყებს იმ მომენტიდან, როდესაც ადრესატს კანონის დაცვის წესით გადაეცა ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.¹⁷

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ სპეციალური კანონი განმცხადებელს საშუალებას აძლევს სასაქონლო ნიშნის დაცვაზე არსობრივი ექსპერტიზის უარყოფითი გადაწყვეტილება გაასაჩივროს მისი გამოცემიდან 3 თვის განმავლობაში.¹⁸ საკასაციო პალატამ #ბს-854-836 (კ-12) საქმის გადაწყვეტისას არ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებები და განმარტა, რომ აქტის გაცნობამდე გასაჩივრების დაშვება საჩივრის მიზნის – კონტროლის განხორციელების უარყოფას გამოიწვევდა და მისი მხარისათვის გაცნობა, არსებით პირობად გვევლინება გასაჩივრების ვადების დინებისათვის.¹⁹ სწორედ აქტის ძალაში შესვლის, ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობით იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა, გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლება-მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. შესაბამისად, სწორედ ამ მომენტიდან პირს ეძლევა გასაჩივრების შესაძლებლობა.²⁰

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლისათვის აუცილებელია დაინტერესებული პირი იცნობდეს სადავო აქტის შინაარსს, უარის თქმის საფუძველს და რა სამართლებრივი საშუალებებით შეძლებს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.²¹ წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია პირს მოვთხოვოთ მისთვის ჯერ კიდევ, უცნობი აქტის შესრულება ან გასაჩივრება.²² აღნიშნულ საქმეში საკასაციო სასამართლომ საფრთხე დაინახა იმასთან მიმართებით, რომ დაინტერესებულ მხარეს არ რჩებოდა გასაჩივრების უფლების რეალიზაციის სათანადო ვადა, ვინაიდან აქტის შინაარსს, საფუძველს და გასაჩივრების პერსპექტივას დაინტერესებული პირი მთელი 3 კვირის დაგვიანებით ცნობდა.²³

როდესაც გარკვეული სამართალურთვითობისათვის კანონმდებელი გასაჩივრების 3-თვიან ვადას ითვალისწინებს, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ისე წარმართავს საქმისწარმოებას, რომ ადრესატს შემზღუდველი ხასიათის აქტს მთელი 3 კვირის დაგვიანებით აბარებს, მაშინ სახეზე გვაქვს კანონის მიზნის უგულვებელყოფა და საფრთხე ექმნება გასაჩივრების უფლებით სარგებლობის სრულყოფილ რეალიზებას. ზემოაღნიშნული სასამართლო საქმეების ანალოგი ცხადყოფს, რომ გასაჩივრების ვადის დინებისათვის უმნიშვნელოვანესია ადრესატი იცნობდეს აქტის შინაარსს, რათა სწორედ დაგეგმოს გასაჩივრების შესაძლებლობა და სრულყოფილად გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული გასაჩივრების ვადა. როგორც სზაკ-ის 180-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს გასაჩივრების

ვადის დინებისათვის აქტის ადრესატისათვის ოფიციალურ გაცნობას, ასევე ცალსახად მოითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვლისათვის აქტის ადრესატისათვის ოფიციალურ გაცნობას.

4. გასაჩივრების წესის არასწორად განმარტების შემთხვევაში აქტზე

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი ერთწლიანი გასაჩივრების ვადის გავრცელების შესახებ

საჯარო მმართველობაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ფუნქცია შეგვიძლია ორი მნიშვნელობით განვმარტოთ, ის ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოს საშუალებას აძლევს ლეგიტიმური ამოცანა მოიყვანოს სისრულეში და მეორე მხრივ, ის ემსახურება მოქალაქეებს, რომლის უფლებებსა და ვალდებულებებს ადგენს და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს მოქალაქეთა დარღვეული უფლებების დასაცავად.²⁴ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერი ძალის ინსტიტუტი პირდაპირ კავშირშია მისი მმართველობითი ფუნქციის შესრულებასთან, ვინაიდან თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებულია შეცდომა და აქტის ძალაში შესვლა ან მისი გასაჩივრების ვადა არასწორად განიმარტება, მაშინ ვერ სრულდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მმართველობითი ფუნქცია და საფრთხე ექმნება მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

სზაკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ორგანო, სადაც შეიძლება მისი გასაჩივრება, აგრეთვე ორგანოს მისამართი და გასაჩივრების ვადა.²⁵ ხოლო ხსენებული ნორმით დადგენილი წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგი სზაკ-ით განსაზღვრული არ არის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში როდესაც მხარეს არ განემარტება გასაჩივრების შესაძლებლობა, ან განემარტა არასწორად, მაშინ სადავო აქტის გასაჩივრებაზე უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლით დადგენილი წესი, ანუ აქტი უნდა გასაჩივრდეს 1-წლიანი ვადის შესაბამისად.²⁶

სამართლებრივი სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, სარჩელი დაიშვება გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადების დაცვით.²⁷ კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგანაც მას სუბორდინაციული ხასიათი აქვს.²⁸ „კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომისა და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან.“²⁹ ხოლო აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება ემსახურება მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობასა და მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.³⁰

საქართველოს საგადასახადო კოდექსი რიგ შემთხვევებში, აქტების გასაჩივრების სპეციალურ, 20-დღიან გასაჩივრების ვადას ითვალისწინებს.³¹ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილ-

ველ საქმეში (#ბს-1433-1391 (კ-08)) სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილში გასაჩივრების უფლების განმარტებისას, საგადასახადო ორგანოს მიერ დაშვებული იქნა არსებითი ხასიათის შეცდომა და ნაცვლად საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი 20-დღიანი გასაჩივრების ვადისა, აქტით მხარეს განმარტა მისი გასაჩივრების შესაძლებლობა სზაკ-ის 180-ე მუხლის შესაბამისად (გაცნობიდან 1 თვის ვადაში).³²

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებული შეცდომით, ყოველთვის შეიძლება პირი შევიდეს შეცდომაში და საერთოდ გამორიცხავდეს კიდეც სარჩელის უფლებით სარგებლობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებული შეცდომა არ უნდა გახდეს სარჩელის წადგენის დამაბრკოლებელი გარემოება.³³

საკასაციო სასამართლომ (საქმე #ბს-168-162 (კს-09)) გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ დავების განხილვის საბჭომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით არასწორად განმარტა მისი გასაჩივრების წესი. კერძოდ, გასაჩივრების შესაძლებლობად, ნაცვლად პირველი ინსტანციისა, მიუთითა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო.³⁴ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სარჩელის დასაშვებობაზე, მასვე უნდა ემსჯელა აქტზე გასაჩივრების განსხვავებული ვადის გამოყენების შესახებ.³⁵ ვინაიდან გასაჩივრებულ აქტში გასაჩივრების შესაძლებლობად განისაზღვრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო (მეორე ინსტანცია), ბუნებრივია სახეზე გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გასაჩივრების არასწორი განმარტება, რაც გავლენას ახდენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვლაზე.³⁶

კანონის ზემოაღნიშნული ანალოგიის, ანუ აქტზე 1-წლიანი გასაჩივრების მექანიზმის გამოყენების გამომწვევ მიზეზად შეგვიძლია ერთი მხრივ, მივიჩნიოთ მმართველობითი ხასიათის პრობლემები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს გამოცემენ მისი მთავარი რეკვიზიტის, გასაჩივრების წესის განმარტების გარეშე (მასთან გაიგივებულია შეცდომა განმარტებაში) და მეორე მხრივ, ეს გახლავთ ის საკანონდებლო ხარვეზი, რომელიც სზაკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში, გასაჩივრების სპეციალურ ვადას უნდა ითვალისწინებდეს.

5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტისათვის უკუძალის მინიჭება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების მანქიერი პრაქტიკა

იკვეთება მმართველობითი ღონისძიებების მანქიერი პრაქტიკა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებული შეცდომის გადასაფარად, თანამდებობის პირების მიერ გამოიყენა ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და მას ენიჭება უკუძალა. სამართლებრივი შედეგი, რომელიც გულისხმობს მოქალაქეზე უფლება-მოვალეობების დადასტურებას, დაწესებას, შეცვლას ან შეწყვეტას – კანონიერი აქტის ფარგლებში უნდა დადგინდეს მხოლოდ აქტის გამოცემისა და მისი ძალაში შესვლის შემდგომ.

განსახილველ შემთხვევაში (საქმე #ბს1580-1509 (კ-09)), თავდაცვის მინისტრის ბრძანებით გათავისუფლებული სამხედრო მოსამსახურისათვის სამართლებრივი შედეგის დადგომის უკანა თარიღით (15 დღით ადრე) განსაზღვრა ეწინააღმდეგება სზაკ-ის მიზანს, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა იხელმძღვანელოს სამი მნიშვნელოვანი პრინციპის დაცვით: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, კანონის უზენაესობა და საჯარო ინტერესი.³⁷ სზაკ-ის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ გაცნობამდე, თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, აგრეთვე პირის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. ხოლო იმ პირობებში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგისათვის უკუძალის მიცემა, არათუ დასაბუთებული, აღნიშნულიც არ ყოფილა და როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ჯარიმის თანხის გადახდის ვადა პირდაპირ არის მიბმული კონტრაქტის შეწყვეტის თარიღთან, თვალსაჩინო ხდება პირის სამართლებრივი მდგომარეობის უკიდურესი სიმძიმე, რაც უხეშად ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართლის კანონიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობისა და კანონიერი ნდობის პრინციპებს.³⁸

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირების მხრიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით პირის სამართლებრივი მდგომარეობის უკანა თარიღით დაუსაბუთებელი განსაზღვრა, მიუკერძოებელ და ობიექტურ სასამართლო კონტროლს ექვემდებარება.³⁹ ამ მხრივ, უზენაესი სასამართლო მსჯელობს ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებულ მანკიერ პრაქტიკაზე, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში ტენდენციური სახე მიეცა.⁴⁰

იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ მანკიერ პრაქტიკას ტენდენციური ხასიათი აქვს და ხშირ შემთხვევებში, მსგავსი ტიპის აქტები სასამართლოს განსჯადი ვერ ხდება და შესაბამისად, დაუცველი ხდება მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები, სახელმწიფომ საკანონდებლო დონეზე უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი შედეგების უკანა თარიღით განსაზღვრის აკრძალვა.

6. ოფიციალური გაცნობა, როგორც ინდივიდუალური ხასიათის ადმინისტრაციული აქტის კანონიერი ძალის საფუძველი საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციულ სამართალში

ვინაიდან ევროკავშირის ადმინისტრაციული პროცედურების კანონის სისრულეში მოყვანას ჯერ კიდევ, შორეული პერსპექტივა აქვს,⁴¹ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ერთხმად იზიარებენ ადმინისტრაციული საქმიანობის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს როგორცაა: ყველა ადამიანის უფლება

მიიღოს ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან საქმის მიუკერძოებელი, სამართლიანი და დროული გადაწყვეტა, მოუსმინონ მას, ვიდრე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება უარყოფით გავლენას მოახდენს მასზე და მიიღონ ამის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება.⁴² თავის მხრივ, ევროკავშირის ინსტიტუტები და წევრი ქვეყნების ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ გახსნილი, ეფექტური და დამოუკიდებელი ადმინისტრაცია.⁴³ დასავლეთ ქვეყნებში, ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ სპეციალური კანონებით არის იმ გადაწყვეტილების შემუშავების პროცესი რეგლამენტრებული, რომელიც მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ეხება.⁴⁴

ფრანგული აღმასრულებელი არარეგლამენტირებული აქტი, რომელსაც პერსონალური ხასიათი აქვს, ძალაში შედის ადრესატის მიერ გაცნობის შედეგად და იგი ადრესატს წერილობით ეგზავნება.⁴⁵ საგულისხმოა, რომ საფრანგეთის ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად, პირი დაუყოვნებლივ უნდა იქნას ინფორმირებული მისთვის არასასურველი შედეგის მომტანი ინდივიდუალური ადმინისტრაციული გადაწყვეტილების შესახებ და ასეთი გადაწყვეტილება (აქტი) აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას.⁴⁶ გერმანული გარე ზემოქმედების ადმინისტრაციული აქტები⁴⁷ ძალაში შედიან დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის გზით. გერმანიაში, წერილობითი ადმინისტრაციული აქტი ფოსტით ეგზავნება ყველა დაინტერესებულ პირს, ამასთან, იგი ითვლება მხარეთათვის გაცნობილად მის შესაბამის საფოსტო განყოფილებაში რეგისტრაციის მომენტიდან 3 დღის გასვლის შემდეგ.⁴⁸ „ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ“ გერმანული აქტის 43-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი, ადმინისტრაციული აქტის ძალაში შესვლისთვის პრინციპულ საფუძვლად მიიჩნევს, აქტის გამოცემის შესახებ იმ პირის ინფორმირებას, რომლისთვისაც გამოცემულია იგი ან გავლენას ახდენს მასზე.⁴⁹ მსგავსად სხვა ქვეყნებისა, ანგლოსაქსურ სახელმწიფოებშიც ადმინისტრაციული აქტი⁵⁰ (გადაწყვეტილება) გაცნობისათვის უნდა გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ შევა კანონიერ ძალაში.⁵¹

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ქართული კანონმდებლობისა, ზოგიერთი ქვეყნის ადმინისტრაციული კანონმდებლობა დეტალურად გაწერს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (აქტის) მხარისათვის გადაცემის პროცედურას. მაგალითად, მონტენეგროს ზოგადი ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ კანონი,⁵² მთელ თავს უთმობს სამართლებრივი დოკუმენტების და მათ შორის, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებისა და აქტების მხარისათვის გადაცემის/გაგზავნის პროცედურას. საგულისხმოა, რომ გადაცემის პროცედურებში ბევრ სხვა დებულებასთან ერთად, გაწერილია დოკუმენტების არაპირდაპირი გადაცემის საშუალებები და მისი ჩაბარების ალტერნატიული გზები. აგრეთვე, განხილულია ჩაბარებაზე უარის თქმისა და საცხოვრებელი მისამართის ცვლილების სამართლებრივი შედეგები.

საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციულსამართლებრივი დოქტრინის განხილვის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოური ადმინისტრაციული აქტის არსი, რა სახელწოდებითაც არ უნდა

იყოს იგი გამოცემული და მისი მოწესრიგების სფერო, სამართლებრივი ბუნებით ქართული ადმინისტრაციული აქტის მსგავსია. ხოლო, ჩვენი კვლევის ინტერესის – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის ინსტიტუტის ურთიერთშედარებისას, დადგენილ იქნა იდენტური, პრინციპული ხასიათის საფუძველი. როგორც ქართული, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების ინდივიდუალური ხასიათის ადმინისტრაციული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ ადრესატის მიერ გაცნობის შედეგად.

დასკვნა

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ადმინისტრაციული სამართლის სპეციალური კანონმდებლობის რიგი მუხლები ეწინააღმდეგებიან სზაკ-ით დადგენილ პრინციპული ხასიათის დებულებებს. სზაკ-ის 54-ე მუხლი, აქტის ძალაში შესვლისათვის იმპერატიულად მოითხოვს ადრესატისათვის მის უშუალო გაცნობას. ამდენად, ეს მნიშვნელოვანი პრინციპი გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე, ადმინისტრაციული სამართლის სპეციალურ კანონებშიც. საგულისხმოა, რომ სასკ-ის შესაბამისად, მართვის უფლების შეზღუდვისა და ჩამორთმევის შესახებ გამოცემული აქტი, რიგ შემთხვევებში, ადრესატს არ ეგზავნება. კანონის ზემოაღნიშნული მოწესრიგება არღვევს აქტის ინდივიდუალიზმის პრინციპს, რომელიც მეორე მხარის მიერ მის მიღებას საჭიროებს. სხვანაირად აქტის გასაჩივრების უფლება, როგორც მოქალაქის ნორმატიულად გარანტირებული უფლება ვერ იქნება რეალიზებული.⁵³ ასევე, აღნიშნული სამართალწარმოება ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს, ვინაიდან აღსრულება ხორციელდება კანონიერი ძალის არმქონე, ანუ ადრესატის გაცნობის გარეშე არსებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტზე. ადმინისტრაციული ორგანოს სამართალწარმოება უნდა ემსახურებოდეს კერძო ინტერესების მაქსიმალურ დაცვას, რათა არ დაირღვეს კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობა.⁵⁴ გასაჩივრების ვადის ათვლა გადაწყვეტილების მიღებიდან კი, საფრთხეს უქმნის მოქალაქის უფლებების სრულყოფილ განხორციელებას, ვინაიდან სწორედ აქტის გაცნობით ხდება მისთვის ცნობილი როგორც უარის თქმის საფუძველი, ასევე უფლებებისა და ინტერესების დაცვის სამართლებრივი საშუალებები.⁵⁵ გასაჩივრების ვადის ათვლა კი, ყველა შემთხვევაში მისი ოფიციალური გაცნობიდან უნდა იწყებოდეს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობის სუბორდინაციული ხასიათი, რომელიც არსებით კავშირშია კანონიერი ნდობის ინსტიტუტთან და მმართველობის კანონიერებასთან. როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს გასაჩივრების შესაძლებლობას ან იგი განმარტებულია არასწორად, მაშინ სასამართლო კანონის ანალოგიით იყენებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლს და სადავო აქტზე ავრცელებს გასაჩივრების 1-წლიან ვადას.⁵⁶ ვფიქრობთ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ აქტზე გასაჩივრების 1-წლიანი ვადის გავრცელება ეწინააღმდეგება მმართველობითი ღონისძიებების ეფექტიან განხორციელებას.

კვლევის შედეგად დადგინდა მმართველობითი ღონისძიებების მანკიერი პრაქტიკა, რომელიც თანამდებობის პირების მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტისათვის უკუძალის მინიჭებას უკავშირდება. სამართლებრივი შედეგი, რომელიც გულისხმობს მოქალაქეზე უფლება-მოვალეობების დადასტურებას, დაწესებას, შეცვლას ან შეწყვეტას, კანონიერი აქტის ფარგლებში უნდა დადგინდეს მხოლოდ აქტის გამოცემისა და მისი ძალაში შესვლის შემდგომ. სხვა შემთხვევაში, საფრთხე ექმნება ადმინისტრაციული სამართლის კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს.⁵⁷ იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ მანკიერ პრაქტიკას ტენდენციური ხასიათი მიეცა და ხშირ შემთხვევებში, მსგავსი ტიპის აქტები სასამართლოს განსჯადი ვერ ხდება და შესაბამისად, დაუცველი ხდება მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები, ლეგიტიმურად მიგვაჩნია საკანონდებლო დონეზე განისაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით სამართლებრივი შედეგების უკანა თარიღით განსაზღვრის აკრძალვა.

კვლევაში წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გავცეთ შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. ვინაიდან სზაკ აძლევს სპეციალურ კანონდებლობას ლეგიტიმაციას დაადგინონ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების ძალაში შესვლისა და მისი გასაჩივრების განსხვავებული წესი, ვფიქრობთ, თავად ამავე კანონით უნდა დადგინდეს მათ მიმართ იმ მნიშვნელოვანი პრინციპების დაცვის აუცილებლობა, რომელიც კანონიერი მმართველობის უზრუნველყოფასა და ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვას ემსახურება. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განმარტებები და გადაწყვეტილებები უმნიშვნელოვანესია როგორც სამართლის განვითარებისათვის, ასევე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. თუმცა, კანონდებლობა გვაჩვენებს, რომ მიუხედავად უზენაესი სასამართლოს უარყოფითი შეფასებებისა, სპეციალურ კანონებში კვლავ გვხვდება რეგულაციები, რომლებიც არსებით წინააღმდეგობაშია საჯარო მმართველობის კანონისმიერ პრინციპებთან.
2. ადმინისტრაციული სამართლის სპეციალურ კანონდებლობაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ძალაში შესვლისა და მისი გასაჩივრებასთან არსებული მოწესრიგება ჰარმონიაში უნდა მოექცეს სზაკ-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
3. სზაკ-ით უნდა დადგინდეს ამავე კანონის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგი. აქტის სარეზოლუციო ნაწილში გასაჩივრების წესის არარსებობის ან მისი არასწორად განმარტების შემთხვევაში, სზაკ გასაჩივრების სპეციალურ ვადას უნდა ითვალისწინებდეს. საჯარო მმართველობის ეფექტიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ასეთი ვადა არ უნდა უტოლდებოდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლით დადგენილ გასაჩივრების 1-წლიან ვადას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკანონდებლო ხარვეზზე აგრეთვე, საუბრობს საქართველოს უზენაესი სასამართლო.
4. სზაკ-ით პირდაპირ უნდა აიკრძალოს ადმინისტრაციულ ორგანოთა თანამდებობის პირების მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტისათვის უკუძალის მინიჭების

შესაძლებლობა. ამასთან, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობისა და აღმატებული საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, გარკვეულ სამართალურიერთობაში დაშვებული უნდა იქნას იშვიათი გამონაკლისები და ისიც აქტის განსაკუთრებული დასაბუთებულობით გამოცემის შემთხვევაში.⁵⁸

5. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მათ მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ადრესატისათვის დროულად მიწოდების ორგანიზებისათვის. ქმედით ღონისძიებებში იგულისხმება როგორც შიდა ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, ასევე საკანონმდებლო დონეზე აქტის გაცნობის მოქნილი სისტემების შემოღება. საჯარო დაწესებულებებში ელექტრონული მმართველობის განვითარების კვალდაკვალ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ადრესატისათვის გაცნობის ორგანიზების პროცესშიც საჭიროა ელექტრონული კომუნიკაციების აქტიური ჩართვა. აღნიშნული ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს აქტის ძალაში შესვლისა და გასაჩივრების ვადების ათვლის დროულ იმპლემენტაციას და მეორე მხრივ, დასაბამს მისცემს ადმინისტრაციული სამართლის ზოგად ნაწილს, აქტის ჩაბარების პროცესში თანამედროვე კომუნიკაციების შემოღებას.

ამდენად, წარმოდგენილი კვლევა დაეხმარება ადმინისტრაციულ ორგანოებს სიღრმისეულად გაერკვნენ აქტის ძალაში შესვლისა და მისი გასაჩივრების ვადის ინსტიტუტის არსში და წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე ხელი შეუწყონ კანონისმიერი და მოქალაქეზე ორიენტირებული მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას.

შენიშვნები:

- ¹ დაწვრილებით იხ.: ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ხუბუა გ., ყალიჩავა კ., (რედაქტორები); იხ.: ხუბუა გ., მართვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინტიტუტის გამოცემები, ტ. IV, თავი IV, თბ., 2018.
- ² იქვე, კანონიერების პრინციპი, გვ. 143-144.
- ³ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2018, გვ. 14
- ⁴ იქვე, გვ. 145.
- ⁵ ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), GIZ, 2015, გვ. 29.
- ⁶ იქვე, გვ. 28.
- ⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 სექტემბრის #ბს-220-212 (2კ-13) გადაწყვეტილება, გვ.18.
- ⁸ 268-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შსს-ს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება ადრესატს არ გაუგზავნოს საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება იმ შემთხვევაში, თუ სასკ-ის 125-ე მუხლის შესაბამისად, პირი დაჯარიმდება ადგილზე და ჯარიმის გადაუხდელიობის შემთხვევაში, საურავის დარიცხვის შესახებ იგი ინფორმირებული იქნება დაჯარიმების ადგილას მიღებული ქვითრის შესაბამისად.
- ⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 სექტემბრის #ბს-220-212 (2კ-13) გადაწყვეტილება, გვ. 17.
- ¹⁰ იქვე, გვ. 21.
- ¹¹ იქვე, გვ. 20.
- ¹² იქვე, გვ. 21.
- ¹³ ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), GIZ, 2015, გვ. 28.
- ¹⁴ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის პირველი პუნქტი, 27/10/2015.
- ¹⁵ ალსანიშნავია, რომ 1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლი პირდაპირ მითითებას აკეთებდა სამსახურებრივ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების ერთი თვის ვადაში გასაჩივრების შესახებ.
- ¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის (საქმე #ბს-415-402 (კ-10)) გადაწყვეტილება.
- ¹⁷ ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), GIZ, 2015, გვ. 28.
- ¹⁸ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, სსმ, 5(12) 24/02/1999.
- ¹⁹ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n71-mnishvnelovani-ganmarteba.pdf> (08.05.2019)
- ²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის (საქმე #ბს -854-836 (კ-12)) გადაწყვეტილება, გვ. 8.
- ²¹ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n71-mnishvnelovani-ganmarteba.pdf> (08.05.2019)
- ²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის (საქმე #ბს -854-836 (კ-12)) გადაწყვეტილება, გვ. 9.
- ²³ გვ.13.
- ²⁴ ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ხუბუა გ., ყალიჩავა კ., (რედაქტორები); იხ.: ტურავა პ., მოძღვრება საჯარო მმართველობის საქმიანობის ფორმებზე, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტ. IV, თბ., 2018., გვ. 260.
- ²⁵ ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), GIZ, 2015, გვ. 25.

- ²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა 2009 წლის 17 მარტის საქმე #ბს-1433-1391 (კ-08) გადაწყვეტილება, გვ. 6.
- ²⁷ კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2018, გვ. 238.
- ²⁸ ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), GIZ, 2015, გვ. 24.
- ²⁹ იქვე, გვ. 24.
- ³⁰ იქვე, გვ. 24.
- ³¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 147 -ე მუხლის მე-2 ნაწილი, სსმ 41, 30/12/2004.
- ³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა 2009 წლის 17 მარტის (საქმე #ბს-1433-1391 (კ-08)) გადაწყვეტილება, გვ. 5.
- ³³ იქვე, გვ. 5.
- ³⁴ ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), GIZ, 2015, გვ. 25.
- ³⁵ იქვე, გვ. 25.
- ³⁶ იქვე, გვ. 25.
- ³⁷ ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), GIZ, 2015, გვ. 58.
- ³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის (საქმე #ბს1580-1509 (კ-09)) გადაწყვეტილება, გვ. 4.
- ³⁹ იქვე, გვ. 5.
- ⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 სექტემბრის (საქმე #ბს-220-212 (2კ-13)) გადაწყვეტილება, გვ. 16.
- ⁴¹ 2013 წლის 15 იანვარს, ევროპარლამენტმა გამოსცა რეზოლუცია, რომლის შესაბამისად, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის უნდა შექმნილიყო ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ზოგადი ხასიათის კანონი, რომელიც პრინციპული ხასიათის რეგულაციებს გაავრცელებდ და წევრი ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოთათვის, როგორც ზოგად საფუძველს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის, იხ.: <http://www.europarl.europa.eu/legislative-train/theme-union-of-democratic-change/file-eu-administrative-procedure> (08.05.2019)
- ⁴² Charter of Fundamental Rights of the European Union article 41, Official Journal of the European Communities, 2000/C 364/01.
- ⁴³ Treaty on the Functioning of the European Union (TFEU), article 298, Official Journal C326, 26/10/2012. P 0001-0390.
- ⁴⁴ მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს 1964 წლის „ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ“ ფედერალური კანონი და შტატების შესაბამისი კანონები. გერმანიაში მოქმედებს „ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ“ 1976 წლის კანონი, საფრანგეთში „საჯარო ადმინისტრაციის მიმართ მოქალაქეთა უფლებების შესახებ“ 2000 წელს მიღებული კანონი და ა. შ.
- ⁴⁵ კოზირინი ა., შამინა მ., ზელენცოვი ა., ბოგდანოვსკაია ი., დანილოვი ს., საჟინა ვ., რაიტელმაიერი კ., შაიხი კ., ნიკეროვი გ., სამღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 386.
- ⁴⁶ იქვე, გვ. 385.
- ⁴⁷ გერმანული ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინის შესაბამისად, აქტები, რომლებიც კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობენ და გარესამართლებრივი ზემოქმედება აქვს, ადმინისტრაციულ აქტებად იწოდებიან, ხოლო ადმინისტრაციული აქტების რიცხვს არ მიეკუთვნებიან ისეთი ტიპის აქტები, რომლებიც შიდა ორგანიზაციულ ღონისძიებებს აწესრიგებენ.

- ⁴⁸ კობირინი ა., შამინა მ., ზელენცოვი ა., ბოგდანოვსკაია ი., დანილოვი ს., საჟინა ვ., რაიტელმაიერი კ., შაიხი კ., ნიკეროვი გ., საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 213.
- ⁴⁹ Administrative Procedure Act, p.43, Federal Law Gazette I p. 102, 25/05/1976. <http://germanlawarchive.iuscomp.org>
- ⁵⁰ ანგლოსაქსურ სახელმწიფოებს ახასიათებს ადმინისტრაციული აქტების დაყოფა საბოლოო და წინასწარ აქტებად.
- ⁵¹ კობირინი ა., შამინა მ., ზელენცოვი ა., ბოგდანოვსკაია ი., დანილოვი ს., საჟინა ვ., რაიტელმაიერი კ., შაიხი კ., ნიკეროვი გ., საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 213.
- ⁵² Law of General Administrative Procedure, title 5, articles 70-88, "Official Gazette of Montenegro" No. 60/03, 32/11.
- ⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 სექტემბრის (საქმე #ბს-220-212 (2კ-13)) გადაწყვეტილება, გვ. 19-20.
- ⁵⁴ იქვე, გვ. 21.
- ⁵⁵ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n71-mnishvnelovani-ganmarteba.pdf> (08.05.2019).
- ⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა 2009 წლის 17 მარტის (საქმე #ბს-1433-1391 (კ-08)) გადაწყვეტილება, გვ. 6.
- ⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 მარტის (საქმე #ბს1580-1509 (კ-09)) გადაწყვეტილება, გვ. 4.
- ⁵⁸ აქ გათვალისწინებულია განსაკუთრებულად გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო, სხვა აღმატებული ინტერესის გათვალისწინებით, იძულებულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს მიანიჭოს უკუძალა.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (სსმ, 32(39), 16/07/1999);
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (სსმ 39(46), 06/08/1999);
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექსი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, #12-ის დანართი, 31/12/1984);
4. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი (სსმ, 5(12), 24/02/1999);
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (სსმ, 41, 30/12/2004), ძალადაკარგულია 2005 წლის 1 იანვარს;
6. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი (სსმ, 27.10.2015);
7. ხუბუა გ., ყალიჩავა კ., (რედაქტორები), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო; ხუბუა გ., მართვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები; ტურავა პ., მოძღვრება საჯარო მმართველობის საქმიანობის ფორმებზე, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტ. IV, თბილისი, 2018;
8. ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2018;
9. კობალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ლვამიჩავა თ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018;
10. ნაჭყებია ა., ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014), GIZ, 2015;
11. კობირინი ა., შამინა მ., ზელენცოვი ა., ბოგდანოვსკაია ი., დანილოვი ს., საჟინა ვ., რაიტელმაიერი კ., შაიხი კ., ნიკეროვი გ., საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2014;

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე № ბს -854-836 (კ-12), 10/10/2013;
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე № ბს-220-212 (2კ-13), 09/09/2013;
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე № ბს-415-402 (კ-10), 15/09/2010;
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე № ბს 1580-1509 (კ -09), 16/03/2010;
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა გადაწყვეტილება, საქმე № ბს-168-162 (კს-09), 28/04/2009;
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა გადაწყვეტილება, საქმე № ბს-1433-1391 (კ-08), 17/03/2009;
18. Treaty on the Functioning of the European Union (TFEU), Official Journal C326, 26/10/2012. P 0001-0390;
19. Charter of Fundamental Rights of the European Union, Official Journal of the European Communities, 2000/C 364/01;
20. Administrative Procedure Act, Federal Law Gazette I p. 102, 25/05/1976;
21. Law of General Administrative Procedure, Official Gazette of Montenegro' No. 60/03, 32/11, 05/11/2003;

ინტერნეტ-რესურსები:

1. <https://matsne.gov.ge>
2. <http://www.supremecourt.ge>
3. <http://www.europarl.europa.eu>
4. <http://germanlawarchive.iuscomp.org>
5. <https://scholar.google.com>

THE LEGAL FORCE OF AN INDIVIDUAL ADMINISTRATIVE- LEGAL ACT AND ITS PROCEDURAL-LEGAL SIGNIFICANCE

NINO MINDIASHVILI

PhD student at Caucasus School of Law

Present article is dedicated to the institute of legal force of an individual administrative-legal act and its procedural legal significance. The main purpose of the article is to identify the problems in practice with regard to the entry into force of an individual administrative-legal act and to identify the legislative or governing nature of these problems.

The study identifies harmonization problem of general and private parts of the administrative law with the existence principal nature of contradictory regulations regarding the entry into force of an individual administrative-legal act.

The article discusses the legislative deficiencies of the General Administrative Code of Georgia, which indicates the absence of a specific rule of appeal, when the act does not include the rule of appeal, or it is interpreted incorrectly. The aforementioned legal deficit is basis to apply the analogy of the law and for disputable act extend 1 year appeal period.

The article illustrates public institutions' vicious practice of granting retaliation to individual administrative-legal acts, which contradicts legal principles of governance and violates citizens' rights and legitimate interests.

არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მემკვიდრე- ობის უფლების სამართლებრივი რეგულირება

თამარ იოსელიანი

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე,
სამართლის მაგისტრი*

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. საკუთრებისა და მემკვიდრეობის კონსტიტუციით დაცულ უფლებას არ გააჩნია აბსოლუტური ხასიათი. მის შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევენ ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები, რომლის თანახმად, საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ასეთი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას.¹

სტატიაში ყურადღება ეთმობა კანონით მემკვიდრეობას, კერძოდ კანონმდებლის იმ დათქმას, რომ კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრედ ითვლება: პირველ რიგში – გარდაცვლილის მეუღლე. ვინ შეიძლება იყოს მიჩნეული მეუღლედ?! კითხვაზე პასუხს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი² იძლევა. კერძოდ, იმისთვის, რომ პირები მიჩნეულ იქნან

მეუღლეებად აუცილებელია მათი ქორწინების რეგისტრაცია შესაბამის სახელმწიფო ორგანოში. თავის მხრივ, აღნიშნული გულისხმობს, რომ არარეგისტრირებულ თუმცა, ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირები კანონმდებლის მიერ არ აღიქმებიან მეუღლეებად, რაც საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გამორიცხავს ამ პირებს შორის მემკვიდრეობის უფლებას.

1. კანონით მემკვიდრეობა – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. კანონით მემკვიდრეობა – გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე – მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი.

ამავე კოდექსის 1307-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ კანონით მემკვიდრეობის დროს – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და აგრეთვე, მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ, ცოცხალი დაიბადებიან. ხოლო 1336-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან: პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით, ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომ – სააგენტოს ტერიტორიული სამსახური).

მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმ გარემობას, რომ საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით, კანონით მემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის, რომლებსაც კანონმდებელი უწოდებს მეუღლეებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რელიგია ძირითადი წეს-ჩვეულებების განმსაზღვრელი ფაქტორია, ამიტომაც დაოჯახებულ პირთა ნაწილი იმყოფება რელიგიურ, საკანონმდებლო ენაზე – არარეგისტრირებულ (ფაქტობრივ) ქორწინებაში, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა არ აღიარებს. აღნიშნული მდგომარეობა მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებს წარმოშობს, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მემკვიდრეობის უფლება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე Nას-681-637-2010),⁴ ს. და ა. ბ-ძეების საკასაციო საჩი-

გარი არ დააკმაყოფილა და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მ. ბ-ძესა და უ. ბ-ძეს შორის არსებული ფაქტობრივი ქორწინება უნდა გაუთანაბრდეს რეგისტრირებულ ქორწინებას სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე. როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვევა, 2009 წლის 26 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ა. და ს. ბ-ძეებმა მოპასუხეების – ფ., ლ., გ. და მ. გ-ძეების მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: 1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა იმის შესახებ, რომ უ. და მ. ბ-ძეები იყვნენ მეუღლეები 1930 წლიდან; 2. მ. ბ-ძის გარდაცვლილად გამოცხადება 1940-1941 წლებიდან; 3. მ. ბ-ძის წილიდან სამკვიდრო ქონების 1/3-ის ი. ბ-ძის მიერ მიღებულად მიჩნევა; 4. უ. ბ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონებიდან (ი. ბ-ძის წილის, მის მიერ მიშენებული ფართის გამოკლებით) მოსარჩელები-სათვის, როგორც თანმყოფი მემკვიდრეებისათვის სავალდებულო წილის გამოყოფა; 5. 2002 წლის 30 დეკემბრის 2-50 სამკვიდრო მოწმობასა (რომლითაც მოპასუხეებმა უ. ბ-ძის ანდერძის საფუძველზე მიიღეს ამ უკანასკნელის სახელზე რიცხული უძრავი ქონება) და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2009 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ა. და ს. ბ-ძეების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი. კერძოდ, 1930 წლიდან უ. ბ-ძესა და მ. ბ-ძეს შორის ქორწინების ფაქტი; ა. და ს. ბ-ძეების ბაბუა მ. ბ-ძე გარდაცვლილად გამოცხადდა 1947 წლის 31 დეკემბრიდან; უ. ბ-ძის სახელზე რიცხული ბათუმში, ...ქ. 19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 7/75 ნაწილის მესაკუთრეებად ცნობილ იქნენ ა. და ს. ბ-ძეები; დანარჩენი ფართი 2002 წლის 30 დეკემბრის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე დარჩა ფ., ლ., გ. და მ. გ-ძეების საკუთრებაში; შესაბამისი ცვლილებები შევიდა ნოტარიუს მ. მ-ძის მიერ 2002 წლის 30 დეკემბერს მოპასუხეების სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობასა (რეესტრში რეგისტრაციის 2-150) და საჯარო რეესტრის მონაცემებში; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ბათუმის საქალაქო სასამართლომ საფუძველი-ანად მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა მ. ბ-ძესა და უ. ბ-ძეს შორის ქორწინების ფაქტის დადგენის თაობაზე და განმარტა შემდეგი: საქმის მასალებით, ასევე, მოწმეების ჩვენებებით დგინდებოდა, რომ მ. ბ-ძე და უ. ბ-ძე, რომლის ქორწინებამდელი გვარი იყო ნ-ძე, 1930 წელს, მართლაც დაქორწინდნენ და იმყოფებოდნენ ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში. ამას ადასტურებდა ის გარემოებაც, რომ უ. ნ-ძემ გვარი შეიცვალა და გადავიდა ბ-ძის გვარზე. ასეა იგი მოხსენიებული 1935 წლის 30 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებაშიც. მართალია, 1997 წლამდე მოქმედი საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-19 მუხლის, ისევე როგორც ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ფაქტობრივი ცოლ-ქმრობა არ წარმოშობს მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს, მაგრამ საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო შემთხვევაში, განსხვავებულ ვითარებასთან გვექონდა საქმე. 1944 წლის 8 ივლისამდე საქართველოში აღიარებული იყო ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა და მათ მიმართ, ვინც ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მითითებულ დრომდე მოქმედებდა განსაკუთრებული წესი. მხოლოდ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მე-19 მუხლით დადგინდა,

რომ სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობდა მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება და ეს ბრძანებულება მხარეებს ავალდებულებდა რეგისტრირებულ ქორწინებას. მიუხედავად ამისა, მ. ბ-ძე ქორწინება რეგისტრაციაში ვერ განხორციელდა, რადგან როგორც საქმეზე დადგინდა, 1939 წლიდან იგი უგზო-უკვლოდ იყო დაკარგული. 1944 წლის 9 ნოემბერს, უმაღლესმა საბჭომ მიიღო ბრძანებულება, რომლის თანახმად, თუ აღნიშნული ბრძანებულების გამოცემამდე ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა ან ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგა, სასამართლოს მეშვეობით შესაძლებელი იყო დადგენილიყო ქორწინების ფაქტი, რაც გახდებოდა მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველი, მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის არარსებობისა. სააპელაციო ინსტანციისა და საკასციო ინსტანციის სასამართლოებმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა არ გაიზიარეს.⁵

განსხვავებით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის განჩინებაში საქმეზე N2ბ/2913-15, სადაც მხარეების მიერ სადავოდ იყო გამხდარი ჩუქების ხელშეკრულება და არარეგისტრირებულ ქორწინებაში შეძენილი ქონების თანამესაკუთრედ ცნობა, განმარტა, რომ მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, ი.გ-სა და ფ. გ-ს შორის საქორწინო ურთიერთობის (შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების) წარმოშობის მომენტად მათი ფაქტობრივი ქორწინების თარიღი – 2005 წლის იანვარი უნდა იყოს მიჩნეული. აღნიშნული ურთიერთობის ამგვარად შეფასებისას, სააპელაციო პალატა დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვით, „ქორწინება გაცხდა ფორმალურ ურთიერთობებს, საოჯახო ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობების რელურად არსებობის ფაქტზე.“ საქმეზე – კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands), ევროპულმა სასამართლომ 1994 წლის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ოჯახური ურთიერთობის ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობებით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე.“⁶ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული განჩინება ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.03.2016 წლის განჩინებით. თუმცა, საკასაციო პალატის მიერ არ იქნა გაზიარებული სააპელაციო პალატის ის მსჯელობა, რომ მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მოდავე მხარეებს შორის საქორწინო ურთიერთობის (შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების) წარმოშობის მომენტად მათი ფაქტობრივი ქორწინების თარიღი უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რადგან საკასაციო პალატის მოსაზრებით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის მომენტთან მიმართებაში, მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მის ნორმატიულ შინაარსს.⁷

ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, განსხვავებული პრაქტიკა აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. შ.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 28 ოქტომბრის N--- გადაწყვეტილება და სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ახალი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ნ. შ.-ს აღუდგებოდა სახელმწიფო კომპენსაცია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹ მუხლის საფუძველზე, იმავე მუხლით დადგენილი ოდენობით და წესით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გადაწყვეტილება დააყრდნო იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე ნ. შ. 1990 წლიდან, არარეგისტრირებულ, ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა მ. ნ-სთან, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ქმნიდა იმის უპირობო საფუძველს, რომ მოსარჩელე ნ. შ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული მ. ნ-ს მეუღლე და ოჯახის წევრი იყო, სწორედ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, როგორც არარეგისტრირებულ, რეალურ, ფაქტობრივ ქორწინებაზე დაფუძნებული ოჯახური ცხოვრების საფუძველზე.⁸ აღნიშნული მსჯელობა სრულად იქნა გაზიარებული, როგორც სააპელაციო ისე საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების მიერ.⁹

2. ოჯახური ცხოვრების თავისებურება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად

ოჯახური ცხოვრება ერთ-ერთია იმ ინტერესებს შორის, რომლებიც დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით. ოჯახური ცხოვრების კონცეფცია, რომლის განვითარება განაპირობა ცნობიერებითა და სოციალურმა ცვლილებებმა ევროპაში, მოიცავს საკითხთა ფართო წრეს.¹⁰ მოსალოდნელია, რომ საკითხთა ეს წრე გაფართოვდება მომავალში და როგორც სამი-ოთხი ათეული წლის წინ წარმოუდგენელი იყო ზოგიერთი საკითხის მოქცევა ოჯახური ცხოვრების კონცეფციაში, რაშიც დღეს ეჭვი არავის შეაქვს, ისე დღეს ზოგიერთი საკითხი, რომელიც არ შედის ოჯახურ ცხოვრებაში, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ოჯახური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდება.¹¹ ოჯახური ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტია ოჯახის წევრების ერთად ცხოვრებისა და ერთმანეთთან ურთიერთობის უფლება. ოჯახური ცხოვრება მოიცავს არაერთ საკითხს თუმცა, უპირველესად, აუცილებელია იმის განხილვა, რას ნიშნავს ოჯახური ცხოვრება.¹²

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მომხდარი ცნობიერებითი, სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების გათვალისწინებით, ოჯახური ცხოვრების განმარტება ევროპული სასამართლოს მიერ გასცდა ფორმალური ურთიერთობის ფარგლებს და ასევე, მოიცვა ფაქტობრივი ურთიერთობა წყვილს შორის.¹³ დღეს ოჯახურ ცხოვრებად არ მიიჩნევა მხოლოდ ქორწინებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, არამედ ასეთად ასევე, განიხილება ფაქტობრივი კავშირი.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე – X, Y და Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X. Y. and Z v. the United Kingdom), § 36, 1997 წლის 22 აპრილი, „ოჯახური ცხოვრების“ ცნება: „არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინების საფუძველზე შექმნილი ოჯახებით და შეიძლება მოიცავს სხვა დე ფაქტო ურთიერთობები. როდესაც წყდება, შეიძლება თუ არა, ურთიერთობა შეადგენდეს „ოჯახურ ცხოვრებას,“ რიგი ფაქტორებისა შეიძლება იყოს ამასთან კავშირში, მათ შორის: ცხოვრობს თუ არა წყვილი ერთად, მათი ურთიერთობის ხანგრძლივობა და გამოავლინეს თუ არა მათ თავიანთი ვალდებულება ერთმანეთის მიმართ ბავშვების ერთად ყოლით ან რაიმე სხვა საშუალებით.“¹⁴ საქმეზე – კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands), §30, 27 ოქტომბერი, 1994 წ., ოჯახური ცხოვრების არსებობასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ, ერთად ცხოვრება შეიძლება იყოს მოთხოვნა ასეთი ურთიერთობისათვის, როგორც გამონაკლისი, სხვა ფაქტორებიც ასევე, შეიძლება გამოდგეს იმის დასამტკიცებლად, რომ ურთიერთობას აქვს საკმარისი სტაბილურობა, შეიქმნას დე ფაქტო „ოჯახური კავშირები;“ ამ შემთხვევასთან გვაქვს აქ საქმე, ვინაიდან 1987 წლიდან 1-ნ კრონსა და 2-ნ ზერუკს გაუჩნდათ 4 შვილი.“ საქმეში ჯონსტონი ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston v. Ireland), 18 დეკემბერი, 1986, § 56, Series A no. 112, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „მომჩივნები (როი ჯონსტონი და ჯენის ვილიამს ჯონსტონი), რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ 15 წლის განმავლობაში, შეადგენდნენ „ოჯახს“ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის. შესაბამისად, მათ აქვთ უფლება, იყვნენ დაცულნი კონვენციით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მათი ურთიერთობა ჩამოყალიბებულია ქორწინების გარეშე.“ აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, ოჯახური ცხოვრება მოიცავს როგორც ქორწინებაზე დაფუძნებულ ურთიერთობას, ისე ფაქტობრივ ურთიერთობას მეუღლეებს შორის. მეუღლეებს შორის ფაქტობრივი ურთიერთობისას უნდა დადგინდეს ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, ასეთი ურთიერთობა ჩაითვლება ოჯახურ ცხოვრებად.¹⁵

საქმე – სერიფე იგიტი თურქეთის წინააღმდეგ (Serife Yigit v. Turkey) (დიდი პალატა, N3976/05, 2 ნოემბერი, 2010) ეხებოდა თურქეთის მოქალაქეს (მოსარჩილე), რომელიც ქმრის გარდაცვალებამდე იმყოფებოდა მასთან რელიგიურ, მაგრამ არა სამოქალაქო, ქორწინებაში. მათ ერთობლივად ჰყავდათ ექვსი შვილი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ, მომჩივანმა ეროვნულ დონეზე მოითხოვა ქორწინების აღიარება, რაც არ დაკმაყოფილდა. მომჩივანმა ასევე, მოითხოვა პენსიისა და ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებული შეღავათების მიღება. ევროპულ სასამართლოს საქმის შესაფასებლად, უპირველესად უნდა განესაზღვრა, ჰქონდათ თუ არა მომჩივანსა და გარდაცვლილს „ოჯახური ცხოვრება.“ ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების გარანტირებით, მე-8 მუხლი ვარაუდობს ოჯახის არსებობას. „ოჯახური ცხოვრების“ არსებობა ან არარსებობა ძირითადად, არის ფაქტის საკითხი, რომელიც დამოკიდებულია ახლო პირადი კავშირების რეალურ არსებობაზე.“¹⁶ ამასთან, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „მემკვიდრეობისა და საკუთრების ნებაყოფლობითი განკარგვა ახლო ნათესავებს შორის არის ოჯახურ ცხოვრებასთან ახლო კავშირში. ოჯახური ცხოვრება არ მოიცავს მხოლოდ სოციალურ,

მორალურ ან კულტურულ ურთიერთობას, მაგალითად, ბავშვების განათლების სფეროში; ის ასევე, მოიცავს მატერიალური სახის ინტერესებს, როგორც ეს გამოვლინდა, სხვა საკითხებთან ერთად, ურთიერთრჩენის მოვალეობით და ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმრავლესობის ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიხედვით, ქონების ნაწილის მიკუთვნებით. ...აქედან გამომდინარე, ეს არის ოჯახური ცხოვრების დამახასიათებელი, რომელიც არ შეიძლება უგულვებელყოფილ იქნას.¹⁷

3. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტების გამოყენება საქართველოს სასამართლო და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ასეთი სტანდარტების გამოყენება ხელს შეუწყობს რომ საქართველოს პრაქტიკა მაქსიმალურად შესაბამისობაში მოვიდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სტანდარტებთან.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იურიდიულად სავალდებულო პირველი საერთაშორისო დოკუმენტია კაცობრიობის ისტორიაში, სადაც მოწესრიგდა მრავალი ძირითადი უფლება და თავისუფლება. კონვენციას ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს, რომში. კონვენცია მიღებულია ევროპის საბჭოს (ქ. სტრასბურგი) ეგიდით. ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. ამჟამად კონვენციის მონაწილეა 46 სახელმწიფო, რომელთათვისაც იგი წარმოშობს იურიდიულ ვალდებულებებს. ევროპულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს. საქართველოს პარლამენტის მიერ კონვენციის რატიფიცირების შედეგად, იგი ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს.¹⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე დაარსდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც ზედამხედველობს სახელმწიფოების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებას.

ადამიანის უფლებათა დაცვა მუდმივი ძიების პროცესია არა მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობა და პრაქტიკა ახლა იქმნება, არამედ იმ ქვეყნებშიც, სადაც არაერთი ათწლეულის განმავლობაში ყალიბდებოდა ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის კულტურა. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებისა და მექანიზმების სრულყოფის პროცესი, სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, განპირობებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების უწყვეტი განვითარებით. ეს სტანდარტები ვითარდება როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონულ (მაგ., ევროპულ) დონეზე. ევროპული სასამართლოს საქმიანობა კარგი მაგალითია, როგორ ვითარდება ეს სტანდარტები და აქედან გამომდინარე, როგორ იზრდება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა.¹⁹

მზარდი სტანდარტები სათანადოდ უნდა აისახოს ევროპულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. ამ სტანდარტების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია, გაზიარებული იყოს იმ ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება, რომლებმაც პრაქტიკაში გამოსცადეს ადამიანის უფლებათა დაცვის ამა თუ იმ მექანიზმის

მოქმედება. ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის და პრაქტიკის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზანია ისეთი სტანდარტების დამკვიდრება და მექანიზმების შექმნა, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა პატივისცემას ქვეყანაში. ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.²⁰

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი განიმარტა ისე, რომ იგი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ ასევე, პოზიტიურ ვალდებულებას.²¹ ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ ასევე, უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა, მათ შორის, მესამე მხარის (ფიზიკური და იურიდიული პირები) მიერ დარღვევის შემთხვევაში (პოზიტიური ვალდებულება).²² თუ ევროპულ კონვენციაში განმტკიცებული უფლებები დაირღვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება პასუხისმგებლობის საკითხი თავად სახელმწიფოსი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.²³

რა იგულისხმება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებში და რატომ უნდა გამოვიყენოთ ისინი პრაქტიკაში?

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილეა საქართველო, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყაროა და მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა სახელმწიფოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კერძოდ, სასამართლო და ადმინისტრაციულ პრაქტიკაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს, შეუძლია წარმოშვას უფლებები და მოვალეობები ეროვნულ დონეზე. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ თავიანთი უფლებები დაიცვან ევროპული კონვენციის საფუძველზე. ევროპულ კონვენციას მინიჭებული აქვს საქართველოს ნორმატიულ აქტებზე (კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების გარდა) მაღალი იერარქიული ადგილი.²⁴

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტები მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (და მისი დამატებითი ოქმების) ტექსტში, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით.²⁵ ისინი დადგენილია, როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლით. სხვა სიტყვებით, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიხსენიება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე, ევროპული

სასამართლოს პრეცედენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები.²⁶ სახელმწიფოს ადმინისტრაციულმა და სასამართლო ორგანოებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მისი პრეცედენტული სამართლის განალიზების გარეშე ძალზე რთულია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების სწორად დადგენა და შესაბამისად, კონვენციის დებულებათა სწორად გამოყენება. კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა მეტისმეტად ზოგადად არის ფორმულირებული. კონვენციასთან ერთად, ადამიანის უფლებათა სტანდარტები გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.²⁷ ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტდება კონვენციის (და მისი ოქმების) დებულებათა შინაარსი და ფარგლები.²⁸ კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ნათელს ჰფენს კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.²⁹

დასკვნა

ქართული სამართლის ისტორიის წყაროების და რეალობის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ პოსტულატი „სამართალი უფრო ძლიერია, ვიდრე კანონმდებლობა“³⁰ – ყველაზე მეტად შეესაბამება ქართულ რეალობას. სწორედ ამ მნიშვნელოვან ღირებულებაზე დაყრდნობით, აღსანიშნავია კანონმდებლის ხისტი მიდგომა იმ ფაქტთან მიმართებაში, რომ მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მემკვიდრეობის უფლებას – მნიშვნელოვნად ზღუდავს იმ პირის კანონით მემკვიდრეობის უფლებას, რომელიც წლების განმავლობაში, მეუღლის გარდაცვალებამდე რეალურად ეწეოდა საერთო საოჯახო მეურნეობას მამკვიდრებელთან ერთად, წვლილი მიუძღვის ქონების შექმნაში ან/და გაუმჯობესებაში და აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ მემკვიდრედ ყოფნის უფლების ყველა წინაპირობას, გარდა შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის ფორმალური ფაქტისა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი პრობლემატურია დღევანდელ სასამართლო პრაქტიკაში, რამდენადაც ამ ტიპის საქმეებზე მოსამართლეს შესაძლოა გაუჩნდეს შინაგანი რწმენა, რომ ილახება არარეგისტრირებულ (ფაქტობრივ ქორწინებაში) მყოფ პირთა მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლება ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, რაც არ შეიძლება იმის საპირწონედ ჩაითვალოს, რომ ქორწინების რეგისტრაციის სავალდებულოობა მიზნდ ისახავს და ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სამართალურთიერთობათა კონტროლს.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: საქართველოს კონსტიტუცია მე-19 მუხლი, თბ., 1995 წლის 24 აგვისტო.
- ² იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი.
- ³ იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1306-ე, 1037-ე და 1336-ე მუხლები.
- ⁴ იხ.: სრულად საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.01.2011 წლის გადაწყვეტილება საქმეზე ას-681-631-2010, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.
- ⁵ იხ.: სრულად საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.01.2011 წლის გადაწყვეტილება საქმეზე ას-681-631-2010, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.
- ⁶ იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.11.2015 წლის განჩინება საქმეზე N28/2913-15.
- ⁷ იხ.: სრულად საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.03.2016 წლის გადაწყვეტილება საქმეზე ას-7-7-2016, http://www.library.court.ge/index.php?j_id=852
- ⁸ დაწვრილებით იხ.: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე N3/7683-16.
- ⁹ იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 08 თებერვლის განჩინება.
- ¹⁰ U. Kil Kelly, *the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003, 15-16.
- ¹¹ D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 2014, 526.
- ¹² ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბ., 2017.
- ¹³ ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (*Johnston and Others v. Ireland*), 1986 წლის 18 დეკემბერი.
- ¹⁴ 116-ე პარაგრაფი; ასევე, იხ.: კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (*Keegan v. Ireland*), 44-ე პარაგრაფი, 1994 წლის 26 მაისი და ვან დერ ჰეიდენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Van der Heidjen v. the Netherlands*), 50-ე პარაგრაფი, 2012 წლის 3 აპრილი.
- ¹⁵ U. Kil Kelly, *the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003, 16.
- ¹⁶ 93-ე პარაგრაფი.
- ¹⁷ 95-ე პარაგრაფი.
- ¹⁸ იხ.: კორკელია კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., 2007.
- ¹⁹ იხ.: კორკელია კ., ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები, სტატიათა კრებული, თბ., 2016.
- ²⁰ იქვე.
- ²¹ ვილდჰაბერი ლ., ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2002, 59-60.
- ²² D. Harris, M. O'Boyle, C. Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 2014, 504.
- ²³ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბ., 2017.
- ²⁴ იქვე.
- ²⁵ კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (*Keegan v. Ireland*), 1994 წლის 26 მაისი, 44-45 პარაგრაფები.

- ²⁶ M. Macovei, Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001, 5.
- ²⁷ J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, №11-12, 1996, 407.
- ²⁸ L. Wildhaber, Speech made at the Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special issue), № 50, 2000, 42.
- ²⁹ U. Kilkelly, the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights, 2003, 5.
- ³⁰ F. von Hayek, Recht, Gesetz und Freiheit, 2003, 75.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.01.2011 წლის გადაწყვეტილება საქმეზე ას-681-631-2010, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.11.2015 წლის განჩინება საქმეზე N28/2913-15;
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე N3/7683-16;
6. კ. კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, 2007;
7. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2016;
8. ლ. ვილდჰაბერი, ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2002;
9. ბ. ბოხაშვილი, კ. კორკელია, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი, 2017;
10. კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (Keegan v. Ireland), 1994 წლის 26 მაისი;
11. ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland), 1986 წლის 18 დეკემბერი;
12. ვან დერ ჰეიდენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van der Heidjen v. the Netherlands), 50-ე პარაგრაფი, 2012 წლის 3 აპრილი;
13. D. Harris, M. O’Boyle, C. Warbrick, Law of the European Convention on Human Rights, 2014, 504;
14. M. Macovei, Freedom of Expression: A Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights, 2001;
15. J. Polakiewicz, The Application of the European Convention on Human Rights in Domestic Law, 17 Human Rights Law Journal, №11-12, 1996;
16. L. Wildhaber, Speech made at the Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special issue), № 50, 2000;
17. U. Kilkelly, the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights, 2003;
18. F. von Hayek, Recht, Gesetz und Freiheit, 2003, 75
19. <http://prg.supremecourt.ge/>

LEGISLATIVE REGULATION OF THE RIGHT OF INHERITANCE OF THE PERSONS ENAGEDGED IN AN UNREGISTERED MARRIAGES

TAMAR IOSELIANI

*Assistant to the Judge of Tbilisi Court of Appeal
Master of Law*

Considering the sources of Georgian law history and the reality, we think that the postulate "justice is stronger than the legislation"¹ is the most relevant to Georgian reality. Based on this important value, it is noteworthy that the rigid approach of legislator to the fact that only registered marriage originates the right of inheritance – significantly restricts the right of inheritance of the person, who, before the death of the spouse, was keeping the household jointly with his/her decedent, participated in the acquisition and/or improvement of property and meets all the prerequisites to be a lawful heir, except from the formal fact of registration in the relevant body. In the legislation of Georgia, persons are required to register their marriage in the relevant state body in order to be considered as spouses. This, in turn, implies that persons in unregistered, but factual marriages are not perceived as spouses by the legislature, which, according to the current legislation, excludes the right to inherit among these persons.

The practice of the Georgian common courts and the European court, discussed in the present article, shows that this issue is problematic, therefore, it is important to implement European standards on the protection of human rights and apply them in practice, in order Georgia to be in compliance with the European standards of Human Rights protection.

¹ F. von Hayek, *Recht, Gesetz und Freiheit*, 2003, 75.

კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენა ხელშეკრულების სთანდართულ პირობებზე

ქეთევან გაქარიშვილი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის
დოქტორანტი*

შესავალი

კერძოსამართლებრივი ურთიერთობები მხარეთა ნება-სურვილის გამოხატვისა და შესრულების საუკეთესო მექანიზმია. სწორედ მხარეთა ინტერესები უდევს საფუძვლად სახელშეკრულებო და ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობას, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მხარეთა ნებას ენიჭება. არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რაც განაპირობებს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობას და იძლევა გარანტიებს, რომ მხარეთა ინტერესები მაქსიმალურად დაცული იქნება. ამის თვალსაჩინო მაგალითია, კერძო სამართალში დამკვიდრებული კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელსაც განსაკუთრებული როლი ენიჭება სამართალურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე.

„სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილეების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. კონტრაქტენტი ბოროტად არ უნდა იყენებდეს პარტნიორის გაჭირვებულ მდგომარეობას. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქ-

მედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.⁴¹

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე, როდესაც ერთ-ერთი მხარე აშკარად უთანასწორო მდგომარეობაშია მეორესთან და დისბალანსის აღბათობა ინტერესებს შორის საკმაოდ დიდია.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა კეთილსინდისიერების პრინციპის ან კეთილსინდისიერად მოქცევის განსაზღვრებას, თუმცა, ავალდებულებს მხარეებს მოიქცნენ კეთილსინდისიერად,² რაშიც მთელი რიგი მოთხოვნები მოიაზრება: მაგალითად, გულისხმიერება, პატიოსნება, ნდობის გამართლება, სწორი ინფორმაციის მიწოდება, ღიაობა, კონტრაჰენტის ინტერესის გათვალისწინება, ნაკისრი ვალდებულების ერთგულება და სხვა.

კონტრაჰენტის ინტერესების გათვალისწინებისა და ნდობის გამართლების მოთხოვნების დაცვა ყველაზე პრობლემურია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დროს. თავად ინსტიტუტის ბუნებიდან გამომდინარე, არც არის გასაკვირი, რომ შემთავაზებელი მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და ნაკლებად ზრუნავს მიმღების მდგომარეობაზე. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა იმპერატიულად დაავალა შემთავაზებელს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა ხელშეკრულების პირობების შედგენისას და დაადგინა იმ პირობების ბათილობა, რომლებიც ზიანს აყენებენ ან აუარესებენ მიმღების მდგომარეობას.

მიუხედავად ამისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი საკითხების საკანონმდებლო დონეზე აყვანას და მოქმედი წესების სწორად განმარტებას, რათა ადგილი არ ჰქონდეს ფუნდამენტური პრინციპების როლის დაკნინებას და მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის მქონე დებულებებად ქცევას. მით უფრო იმის ფონზე, რომ თითქმის ყველა სამართლებრივი სისტემა აღიარებს კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობას კერძო სამართალში და თუ ცალკე რეგულაციების სახით არ გვთავაზობს განმარტებებსა და განსაზღვრებებს, კონკრეტული სამართალურთიერთობების დროს მაინც იძლევა ზოგადი წესის განმარტებულ მითითებებს. ასევე, არა ერთი საერთაშორისო უნიფიცირებული წესი თუ ევროდირექტივა გვთავაზობს კეთილსინდისიერების, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის შესახებ რეგულაციებს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას.

1. კეთილსინდისიერების პრინციპი წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს

ზოგადად, კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების საჭიროება დგება მაშინ, როდესაც მხარეებს შორის უკვე არსებობს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების სახით, თუმცა, აღნიშნულის გამოყენება უნდა ხდებოდეს წინასახელშეკრულებო ურთიერთობების – მოლაპარაკებების დროსაც. მხარეები ვალდებულნი არიან, დაიცვან კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნები

სამართალურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე და მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმების ან ვალდებულების შესრულების ეტაპით არ უნდა შემოიფარგლონ. წინასახელშეკრულებო ეტაპზე, კეთილსინდისიერი ქცევის კლასიკური გამოხატულებაა მეორე მხარის ინფორმირება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებით – როცა შემთავაზებელი წინასწარ, ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე უდგენს პირობებს მეორე მხარეს და ეს უკანასკნელი მოკლებულია შესაძლებლობას, შეცვალოს შემთავაზებული დებულებები. ამ დროს ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. „კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო სამართლის უმთავრესი და ზოგადსავალდებულო პრინციპია, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ვალდებულების შესრულების სეგმენტით.“⁴³ „ყველა პირი, რომელიც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეა, უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად და არც ერთი უფლების რეალიზება არ უნდა ხდებოდეს მეორის საზიანოდ, ისე როგორც ეს იქნებოდა აღქმული არაგონივრულად ან/და კეთილსინდისიერების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ამასთან, მხარეები შებოჭილნი არიან აღნიშნული პრინციპით, ვალდებულების წარმოშობის, შესრულებისა და შეწყვეტის დროსაც.“⁴⁴

აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა, როგორც წესი, აღიარებს წინასახელშეკრულებო ეტაპზე კეთილსინდისიერების ვალდებულებას, რეგულაციებისა თუ სასამართლოს განმარტების გზით. თუმცა, ანგლო-ამერიკულ სამართალში პირიქით, „...მოლაპარაკებების დროს კეთილსინდისიერება აღწერილია როგორც „შეჯიბრობითობის პრინციპის“ არსებითად საწინააღმდეგო მოლაპარაკებების სტადიაზე (inherently repugnant to the adversarial position of the parties when involved in negotiations) და პრაქტიკაში გამოუსადეგარი (unworkable in practice).“⁴⁵

ამასთან, საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დროს, საკმაოდ რთულია დადგინდეს, რამდენად დაცულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რადგან პირობების მიმღების თავისუფლება შემოიფარგლება მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმების ან მასზე უარის თქმით. ამიტომ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შემთავაზებლის კეთილსინდისიერებას პირობების შედგენისა და შეთავაზების ეტაპზე, რადგან მიმღები მხოლოდ შემთავაზებლის კეთილსინდისიერების იმედად რჩება.

ამიტომაც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოლაპარაკებების კეთილსინდისიერად წარმართვას. მართალია, სტანდარტული პირობა ინდივიდუალური მოლაპარაკების შედეგი არაა, მაგრამ პრინციპის დონეზე, თუნდაც ინფორმირების ვალდებულების სახით, მინიმალური სტანდარტის დაცვა მხარეთა ზოგადი ვალდებულებაა, რაც ამ შემთხვევაში შემთავაზებლის ტვირთი უფროა, ვიდრე პირობების მიმღების.

2. ხელშეკრულების პირობების განმარტება კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით

ხელშეკრულების განმარტება გარიგებათა განმარტების კონკრეტული გამოვლინებაა და მისი მთავარი მიზანი ხელშეკრულების შინაარსის დადგენაა. მხარეები მართალია, თავად განსაზღვრავენ

ხელშეკრულების ყველა პირობასა და ნიუანსს თუმცა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ერთი მხარის მიერ მიზანმიმართულად, მეორის მიმართ უპირატესობის გამოყენების მცდელობას. სწორედ ამის პრევენციას ემსახურება კანონმდებლობაში გაბნეული ნორმების ერთობლიობა, რომელთა უმრავლესობა ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობების განმარტების წესებს გვთავაზობს და კონკრეტულად არ განსაზღვრავს მათი გავრცელების შესაძლებლობას ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირობების იმგვარად განმარტებას, რომ დაცული იყოს მხარეთა ინტერესები და ხელშეკრულებამ შეინარჩუნოს სამართლებრივი ძალა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ გვთავაზობს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტების სპეციალურ ნორმებს, თუმცა ზოგადად, ნების, გარიგებისა და ხელშეკრულების ცალკეული დებულებების განმარტების მარეგულირებელი წესების ანალოგიის საფუძველზე, ხდება ხელშეკრულების იმ პირობების განმარტებაც, რომლებიც არ ყოფილა ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანი თუმცა, მთელი რიგი, ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით. თუ რამდენად მიზანშეწონილია ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობების მიმართ მოქმედი წესების გავრცელება სტანდარტულ პირობებზე, დავის საგანია. თუმცა ცალსახაა, რომ კერძო სამართალში დამკვიდრებული სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გავრცელება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ინტერპრეტაციისას, მიზანშეწონილიც და ხშირად სავალდებულოცაა.

ზოგადად, კეთილსინდისიერების პრინციპი გარიგების განმარტებისას, დიდ როლს ასრულებს სამართლის ბევრ სისტემაში.⁵ მაგალითად, გერმანული სამართალი მოიცავს ნორმატიულ დებულებებს ინტერპრეტაციის დროს კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების შესახებ,⁷ ხოლო ჰოლანდიურ სამართალში აღნიშნული პრინციპის როლი განმარტებისას, განისაზღვრება სასამართლოს მიერ.⁸ იტალიის სამოქალაქო კოდექსი კი, ადგენს, რომ ზოგადად, განმარტება დასაშვებია უშუალოდ მხარეთა მიერ ან დავის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით.⁹ მთავარი მიზანია, არა მხოლოდ ნების გამომვლენი მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, არამედ ადრესატმა განმარტოს (მიიღოს) იგი კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში.¹⁰

სხვადასხვა საერთაშორისო უნიფიცირებული წესები¹¹ იზიარებს მიდგომას, რომ კეთილსინდისიერ ქცევას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ნებისმიერ ეტაპზე, იქნება ეს წინა მოლაპარაკებები, განმარტება/შინაარსის განსაზღვრა, შესრულება თუ დავის გადაწყვეტა. განმარტებისას, კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება ძირითადად, იმ ცარიელი ადგილების ამოსავსებად, რაც მხარეების მიერ არ იქნა თავის დროზე გათვალისწინებული. შესაბამისად, გაუთვალისწინებელი პირობები ან ბუნდოვანი ჩანაწერები განიმარტება ხსენებული პრინციპის ჭრილში, როგორც ეს მოხდებოდა მხარეების მიერ წინასწარ გათვალისწინების შემთხვევაში, გონივრულად და დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერების დაცვა, ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რადგან ამ დროს, ხელშეკრულების შედარებით „სუსტმა“ მხარემ შეიძლება ვერ შეასრულოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ნაკისრი ვალდებულება, რაც განსაკუთრებით ხშირია სტანდარტული პირობების დროს. ამიტომ აუცილებელია ამ უკანასკნელის დაცვის მექანიზმის არსებობა საკანონმდებლო დონეზე, რასაც უზრუნველყოფს სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნათა დაცვის ვალდებულება სახელშეკრულებო ურთიერთობების ყველა დონეზე.

გემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპს შესაძლოა გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს პირობის განმარტების დროს. მით უფრო, როდესაც საქმე გვაქვს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან და მათ მიმართ მოქმედი რეგულაციების სიმწირესთან როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. შესაბამისად, კონკრეტული ნორმების არქონის ფონზე, მნიშვნელოვანია კერძო სამართალში დამკვიდრებული პრინციპების მოთხოვნების დაცვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მხარეთა შორის ბალანსი და ხელშეკრულების მიზნის მიღწევა. კეთილსინდისიერების პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირობების მიმღებისთვის, რადგან არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ შემთავაზებული პირობები, რომელთა შეცვლის საშუალება მას არ ეძლევა, ჩამოყალიბებულია სწორედ სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების მოთხოვნათა შესაბამისად და დავის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო იხელმძღვანელებს სწორედ ამ კანონიერი მოლოდინისა და აღნიშნული ზოგადი ქცევის წესების ჩარჩოებში.

3. პირობების ბათილად ცნობა და თანმდევნი შედეგები

კეთილსინდისიერების პრინციპი სტანდარტული პირობების ერთ-ერთი მაკონტროლებელი მექანიზმი შეიძლება იყოს, რადგან სწორედ აღნიშნული უზრუნველყოფს მხარეთა შორის ბალანსის დაცვას და შედარებით სუსტ პოზიციაში მყოფი კონტრპენტის ინტერესების გატარებასაც. აღნიშნული პრინციპის მაკონტროლებელ ფუნქციაზე პირდაპირ უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოც.¹² ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების ისეთი პუნქტები, რომლებიც არ ყოფილა ინდივიდუალური მოლაპარაკების შედეგი და ცალსახად, შემთავაზებლის ინტერესების გამტარებელია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლის თანახმად, „ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. გასათვალისწინებელია ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.“

ამ მუხლით დადგენილი მოწესრიგება ვრცელდება სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ყველა სუბიექტზე – როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე, მიუხედავად იმისა, მისდევნ თუ არა ისინი კომერციულ საქმიანობას, განსხვავებით 347-348-ე მუხლებისაგან.¹³

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 09 მარტის გადაწყვეტილებაში,¹⁴ სასამართლომ მიუთითა, რომ „346-ე მუხლით ბათილია ხელშეკრულების სტანდარტული პირობა მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ, საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.“

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოხმობილი ნორმა შეიცავს ხელშეკრულების მეორე მხარის ინტერესების დაცულობის გარანტიად პირობების ბათილობის სამართლებრივ შესაძლებლობას იმ შემთხვევებისთვის, თუ სტანდარტული პირობა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.“

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების მიზანია, აღიკვეთოს შემთხვევები, როდესაც მხარე ცდილობს თავისი ძლიერი მდგომარეობის გამოყენებით უპირატესობის მოპოვებას ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობის შეტანის გზით.¹⁵ შესაძლებელია, შემთავაზებელს არც ჰქონდეს ასეთი მიზანი, მაგრამ კანონმდებელი ცდილობს ზოგადი ხასიათის დანაწესით დააზღვიოს ე. წ. სუსტი მხარე.

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებით, საინტერესოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს, რომ „თუ ვალდებულების შესრულებისას, პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.“ მართალია, სამართლიანობა პირდაპირ არ პასუხობს კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნებს თუმცა, სტანდარტული პირობების ტრილში, ორივე ემსახურება ერთ მიზანს – დაცულ იქნას იმ მხარის ინტერესები და კანონიერი უფლებები, ვისაც ფაქტობრივად თავად ამის შესაძლებლობა არა აქვს.

თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლი, რომელიც კრძლავს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო სახელშეკრულებო სტანდარტული პირობების გამოყენებას, არ უნდა იქნას მიჩნეული ისეთ ნორმად, რომელიც ბლუდავს შემთავაზებლის უფლებას, ჩამოაყალიბოს პირობები, არამედ ამ ნორმით ხდება ნების ავტონომიის პრინციპის დაცვა და სამართლებრივი ურთერთობების სამართლიანად და ნათლად მოწესრიგების უზრუნველყოფა კონტრაქტის ინტერესების გათვალისწინებით.¹⁶

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს მიერ მხოლოდ პირობის თუ მთლიანად ხელშეკრულების ბათილად ცნობას აქვს ადგილი.¹⁷ მართალია, კოდექსი არ შეიცავს სპეციალურ ნორმებს სტანდარტული პირო-

ბების ბათილად ცნობის გამო მთლიანად შეთანხმების ანუღირების ან ძალაში დატოვების შესახებ თუმცა, ზოგადი რეგულაციების საფუძველზე, შესაძლებელია კანონის ანალოგია. კერძოდ, კოდექსის 62 ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე.“

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის კონტექსტში, მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის მიდგომა, რომელიც პირობის ბათილობას ადგენს, მხარის მიერ მეორის მიმართ გავლენის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.¹⁸ კანონმდებელი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს კეთილსინდისიერებისა და ნდობის ფაქტორებს. რადგან მოცემულ შემთხვევაში ნდობის ბოროტად გამოყენებით არაკეთილსინდისიერი მხარე სარგებლობს გარიგებიდან და მეორე მხარეს არსებითად არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს. თუმცა, ჰქონდა თუ არა ადგილი ნდობის ბოროტად გამოყენებას ცალსახად, გადაწყვეტა რთულია. ყოველი კონკრეტული შემთხვევისას, გარემოებების შესწავლის საფუძველზე, სასამართლომ უნდა დაადგინოს რეალურად რასთან გვაქვს საქმე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლიდან იკვეთება, რომ შემთავაზებლის მიერ განსაზღვრული პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპებს, უნდა აზიანებდეს მეორე მხარის კანონიერ ინტერესებს და მნიშვნელოვნად აუარესებდეს მის მდგომარეობას. შესაბამისად, ვიდრე დადგება სტანდარტული პირობის ბათილობის საკითხი, უნდა შემოწმდეს რამდენად იყო შეზღუდული პირობების მიმღები გადაწყვეტილებისას, რა გარემოებებმა იქონია გავლენა მის გადაწყვეტილებაზე, რამდენად აცნობიერებდა იმ სამართლებრივ შედეგებს, რომელიც დადგა, რა მოტივით მოქმედებდა შემთავაზებელი, ადგილი ჰქონდა თუ არა უბრალოდ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის გამოყენებას, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას თუ უფლების ბოროტად გამოყენებას,¹⁹ რა იყო ხელშეკრულების გაფორმების მიზანი, რამდენად სურთ მხარეებს ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სხვა, რადგან კერძო სამართლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ ხელშეკრულება უნდა შესრულდეს. ამიტომ ბათილად ცნობა რომელიმე პირობისა, არ უნდა მოხდეს არსებული გარემოებების გაუთვალისწინებლად. მით უფრო იმ ფონზე, თუ მიმღების ინტერესების აშკარა შელახვის მიუხედავად, მას არ სურს ხელშეკრულების ანუღირება და თავდაპირველი მიზნის მიღწევა ჯერ კიდევ, შესაძლებელია.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარეთა ინფორმირებულობისა და გონივრული მოლოდინის ფაქტორები, ის თუ რამდენად ზუსტ ინფორმაციას ფლობდნენ მხარეები შეთანხმების გაფორმების წინ, მოლაპარაკებების ეტაპზე და რა მოლოდინები ჰქონდათ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ 346-ე მუხლი თითქოს იმპერატიულად ადგენს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობას, გასათვალისწინებელია მრავალი გარემოება და მხარეთა ნება თუმცა, ფაქტია, რომ სასწორი მიმღების უფლებების დაცვისკენ უფრო უნდა იყოს გადახრილი.

დასკვნა

დავას არ იწვევს, რომ კეთილსინდისიერი ქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დროს, როდესაც აშკარაა მხარეთა შორის უთანასწორობა. პირობების მიმღები რეალურად მოკლებულია შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს პირობების ჩამოყალიბებაში, რითაც ილახება მისი კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპები. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ აპრიორი არათანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ვერ იქნება უფლებრივი ბალანსისა და სამართლიანობის გარანტი. სწორედ აქ იჩენს თავს კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნების დაცვის აუცილებლობა, რაც მართალია, ერთი მხრივ, წინააღმდეგობაშიც შეიძლება მოდიოდეს თავისუფლების პრინციპთან ან ზღუდავდეს მას თუმცა, ემსახურება სუსტი მხარის დაცვას, მით უფრო თუ შეთავაზებული პირობები მკვეთრად აუარესებს მის მდგომარეობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნათა დაცვა ყველა ეტაპზე: ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შედგენის, შეთავაზების, განმარტების, შესრულებისა და დავის გადაწყვეტის დროს. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული რეგულაციები არ არსებობს ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობების მიმართაც კი, სტანდარტული პირობების შემთხვევაში, საკითხის გადაწყვეტა ხდება ზოგადად პრინციპის, დოქტრინაში დამკვიდრებული განმარტების საფუძველზე. ამიტომ მთავარი მიზანია, აღიკვეთოს შემთხვევები, როდესაც მხარე ცდილობს თავისი ძლიერი მდგომარეობის გამოყენებით, უპირატესობის მოპოვებას ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შეტანის გზით.²⁰

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლი ატარებს კეთილსინდისიერების პრინციპის მთავარ მნიშვნელობას – მხარეთა ვალდებულებას გაითვალისწინონ მეორის ინტერესები და სამართლიანად განსაზღვრონ პირობები. ხსენებული ნორმა ზოგადი ხასიათისაა და მოსამართლეს უფლებას აძლევს ბათილად მიიჩნიოს სტანდარტული პირობების ის დებულებები, რომლებიც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საბინაო ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. აღნიშნული ვრცელდება როგორც სამომხმარებლო, ისე კომერციულ ურთიერთობებშიც. შესაბამისად, ხელშეკრულების სამართლებრივი ძალა სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვაზეა დამოკიდებული. თუმცა, მიუხედავად ჩანაწერისა, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნას მხარეთა ინტერესები და თანმდევი გარემოებები, მაინც მოსამართლის შეფასებაზეა დამოკიდებული, კონკრეტული ხელშეკრულების ბედი. ამიტომ მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე მოხდეს კეთილსინდისიერების პრინციპისა და სტანდარტული პირობების ურთიერთმიმართების რეგულირება, რაც უფრო მეტად უზრუნველყოფს სამართლის პრაქტიკაში გატარებას. მართალია, თავად კეთილსინდისიერების პრინციპის დავიწროვება/კონკრეტობაცია არ იქნება სწორი, რადგან შეუძლებელია ყველა მოსალოდნელი შემთხვევის გათვალისწინება, თუმცა მხოლოდ ზოგადი პრინციპებისა და კოდექსში გაფანტული ნორმების ინტერპრეტაცია, ხშირად, არ არის საკმარისი სახელშეკრულებო სამართლიანობისათვის.

შენიშვნები:

- ¹ ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, გამომც. მერიდიანი, თბილისი, 2006, გვ. 13-14.
- ² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი „კერძო სამართლის სუბიექტები:“ „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.“ იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
- ³ ვაშაკიძე გ., შესავალი ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 5. ციტირებულია: ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-1, გვ. 14, 38 და მომდევნო გვერდები.
- ⁴ ციტირებულია: Mackaay E., Good faith in Civil Law Systems- A Legal-Economic Analysis, Scientific Series, december, 2011, 2011s-74, გვ. 7.
- ⁵ იქვე.
- ⁶ Hesselink M., Good Faith Chapter 18, Towards a European Civil Code, p. 294. იხ.: <https://books.google.ge/books?id=ZkR6e3gPWESc&pg=PA285&lpg=PA285&dq=MartijnHesselink,+%E2%80%9CGood+Faith%E2%80%9D+Chapter+18&source=bl&ots=EDVTRHvR2r&sig=RyxRuR4y-wZpZpVqNtheDyJwJpPg&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiT-arK7ZLNahUxb5oKHYq3BbEQ6AEIGTAA#v=onepage&q=MartijnHesselink%2C%20%E2%80%9CGood%20Faith%E2%80%9D%20Chapter%2018&f=false>
- ⁷ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლი, „ხელშეკრულებები განმარტებულ უნდა იქნას კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით.“
- ⁸ Hesselink M., Good Faith Chapter 18, Towards a European Civil Code, p. 294.
- ⁹ Pettinelli Cr., Comparative Commercial Law, Good faith in contract law: two paths, two systems, the need for harmonization, University of London, 2005, p.13.
- ¹⁰ იქვე, Galgino, Diritto, Bivato, CEDAM, Podova, 1981, pp. 325-327.
- ¹¹ Unidroit Principles of International Commercial Contracts (International Institute for the Unification of Private law, 2010) იხ.: <http://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010>; The principles of European Contract Law (prepared by the Commission on European Contract Law 1999 text in English), ასევე: ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ერთიანი კერძო-სამართლებრივი ხასიათის კანონის მოდელი - „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ (თარგმანი), თბილისი, 2014, გამომც. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი; Principles, Definitions and Model Rules of European Private Law - Draft Common Frame of Reference DCFR.
- ¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N ას-722-1045-05; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე Nას-992-1245-05.
- ¹³ სახელშეკრულებო სამართალი - სახელმძღვანელო სამართლის სკოლებსთვის, გამომც. მერიდიანი, თბილისი, 2014, გვ. 211.
- ¹⁴ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 სექტემბრის Nას-755-811-2011 გადაწყვეტილება.
- ¹⁵ ჩაჩანიძე თ., ფრენჩაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, გამომც. იურიდიული ფირმა ბონა კაუზა, თბილისი, 2010, გვ. 88.
- ¹⁶ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2014, გვ. 216.

- ¹⁷ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: ზაქარეიშვილი ქ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობების – ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულებაზე უარის თქმის უფლებების ბათილად ცნობა და შედეგები, უურნ. სამართალი და მსოფლიო, N5, 2016, გვ. 112-123.
- ¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი „გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო“ – (2) ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.“
- ¹⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი უფლების ბოროტად გამოყენების დაშვებლობა „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, დაუშვებელია უფლების ბოროტად გამოყენება მარტო-ოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.“
- ²⁰ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2014, გვ. 206.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. სამართალი, თბილისი, 2011;
4. ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, გამომც. მერიდიანი, თბილისი, 2006;
5. ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2009;
6. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005;
7. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გამომც. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009;
8. Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts. O.J.L 95,21.04.1993,29.
Uniform Comemercial Code, https://en.wikipedia.org/wiki/Uniform_Commercial_Code;
Vienna Convention of Law of Treaties, იხ: https://www.trans-lex.org/500600/_vienna-convention-on-the-law-of-treaties-of-1969/;
The Vienna Convention on International Sale of Goods, <https://www.uncitral.org/pdf/english/texts/sales/cisg/V1056997-CISG-e-book.pdf>;
Some Reflections on Good Faith in Contract law, Oxford University Obligations Group, February 2012,
Markensinis S. B., Unberath H., Johnson A., The German Law of Contract, A Comparative Treatise, Second edition, Oxford and Portland, Oregon, 2006, “The Principle of Good Faith.”
Kessler, F., Fine, E., Culpa in contrahendo, Bargaining in Good Faith and Freedom of Contract: A Comparative Study, Harvard Law Review 77(3): 401-449, 1964.
Lando O., Beale H., Principles of European Contract Law - Parts I and II Combined and Revised, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000.
9. Whittaker S., Zimmermann R., Good faith in European contract law: surveying the legal landscape. In R. Zimmermann and S. Whittaker, eds. Good Faith in European Contract Law. Cambridge University Press, Cambridge, 2000.

- Hesselink Martijn W., „The New european Private Law“ Essays on the Future of Private Law in Europe (Private Law in European Context Series) <https://books.google.ge/books?id=5dsFdV4vGTEC&pg=PA218&lpg=PA218&dq=wEBER+cOMMENTARIES+OF+BGB&source=bl&ots=9RR6YUZERz&sig=ksK9gRndWtR8yAY6eyMKaRzxM8A&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiLy7OqrsfUAhVB2RoKHfSDBF8Q6AEllzAA#v=onepage&q=wEBER%20cOMMENTARIES%20OF%20BGB&f=false>
10. Good Faith: Difficulties associated with the concept: Hesselink M.W., “The concept of good faith” in towards a European Civil code, Kluwer law international, Third fully Revised and Extended edition, 2004
 11. Hesselink, M. W., De Redelijkheid en Billijkheid in het Europese Privaatrecht, The Hague 1999 “Good faith” chapter 18.
Good faith in English Contract Dealings <https://www.lawteacher.net/free-law-essays/contract-law/good-faith-in-english-contract-dealings.php>.



IMPACT OF THE PRINCIPLE OF GOOD FAITH ON THE STANDARD TERMS OF A CONTRACT

KETEVAN ZAKAREISVILI

PhD student of Faculty of Law at East European University

Relations arising in private law are primarily an expression of the principles of freedom of agreement and the principles of private autonomy, where theoretically all is equal. However, when dealing with the standard conditions of the contract – it is difficult to discuss the freedom of expression and acceptance, as the recipient is often forced to sign a contract that is not profitable for him. Accordingly, its freedom is limited to whether or not to sign the contract. At this time, the principle of good faith may play a vital role.

Civil Code of Georgia tries to maintain the balance and intentionally establishes certain obligations for an offeror to draw up a standard terms of the contract based on the good faith and provides some advantages for the recipient, without any assessment, to demand annulment of the provisions and release from the obligations, if this kind of terms caused damage to him/her.

However, in spite of the above mentioned, it is complicated to properly understand the requests of general principles and often it's difficult to maintain the legal force of the contract. Therefore, it is necessary to clearly define the relationship between principle of good faith and standard terms of a contract, which will contribute to the enforcement of the agreement and satisfaction of the interests of the parties.

შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების მიმართ მოქმედი მატერიალური და პროცესუალური ვადები

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

მათე ხვიდელიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

შესავალი

შრომის უფლება ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა და საზოგადოებაში ინდივიდის თვითრეალიზების საშუალებას წარმოადგენს. შრომის უფლების სოციალური ბუნებიდან და შრომითი ბაზრის მზარდი განვითარებიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს შრომითი უფლებების კანონით დადგენილ ვადებში განხორციელებას. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაოდან გათავისუფლების, დისციპლინური სახდელის დაკისრების და შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილების შესახებ დამსაქმებელის გადაწყვეტილების გასაჩივრების მატერიალური და პროცესუალური ვადების დეტალურ განსაზღვრას. გარდა ამისა,

2013 წელს, საქართველოს შრომის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილი ინდივიდუალური და კოლექტიური დავების და გაფიცვის უფლებით სარგებლობისას, არსებული ვადების მოწესრიგების კუთხით.

წინამდებარე ნაშრომს ორი ძირითადი მიზანი აქვს. პირველი არის საქართველოს მოქმედი შრომის კოდექსით დადგენილი ვადების სამართლებრივი მოწესრიგების ანალიზი. მეორე მიზანი კი, სასამართლოს პრაქტიკაში გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების მოძიებაა. ეს საკითხები განხილულია უპირატესად, ქართული სასამართლო პრაქტიკის ჭრილში. ნაშრომი შესრულებულია შედარებითი, სისტემური, ლოგიკური და ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით. თითოეული მეთოდის გამოყენება ნაშრომის სხვადასხვა ნაწილში, ერთი მხრივ, ქართული საკანონმდებლო ნორმების ანალიზსა და მეორე მხრივ, არსებული სასამართლო პრაქტიკის განმარტებას ემსახურება. ამასთან, ნაშრომში გაანალიზებული და შეფასებულია არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ქართული სინამდვილისთვის საჭირო დასკვნების გამოტანა და პრაქტიკაში გათვალისწინება. ნაშრომის ბოლოს, დასკვნის სახით შეჯამდება კვლევის შედეგები და მოცემული იქნება გარკვეული სახის რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრასა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებას.

1. ვადების მნიშვნელობა შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი უფლებების დაცვის დროს

ვადა დროის გარკვეული მონაკვეთია, მაგრამ დრო განსხვავდება ვადისგან და სამართლებრივ კატეგორიას არ მიეკუთვნება. დრო უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს ვადასაც. ვადა კონკრეტული სუბიექტის (პირის, კანონმდებლის) ნებით განსაზღვრული დროის პერიოდია, რომელიც კონკრეტულ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს.¹ ამგვარად, ვადა არის დროის განსაზღვრული პერიოდი (მომენტი), რომელსაც კანონმდებლობა უკავშირებს ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას.² ზოგადად, ვადები სამოქალაქო უფლების განხორციელებისას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვინაიდან უფლების განხორციელება როგორც წესი, სწორედ დროის გარკვეულ მონაკვეთშია შესაძლებელი.³ ვადებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამსაქმებელსა და დასაქმებულის ურთიერთობებში, რაც გამომდინარეობს შრომითი ურთიერთობის ბუნებიდან. შრომის უფლება და სხვა სოციალური უფლებები ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდება და საერთოდ, ძირითადი უფლებების განხორციელების წინაპირობაა. დასახელებული კატეგორიის უფლებების მნიშვნელობის გააზრების საფუძველზე და მათი უზრუნველყოფის მიზნით, ჩამოყალიბდა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაშიც აისახა. სოციალური უფლებებისა და განვითარების დაცვის გარეშე წარმოუდგენელია სოციალური სახელმწიფოს არსებობა. სწორედ ამ ფუნქციის შესრულებაა სოციალური სახელმწიფოს დანიშნულება.⁴ ნებისმიერ პირს აქვს უფლება იმუშაოს მათ შორის, საჯარო სამსახურში და მისი შრომის უფლება უნდა იყოს დაცული.⁵ შრომითი ურთიერთობის საფუძველია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც

ვალდებულებითი ხელშეკრულების სპეციალური სახეა. შრომით ურთიერთობაში დაქირავებული ექცევა დამქირავებლის ნების გავლენის ქვეშ, დამოკიდებული ხდება მის მითითებებზე და მის მიერ განსაზღვრულ ორგანიზაციულ პირობებზე.⁶

ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულობის ვადებს. ხანდაზმულობა ეს არის კანონით დადგენილი ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს, რომელიც თვლის, რომ მისი უფლება შეილახა, შეუძლია მოითხოვოს იძულებითი აღსრულება ან უფლების დაცვა სასამართლოში, სარჩელის შეტანის გზით. ხანდაზმულობა ხელს უწყობს რა, სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილიზაციას, ამავედროულად, ემსახურება სახელ-შეკრულებო დისციპლინის სიმყარეს და ეხმარება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების აქტიურად და დროულად განხორციელებაში.⁷ სასარჩელო მოთხოვნების და ზოგადად, უფლების რეალიზების ხანდაზმულობის ვადების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც სამართლებრივ ურთიერთობებში რაიმე სახის ვალდებულების დარღვევას ან/და დავის წარმოშობას აქვს ადგილი.⁸ ფუნქციური დატვირთვის კუთხით და ასევე, თანმდევი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მატერიალურსამართლებრივი და პროცესუალურსამართლებრივი ვადები. დასახელებული ვადები ერთი მხრივ, საპროცესო და მეორე მხრივ, მატერიალურ ვადებთან დაკავშირებით, ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობების მიმართაა დადგენილი. მატერიალური უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად, ავტომატურად არ უქმდება. ამისათვის დაინტერესებულმა პირმა სასამართლოს უნდა განუცხადოს მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ, რომლის შემოწმების გარეშე სასამართლოს მხრიდან ისეთი მოქმედებების განხორციელება, როგორცაა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენა, აზრს კარგავს.⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.¹⁰ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მიუთითოს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.¹¹ ხანდაზმულობაში იგულისხმება ამა თუ იმ უფლების (მოთხოვნის, პრეტენზიის) განხორციელების შეუძლებლობა ვადის უშედეგოდ გასვლის შედეგად. ეს არის ცნების ნეგატიური დეფინიცია. არსებობს ხანდაზმულობის პოზიტიური დეფინიციაც, რომლის თანახმადაც, იგი არის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.¹²

2. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა

საპროცესო და მატერიალური ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებით.¹³ კოდექსში

დეტალურად განისაზღვრა დასაქმებულის გათავისუფლების დროს გათავისუფლების შესახებ შეტყობინების გაგზავნის ვადები და ასევე, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ვადები.¹⁴ კერძოდ, 2013 წლის ცვლილებების¹⁵ შემდეგ, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხოლო მე-7 ნაწილის თანახმად, თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში, დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს.¹⁶

მიუხედავად ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგებისა და გასაჩივრების ვადების შრომის კოდექსით განსაზღვრისა, სასამართლო პრაქტიკა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ვადებთან დაკავშირებით, დღემდე არაერთგვაროვანი და ბუნდოვანია. ქართული სასამართლოების პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც სასამართლოები ერთი და იმავე მოთხოვნის მიმართ იყენებენ განსხვავებულ ხანდაზმულობის ვადებს. შრომის ხელშეკრულების მოშლის პროცედურის დეტალური მოწესრიგების მიუხედავად, კოდექსით გათვალისწინებულ წესში მხოლოდ ორ შემთხვევაშია მითითებული გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტი. კერძოდ, როდესაც დასაქმებულს წერილობით ჩაბარდება შესაბამის ვადაში ხელშეკრულების მოშლის შესახებ დასაბუთება ან როდესაც ის მოითხოვს, მაგრამ 7 დღის ვადაში არ მიიღებს წერილობით დასაბუთება, ამ ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში.¹⁷ ამდენად, მოწესრიგება ითვალისწინებს ხელშეკრულების შეწყვეტის გასაჩივრების 30-დღიან ვადას მხოლოდ 2 შემთხვევაში. ორივე შემთხვევაში ვადის ათვლის მომენტის დადგენისათვის დასაქმებულს შრომის კოდექსის 38-ე მე-4 ნაწილის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს დამსაქმებლის მიმართ მოთხოვნა ხელშეკრულების მოშლის წერილობითი დასაბუთების თაობაზე. პრობლემურია სასარჩელო ხანდაზმულობის განსაზღვრის საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებული არ მიმართავს დამსაქმებელს 30 დღის ვადაში და არ მოსთხოვს გათავისუფლების საფუძვლების განმარტებას და თავის მხრივ, დამსაქმებელი საკუთარი ინიციატივით არ დაასაბუთებს გათავისუფლების საფუძვლებს. ამ შემთხვევაში, დასადგენია გამოიყენება 30-დღიანი ვადა თუ 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსგავს საქმეზე გაავრცელა 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, მიუხედავად იმისა, რომ დავა წარმოშობილი იყო (გათავისუფლება მოხდა 2013 წლის 12 ივნისის შემდეგ) და განმარტა, რომ არც 38-ე მუხლი და არც კოდექსის სხვა მუხლები არ შეიცავენ იმ მდგომარეობის მომწესრიგებელ ქცევის წესს, თუ რა ვადაში უნდა გასაჩივრდეს ხელშეკრულების

შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ არც დამსაქმებელი თავისი ინიციატივით არ გადაცემს დასაქმებულს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობით დასაბუთებას და არც დასაქმებული არ მოითხოვს დამსაქმებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების გადაცემას. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 38-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის ფორმულირებაზე, სადაც მითითებულია, რომ დასაქმებულს უფლება აქვს მოითხოვოს დამსაქმებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების გადაცემა. ნორმის ამგვარი დანაწესიდან გამომდინარეობს ის აზრი, რომ დასაქმებული არ არის ვალდებული მოითხოვოს წერილობითი დასაბუთების გადაცემა და შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში (თუ დასაქმებული არ მოითხოვს წერილობითი დასაბუთების გადაცემას), გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მის მიერ გასაჩივრების უფლებაზე არ შეიძლება გავრცელდეს 38-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული 30-დღიანი ვადა. ამავე სასამართლოს მოსაზრებით, ასეთ შემთხვევებზე შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის და სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე უნდა გავრცელდეს სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.¹⁶ სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება პასუხებზე მეტად კითხვებს აჩენს. უპირველესად, გაურკვეველია თუ რატომ არ გაითვალისწინა სასამართლომ შრომის კოდექსის მოქმედ რედაქციაში გამოვლენილი კანონმდებლის ნება, რომლის შესაბამისადაც, შრომითსამართლებრივ დავებთან დაკავშირებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრა 30 დღით. გამომდინარე აქედან, სასამართლოს მიერ სამუშაოზე აღდენასა და განაცდურის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნებთან მიმართებით 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება აშკარად წინააღმდეგობაში მოდის საკანონმდებლო მოწესრიგების მიზანთან. გარდა ამისა, გაურკვეველია თუ რატომ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, სადაც დასაქმებულები არ გამოხატავენ ინტერესს და არ მიმართავენ დამსაქმებელს გათავისუფლების საფუძვლების წერილობითი დასაბუთების მოთხოვნით, მაშინ როდესაც დასაქმებული, რომელიც გამოხატავს ინტერესს და მიმართავს დამსაქმებელს, იმავე ლოგიკით აღმოჩნდება არათანაბარ მდგომარეობაში და მას ექნება მხოლოდ 30-დღიანი ვადა სასამართლოში გასასაჩივრებლად.

შრომითი დავების მიმართ 3-წლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გამოყენების მიზანშეუწონლობას ასევე, ადასტურებს საერთაშორისო პრაქტიკაც. კერძოდ, გერმანული სამართლის მიხედვით, შრომის ხელშეკრულების მოშლის შესახებ ნების გამოვლენის გასაჩივრების უფლების ვადა 3 კვირაა, იმ მომენტიდან, როდესაც დასაქმებულს მიუვიდა ხელშეკრულების მოშლის შესახებ წერილობითი შეტყობინება. იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული ამ ვადას გაუშვებს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მოშლა კანონით დადგენილი წესისა და პროცედურების დარღვევით იქნა გათავისუფლებული, როგორც წესი, ნამდვილად ითვლება შეტყობინების მისვლისთანავე.¹⁹ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „სამუშაოდან გათავისუფლებისას დასაქმებულის დაცვის შესახებ კანონით“ (Kündigungsschutzgesetz), რომლის მე-4 მუხლის შესაბამისად, დასაქმებული უფლებამოსილია, 3 კვირის ვადაში, შრომითი დავების განმხილველ სასამართლოში, გაასაჩივროს დამსაქმებლის

გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.²⁰ შრომით დაგებში გასაჩივრების ვადების შემჭიდროებაზეა ორიენტირებული დიდი ბრიტანეთიც, სადაც გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების 3-თვიანი ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს. შრომითი დაგების განმხილველმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში (Towergate London Market Ltd v Harrissa) ყურადღება გაამახვილა დასაქმებულის უფლებაზე, გონივრულ ვადაში გასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება და გონივრულ ვადად მიიჩნია 90 დღე.²¹

2.1. შრომის კოდექსის 2013 წლის ცვლილებების ამოქმედებამდე გათავისუფლებული დასაქმებულების მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადები

შრომის კოდექსის 2013 წლის ცვლილებებამდე არსებული რედაქცია არ შეიცავდა რაიმე რეგულაციას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ვადებთან მიმართებით. კოდექსში არსებული ხარვეზი ხშირად გახდა ურთიერთგანსხვავებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველი. სასამართლოებმა აღნიშნული კატეგორიის დაგებთან დაკავშირებით გამოიყენეს როგორც სასარჩელო ხანდაზმულობის 6-თვიანი, ასევე, 3-წლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებიც. სასამართლოები უთითებდნენ ურთიერთგანსხვავებულ არგუმენტებს და იყენებდნენ სხვადასხვა სამართლებრივ დასაბუთებას.²²

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც დასაქმებულმა სასამართლოს მიმართა გათავისუფლებიდან 2 წლისა და 11 თვის გასვლის შემდეგ, მიუთითა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციის²³ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ მუშაკმა გათავისუფლების გადაწყვეტილება არ გასაჩივრა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან გონივრულ ვადაში, ითვლება, რომ მან უარი თქვა გასაჩივრების უფლებაზე. სააპელაციო სასამართლოს შესაბამისმა პალატამ მიიჩნია, რომ დავის გადასაწყვეტად და ხანდაზმულობის ვადის დასადგენად, გამოყენებულ უნდა იქნას არა სამოქალაქო კოდექსის 129.1. მუხლით განსაზღვრული 3-წლიანი, არამედ კონვენციით უშუალოდ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შეცვლებისთვის გათვალისწინებული გასაჩივრების გონივრული ვადა, რომელიც უნდა იყოს 6 თვე იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო გათავისუფლების შესახებ. მოცემული ვადის გონივრულობას სააპელაციო სასამართლო ანალოგიით უკავშირებდა მოსარჩელის გათავისუფლების პერიოდში არსებული შრომის კოდექსის რეგულაციას. კერძოდ, კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს, 6 თვისა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გათავისუფლებიდან 2 წლისა და 11 თვის შემდეგ, სასამართლოსადმი მიმართვა დაუშვებელია და ადვილი შესაძლებელია, რომ ამ პერიოდში სამუშაოს ჩამოცილებული და ანალოგიურ სამუშაოზე დაუსაქმებელი პირი ვეღარ შეესაბამებოდეს საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე კვალიფიკაციის სტანდარტებს. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გასაჩივრების 6-თვიანი ვადა კი, უზრუნველყოფს, რომ გათავისუფლებულმა მუშაკმა ამ

გადაში სრულად გაანალიზოს დათხოვნის საფუძვლები, გადაწყვიტოს მისი შეცვლა ან – არა, არ ჩამორჩეს საწარმოს, დაწესებულების თუ მათი სერვისის ოპერაციული საჭიროებიდან გამომდინარე დინამიკას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შრომით დავებში გასაჩივრების ვადა არ უნდა იყოს ძალიან დიდი და იგი უნდა განისაზღვროს ნ თვით.²⁴ სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება ძალაში დარჩა უზენაესი სასამართლოს განჩინებითაც, თუმცა, იგი ვერ იქცა პრეცედენტულ გადაწყვეტილებად და მიუხედავად ცალკეული გადაწყვეტილებებისა საერთო სასამართლოებმა იმ შრომით დავებთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშვა 2013 წლის ცვლილებებამდე, გაავრცელეს 3-წლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, განსხვავებით თბილისის სააპელაციო სასამართლოსგან, დაუშვებლად მიიჩნია, როგორც შრომით დავებში ნ-თვიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენება, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციის დებულებების გავრცელება. სასამართლომ განმარტა, რომ შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ შრომის კოდექსით არ იყო დარეგულირებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას გასაჩივრების ვადები, გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი 3-წლიანი ვადა.²⁵ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ILO-ს 158-ე კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განმარტება არ იყო სრულ თანხვედრაში სასამართლო პრაქტიკასთან. მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ შრომით ურთიერთობაში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მასთან თანხვედრაშია.²⁶ გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 პუნქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვისას, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში გამოიყენა ILO-ს 158-ე კონვენცია, ამასთან საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმების 228-ე და 229-ე მუხლების დანაწესებზე, რომლის შესაბამისადაც, საქართველომ აიღო ვალდებულება, დანერგოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებით დადგენილი შრომის სტანდარტები და აგრეთვე, დღის წესრიგში დააყენოს კონვენციების რატიფიკაციის საკითხი.²⁷

საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებამდე არსებული საკანონმდებლო ხარვეზის ფონზე, როგორც აღინიშნა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობდა ურთიერთ-განსხვავებული პრეცედენტები. საბოლოოდ, სასამართლო პრაქტიკა მივიდა დასკვნამდე, რომ იმ დასაქმებულების მიმართ, რომლებიც გათავისუფლდნენ 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებამდე, უნდა გავრცელდეს 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.²⁸ ბუნებრივია, არსებული სასამართლო პრაქტიკის მიმართ შეიძლება გამოითქვას კრიტიკა, მით უფრო, რომ საერთო სასამართლოებმა არ მიიღეს მხედველობაში შრომის კოდექსის მოქმედ რედაქციაში გამოვლენილი კანონმდებლის ნება, რომლის შესაბამისადაც, შრომითსამართლებრივ დავებთან დაკავშირებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრა 30 დღით. გამომდინარე აქედან, სასამართლოს მიერ სამუშაოზე აღდგენასა და

განაცდურის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნებთან მიმართებით 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება წინააღმდეგობაში მოდის საკანონმდებლო მოწესრიგების მიზანთან და ცალკეულ შემთხვევაში არღვევს უფლებათა ბალანსს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

2.2. ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყების მომენტი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. შრომით დავებში ხანდაზმულობის ვადების მნიშვნელობიდან და ზოგადად, ასეთი კატეგორიის დავების სენსიტიურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დეტალურად განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ათვლის ვადა. საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არაერთხელ იყო განხილული საკითხი იმის შესახებ, ხანდაზმულობის ვადის ათვლის წერტილად უნდა მიჩნეულიყო გათავისუფლების შესახებ შეტყობინების მისვლის მომენტი (მათ შორის, ზეპირი), თუ გათავისუფლების ბრძანების ოფიციალურად ჩაბარების მომენტი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთგზის განმარტა შრომით დავებში ხანდაზმულობის ვადის ათვლის თარიღი და იგი დაუკავშირა მხოლოდ და მხოლოდ გათავისუფლების შესახებ შეტყობინების მიღების თარიღს. ერთ-ერთ საქმეში კასატორი სადავოდ ხდიდა ხანდაზმულობის საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას და საკასაციო პრეტენზიას იმ გარემოებაზე აფუძნებდა, რომ სასამართლომ არასწორად აითვალა სადავო ბრძანების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა. კასატორი სადავო ბრძანების გასაჩივრების ვადის ათვლას სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ოფიციალურად გადაცემის მომენტს უკავშირებდა. მოცემულ საქმეზე საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პოზიცია, სადავო ბრძანების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის ათვლის არასწორად განსაზღვრის შესახებ და მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სსკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენის საწყის წერტილად განსაზღვრულია დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სასამართლოს განმარტებით, სშკ-ის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი უფლების რეალიზების ვადის ათვლას სწორედ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების ფაქტობრივად შეტყობის მომენტს უკავშირებს. მოსარჩელეს კი, სასამართლოსთვის დარღვეული უფლების დასაცავად არ მიუმართავს ხანდაზმულობის ვადის დენის ფარგლებში.²⁹

ანალოგიური განმარტება გააკეთა უზენაესმა სასამართლომ სხვა საქმეებზეც.³⁰ კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენის საწყის წერტილად განსაზღვრულია დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. კონკრეტულ შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენებისა და თავად იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სადავო ბრძანების გამოცემის შემდგომ, დასაქმებული სამუშაო ადგილზე აღარ გამოცხადებულა,

ცალსახაა, რომ კასატორისთვის ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობამდეც ცნობილი იყო უფლების დარღვევის თაობაზე, თუმცა, მას სასამართლოსთვის დარღვეული უფლების დასაცავად არ მიუმართავს ხანდაზმულობის ვადის დენის ფარგლებში.³¹

შრომის კოდექსის 2013 წლის ცვლილებებთან დაკავშირებით, საინტერესოა სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის განხილვა.³² 140-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია გამონაკლისი ზოგადი წესიდან, რომლის შესაბამისადაც, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.³³ რომ შევაჯამოთ, 140-ე მუხლის შინაარსი შესაძლოა წინააღმდეგობაში მოდიოდეს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4-7 ნაწილებით დადგენილ რეგულირებასთან. კერძოდ, 140-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს დასაქმებულს, მიმართოს სასამართლოს სარჩელით და პირველი სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შრომით დავაში გაზარდოს ნ თვემდე, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4-7 ნაწილების შინაარსთან და კანონმდებლის მიზანთან. დასახელებული გზით, შრომით დავებში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ნ თვემდე გაზრდის ალბათობა დიდია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დასაქმებულს შეუძლია წარდგენილი სარჩელი გამოიხმოს თავადვე და ხელახლა წარადგინოს ნ თვის ვადაში.

სამოქალაქო კოდექსის და შრომის კოდექსის ნორმათა კონკურენციასთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზეც, რომ შრომის კოდექსი წარმოადგენს ორგანულ კანონს და მას იერარქიული თვალსაზრისით, სხვა კანონებთან შედარებით, მათ შორის, სამოქალაქო კოდექსზე მაღალი იერარქიული საფეხური უკავია. ამასთან, შრომის კოდექსში 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების უმთავრესი მიზანი და ამოცანა იყო გარკვეული ვადების დადგენა, ვადების შემჭიდროება. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ უფრო ახალი და სპეციალური კანონით დადგენილია უფრო ნაკლები ხანდაზმულობის ვადა, ვიდრე სამოქალაქო კოდექსი ადგენს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო ახალ და სპეციალურ კანონს. სხვაგვარაა განმარტებამ შესაძლოა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენოს ის დასაქმებულები, რომლებმაც შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4-7 ნაწილებით გათვალისწინებულ ვადაში მიმართეს სასამართლოს, იმ დასაქმებულებთან მიმართებით, რომლებიც მას შემდეგ, რაც სასამართლო განუხილველად დატოვებს სარჩელს, ნ თვის ვადაში მიმართავენ ახალი სარჩელით სასამართლოს და ხელოვნურად გაზრდიან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებს.

3. შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი ცალკეული დავების მიმართ მოქმედი ვადები

გარდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილების შესახებ და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ დამსაქმებლის გადაწყ-

ვეტილებებისა, დავის საფუძველი შრომით ურთიერთობებში შეიძლება იყოს სხვა შემთხვევებიც. მაგალითად, დავა შეიძლება წარმოიშვას დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სახელფასო ანაზღაურების ოდენობის გაზრდის და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნებთან დაკავშირებითაც. დავის საგნიდან და სუბიექტებიდან გამომდინარე, დავა შეიძლება იყოს ინდივიდუალური და კოლექტიური. მასშტაბებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია ეს უთანხმოებები გაფიცვის დაწყების საფუძველი გახდეს. ამის გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას იძენს ცალკეული დავების მიმართ მოქმედი იმ ვადების განხილვა, რომელიც დადგენილია შრომის კოდექსის შესაბამისად, მით უფრო, რომ ამ ვადების დაუცველობას მნიშვნელოვანი პროცესუალური შედეგები ახლავს თან.

შრომის კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში. იტალიური სამართლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობის დროს დავა შესაძლოა წარმოიშვას მაშინ, როდესაც ირღვევა კანონით, ერთობლივი მოლაპარაკებებით, ჩვეულებით ან პრაქტიკით გათვალისწინებული უფლებები ან/და მოლოდინები.³⁴ შრომის კოდექსის 47-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობის დროს დავის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს: ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. ბ) ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების ან კოლექტიური ხელშეკრულების ან შრომის პირობების დარღვევა. გ) დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებთან ან/და კოლექტიური ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული უთანხმოება.

შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავა შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური. დავის განხილვა არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას. ორივე კატეგორიის დავის შემთხვევაში, შრომის კოდექსმა 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებით დაადგინა დავის არსებობისას შემათანხმებელი პროცედურების გავლის ვალდებულება.³⁵

3.1. ინდივიდუალური დავის მიმართ მოქმედი ვადები

საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით, რაც გულისხმობს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას. შემათანხმებელი პროცედურები უნდა დაიწყოს ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, სადაც ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მოთხოვნები. შეტყობინების მიღების შემდეგ, მეორე მხარე ვალდებულია განხილოს წერილობითი შეტყობინება და შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში თავისი გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს შეტყობინების გამგზავნ მხარეს.³⁶ იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 14

კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მხარეს მიეცემა უფლება, მიმართოს სასამართლოს. რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, თუ მხარე თავს აარიდებს შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, დავის ფაქტობრივ გარემოებებზე მტკიცების ტვირთი მას დაეკისრება.³⁷ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია დავის განხილვის პროცესში მხარის მიერ მოთხოვნის გაზრდა ან დავის საგნის შეცვლა, ამიტომ აუცილებელია, მხარემ თავიდანვე სწორად და გამართულად ჩამოაყალიბოს დავის საგნის შესახებ მოთხოვნა.³⁸ დავის დროს, შემათანხმებელი პროცედურების სავალდებულოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ასეთი პროცედურა ხელს უწყობს მხარეებს შორის მოლაპარაკებების წარმართვას და შესაძლებელს ხდის სასამართლოსა თუ არბიტრაჟის გარეშე დავის გადაწყვეტას, რაც თავის მხრივ, ზოგადად როგორც დროს, ასევე ფინანსურ რესურსებს.³⁹

3.2. კოლექტიური დავის მიმართ მოქმედი ვადები

საქართველოში შრომითი ურთიერთობების დროს წარმოშობილ კოლექტიურ დავას არეგულირებს შრომის კოდექსის 48¹ მუხლი (კოლექტიური დავის განხილვა და გადაწყვეტა) და ასევე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №301, რომელიც განსაზღვრავს კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესებს. კოლექტიური დავა ეს არის დავა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს ან დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის, სადაც წარმოდგენილია სულ მცირე, 20 დასაქმებული. ასეთი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით, რაც გულისხმობს დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს ან დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას ან მედიაციას ერთ-ერთი მხარის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისათვის (შემდგომ – მინისტრი) შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში.⁴⁰ ისევე როგორც ინდივიდუალური დავისას, კოლექტიური დავის დროსაც მხარე მეორე მხარეს უგზავნის შემათანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მხარის მოთხოვნები.⁴¹ შრომის კოდექსის 49-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, კოლექტიური დავის დროს მხარეებმა გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყებამდე, არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე, ერთმანეთს და მინისტრს წერილობით უნდა შეატყობინონ გაფიცვის ან ლოკაუტის დრო, ადგილი და ხასიათი.⁴²

ერთ-ერთი მხარის მიერ, მედიაციის დაწყების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისათვის წერილობითი მიმართვის შედეგად, მედიაცია იძენს სავალდებულო ხასიათს მეორე მხარისთვისაც. რაც შეეხება გაფიცვისა და ლოკაუტის უფლებას, ისინი წარმოიშობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან (ან მინისტრის მიერ საკუთარი ინიციატივით მედიატორის

დანიშნულები), 21 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ. ასეთი შეზღუდვა ემსახურება იმ მიზანს, რომ მხარეებმა ჯერ უნდა მიმართონ მედიაციას, რათა ამ გზით სცადონ მედიაციით შეთანხმების მიღწევა და დავის დარეგულირება, გაფიცვა და ლოკაუტი კი, როგორც დავის გადაწყვეტის უკანასკნელი საშუალება, ისე გამოიყენონ.⁴³

3.3. გაფიცვის უფლებით სარგებლობისას დადგენილი ვადები

საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ერთადერთი შემთხვევა, როდესაც დასაქმებულს აქვს უფლება უარი განაცხადოს სამუშაოს შესრულებაზე, არის გაფიცვა. შრომის კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. საქართველოს შრომის კოდექსი გაფიცვის უფლებას უშვებს როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების შემთხვევაში.⁴⁴ შრომის კოდექსის შესაბამისად, დასაქმებულის მხრიდან გაფიცვის დაწყების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებთან ან/და კოლექტიური ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული უთანხმოება.⁴⁵

შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, განსხვავდება კანონიერი და უკანონო გაფიცვა. გაფიცვა კანონისმიერი დაცვითა და ხელშეუხებლობით სარგებლობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ორგანიზებულია მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში და აკმაყოფილებს დადგენილ წინაპირობებს. გაფიცვის დროს, როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური დავის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან, განაგრძონ კანონით დადგენილ შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობა. ამ ვალდებულების დარღვევა, კერძოდ კი, გაფიცული მხარის მიერ შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეებისათვის თავის არიდება, გაფიცვის უკანონოდ ჩათვლის საფუძველია.⁴⁶

გაფიცვის უფლებით სარგებლობისას, დასაქმებული ვალდებულია დაიცვას შრომის კოდექსით დადგენილი პროცედურები. კერძოდ, ამავე კოდექსის 49-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ინდივიდუალური დავის დროს, მხარეებმა გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყებამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ერთმანეთს წერილობით უნდა შეატყობინონ გაფიცვის ან ლოკაუტის დრო, ადგილი და ხასიათი. 51-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ერთ-ერთმა მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას და მოაწყო გაფიცვა ან ლოკაუტი, ასეთი გაფიცვა ან ლოკაუტი უკანონოდ ჩაითვლება. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება მხარეებს. სასამართლო გადაწყვეტილება გაფიცვის ან ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შესახებ სრულდება დაუყოვნებლივ. სავალდებულო პროცედურების დაცვის გარეშე განხორციელებული გაფიცვა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია, მიუხედავად იმ ფაქტისა თუ რატომ გაუჩნდა დასაქმებულს გაფიცვის სურვილი და უძლოდა თუ არა ამას წინ დამსაქმებლის შესაძლო უკანონო ქმედება. მოქმედი

კანონმდებლობის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაფიცვის უფლებით სარგებლობამდე დაიცვან სავალდებულო პროცედურები.

3.4. დისციპლინური პასუხისმგებლობის გასაჩივრების ვადები შრომის კოდექსის შესაბამისად

განსხვავებით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ვადების საკანონმდებლო მოწესრიგებისა, შრომის კოდექსი არაფერს ამბობს ცალკეულ დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებულ სასარჩელო მოთხოვნების მიმართ მოქმედ საპროცესო და ხანდაზმულობის ვადებზე. მაგალითად, რა ვადაში შეიძლება გაასაჩივროს დასაქმებულმა მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც მას გარკვეული სახის სახდელი/პასუხისმგებლობა დააკისრა დამსაქმებელმა ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებისათვის. ეჭვგარეშეა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნაა და დასაქმებულს აქვს შესაბამისი იურიდიული ინტერესი. იურიდიული ინტერესი აშკარაა მით უფრო, რომ კოდექსის 37-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „თ“ პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა.⁴⁷ გამომდინარე აქედან, იმ შემთხვევაში თუ დასაქმებული არ გაასაჩივრებს დისციპლინური სახდელის დაკისრებას, შეიძლება ეს ფაქტი მისთვის გახდეს ერთ-ერთი წინაპირობა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა. ერთ-ერთ უახლეს გადაწყვეტილებაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადასთან მიმართებით, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებული ზომები ემსახურება არსებული ვითარების სწრაფ გამოსწორებას, დასაქმებული მუშაკის იძულებას, მოიქცეს უფრო წინდახედულად და გულისხმიერად, გახდეს უკეთესი, აიმაღლოს კვალიფიკაცია. ამასთან, ამ ზომებს აქვს ზოგადპრევენციული დატვირთვა, რომ სხვა დასაქმებულმა არ ჩაიდინონ იგივე დარღვევა და მათ შეექმნათ უფრო ეფექტიანად მუშაობის მოტივაცია. შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის მონაწილე მხარეების ინტერესებშია, რომ შრომითი მოვალეობის დარღვევის ფაქტზე რეაგირება მოხდეს სწრაფად, რადგან დაგვიანების შემთხვევაში ვერ მიიღწევა სახდელის პრევენციული მიზანი. საქართველოს შრომის კოდექსი საერთოდ არ განსაზღვრავს დასაქმებულისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძვლებს, ვადას და იგი მთლიანად შრომის შინაგანაწესით გადასაწყვეტ საკითხთა წრეს მიეკუთვნება.⁴⁸

აგრეთვე, მნიშვნელოვანია საკითხი, ხანდაზმულობის რა ვადა მოქმედებს დისციპლინური სახდელის დაკისრებისათვის. ანუ, როდესაც დამსაქმებელი შეიტყობს, რომ დასაქმებულმა ჩაიდინა გარკვეული სახის გადაცდომა, თუ რა ვადაში უნდა დააკისროს მან დასაქმებულს დისციპლინური სახდელი.

დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დადგენა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ შრომითი ურთიერთობის სუბიექტების გადასაწყვეტ საკითხს მიაკუთვნა.⁴⁹ პრობლემა კიდევ უფრო რთულია, გამომდინარე იქიდან, რომ ჯერჯერობით, სასამართლო პრაქტიკა განსახილველი საკითხის მიმართ არ არსებობს. შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია. თუმცა, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი 3-წლიანი ვადის გავრცელება დისციპლინური სახდელის გასაჩივრების შესახებ სარჩელებზე აზროს კარგავს, რადგან ფაქტობრივად, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინური სახდელი დაკისრებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ, ამ პუნქტით გათავისუფლების წინაპირობა არ შეიძლება გახდეს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, დისციპლინური სახდელის კანონიერებასთან დაკავშირებით, დასაქმებულის სასარჩელო მოთხოვნის მიმართ, ყველაზე ლოგიკური იქნება, თუ გავრცელდება შრომის კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი ვადა. სხვა შემთხვევაში, სასურველი და მიზანშეწონილია, რომ დასაქმებულს მინიმუმ ის ვადა უნდა ჰქონდეს გასაჩივრებისათვის, რაც დადგენილია კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით. ანუ დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან მინიმუმ, 30 კალენდარული დღე.

3.5. არსებითი პირობების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების, როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნების მიმართ მოქმედი ვადები შრომის კოდექსის შესაბამისად

შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: ა) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა; ბ) სამუშაო დრო და დასვენების დრო; გ) სამუშაო ადგილი; დ) თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე; ე) შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი; ვ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; ზ) ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი. დასაქმებულთა ინტერესების დაცვის კუთხით, შრომის კოდექსში ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ პირდაპირი ჩანაწერი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ იცავს დასაქმებულის ინტერესებს და იმავდროულად, დამხმარე მექანიზმს უქმნის დამსაქმებელსა და სთავაზობს საკითხების ჩამონათვალს, რომელთა წინასწარ გათვალისწინების შემთხვევაშიც, შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული სამომავლოდ გაურკვევლობა და დავა ცალკეულ პირობასთან მიმართებით.⁵⁰

ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის საკითხი იმ შემთხვევებისათვის, როდესაც დასაქმებული მიიჩნევს, რომ დამსაქმებელმა შეცვალა

მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები, ანუ ის ვადა, რა ვადაშიც უნდა გაასაჩივროს დასაქმებულმა სასამართლოში დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის შეცვლის შესახებ. შრომის კოდექსი პირდაპირ არ განსაზღვრავს მსგავსი დავებისთვის ხანდაზმულობის ვადას. შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. თუმცა, საკითხავია, რამდენად სწორი და მიზანშეწონილია სამოქალაქო კოდექსით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილების შესახებ სარჩელებზე მაშინ, როდესაც ასეთ დიდ ვადას არ ითვალისწინებს შრომის კოდექსი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელებთან დაკავშირებითაც კი, ანუ ყველაზე მნიშვნელოვან სასარჩელო მოთხოვნაზე. ვადების განსაზღვრისათვის საჭიროა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის არსებული რედაქციის სისტემური განმარტება. 2013 წლის 12 ივნისს, შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, ამავე კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, დასაქმებულს განესაზღვრა 30-დღიანი ხანდაზმულობის ვადა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებისათვის. სხვა სპეციალურ ვადას შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს. მსგავსი შემთხვევებისათვის სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნას მიღებული კანონმდებლის ნება, რომლითაც შრომითი ურთიერთობებიდან მომდინარე დავები დაექვემდებარა 30-დღიან ხანდაზმულობის ვადას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ შრომითი კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების, ანუ დასაქმებულისთვის ყველაზე მძიმე შედეგის მომტანი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადად განსაზღვრულია 30 დღე, შესაბამისად არალოგიკური იქნება უფრო მსუბუქი შედეგის მომტანი გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის, როგორცაა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილება, არსებობდეს სასარჩელო ხანდაზმულობის უფრო დიდი ვადა. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ერთი მარტივი მაგალითის მოტანა. კერძოდ, სიტუაცია, როდესაც დასაქმებული შრომის კოდექსით დადგენილ 30-დღიან ვადაში არ ასაჩივრებს დამსაქმებლის გადაწყვეტილებას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მას ამავე დროს აქვს დამსაქმებელთან პრეტენზიები შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილების თაობაზე. ანუ, მსგავს სიტუაციაში თუ არ გავავრცელებდით 30-დღიან ხანდაზმულობის ვადას შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლის სასარჩელო მოთხოვნაზე, გვექნებოდა შემთხვევა, სადაც დასაქმებულმა ერთი მხრივ, გაუშვა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ბრძანების სასამართლოში გასაჩივრების ვადა, მაგრამ მეორე მხრივ, მას ექნებოდა უფლება ედავა სასამართლოში შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილების თაობაზე, რაც ბუნებრივია ნონსენსი იქნებოდა, რადგან სამუშაოზე აღდგენის სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იქნებოდა, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, არსებითი პირობების ცვლილებაზე დავას აზრი დაეკარგებოდა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შრომითი ურთიერთობის დროს ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „სამუშაოდან გათავისუფლებისას დასაქმებულის დაცვის შესახებ“ კანონით (Kündigungsschutzgesetz), რომლის მე-2 მუხლის შესაბამისად, დასაქმებული უფლებამოსილია, 3 კვირის ვადაში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილების შესახებ.⁵¹ საგულისხმოა, რომ არსებითი პირობის ცვლილების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა არ აღემატება სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადას. ამავე კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილება ბათილად მიიჩნევა გამოცემის მომენტიდან.

შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილების გასაჩივრების ვადებთან დაკავშირებით, საინტერესო განმარტება გააკეთა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. საქმეში მოსარჩელის აპელირებით, მას 2013 წლის 1 აპრილს შეეცვალა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა და შეუმცირდა ხელფასი, ხოლო დამსაქმებლის აღნიშნული გადაწყვეტილება მან სასამართლოში გაასაჩივრა 2014 წლის თებერვალში. სასამართლომ, ხელშეკრულების არსებითი პირობის შეცვლიდან 11 თვის შემდეგ ხანდაზმულად მიიჩნია დამსაქმებლის იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნა, რომლითაც დასაქმებულს შეუმცირდა ხელფასი თუმცა, სასამართლომ არ მიუთითა რა ვადაში უნდა გაესაჩივრებინა დასაქმებულს შესაბამისი გადაწყვეტილება.⁵²

დასკვნა

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ შრომის კოდექსში შესული ცვლილებები, რომლებიც არეგულირებს სასამართლოსადმი მიმართვის ვადებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, დადებითად უნდა შეფასდეს. ვადების შემჭიდროება ხელს უწყობს სამოქალაქო ურთიერთობებში სახელშეკრულებო დისციპლინის სიმყარეს და ეხმარება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების აქტიურად და დროულად განხორციელებაში. ამასთან, უნდა ითქვას, რომ კოდექსით გათვალისწინებული რეგულირება საჭიროებს შემდგომ დახვეწას. დღეს არსებული რედაქციით, პრობლემურია სასარჩელო ხანდაზმულობის განსაზღვრის საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებული არ მიმართავს დამსაქმებელს 30 დღის ვადაში და არ მოსთხოვს გათავისუფლების საფუძვლების განმარტებას და თავის მხრივ, დამსაქმებელი საკუთარი ინიციატივით არ დაასაბუთებს გათავისუფლების საფუძვლებს. ასეთ შემთხვევებზე, უმჯობესია, ანალოგიის წესით გავრცელდეს სასამართლოსადმი მიმართვის 30-დღიანი ვადა.

სამწუხაროდ, არც ცვლილებებამდე და არც ცვლილებების შემდგომი რედაქციით, საქართველოს შრომის კოდექსით არ არის დარეგულირებული ცალკეული დისციპლინური სახდელის დაკისრების


და შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილებასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები. მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირების შინაარსიდან გამომდინარე, რთულია განსაზღვრო, რა ვადაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს დასაქმებულმა მსგავსი სასარჩელო მოთხოვნებით. საკანონმდებლო ხარვეზის პირობებში, სასამართლო პრაქტიკით უნდა მოხდეს ამ პრობლემის დარეგულირება. თუმცა, დღეის მდგომარეობით, სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლოა გამოყენებულ იქნას კანონის ანალოგიის წესი და დასაქმებულის უფლება, გაასაჩივროს არსებითი პირობის ცვლილებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილებები, შეიზღუდოს 30-დღიანი ვადით.

დღეს მოქმედი შრომის კოდექსი ინდივიდუალური და კოლექტიური დავის მიმართ უფრო ამომწურავი და მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული რეგულირებით გამოირჩევა. კანონმა საკმაოდ დეტალურად განსაზღვრა დავის დროს დადგენილი ვადები და ორივე მხარეს დავის დაწყებამდე დაავალა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობის მიღება. მიუხედავად საკანონმდებლო ბაზის არსებობისა, პრაქტიკაში შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობის შემთხვევები თითზე ჩამოსათვლელია. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სასამართლოების მხრიდან, შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევების მიმართ ღმობიერი დამოკიდებულებით (დასაქმებულის და დამსაქმებლის მიმართ), ასევე დავის ალტერნატიული ფორმებით გადაწყვეტის კულტურის ნაკლებობით. დავის დაწყებამდე შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობა და ასევე, მედიაციის ინსტიტუტის განვითარება შეამცირებს შრომითი დავების რაოდენობას და უზრუნველყოფს ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

შენიშვნები:

- ¹ დეტალურად იხ.: ზოიძე/ზარანდია, მოძღვრება ვადების (დროის) სამართლებრივი ბუნების შესახებ, სამართლის ჟურნალი, #4-5, 2003.
- ² ახვლედიანი ზ., სკ-ის კომენტარი, წიგნი 1, თბ., 1999, გვ. 306.
- ³ კვანტალიანი ნ., სკ-ის კომენტარი, წიგნი 1, თბ., 2017, გვ. 697.
- ⁴ ბურდული ი., გოცირიძე ე., და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, თბ., 2013, გვ. 362-363.
- ⁵ გიორგაძე ლ., საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი პრობლემები, თბ., 2013, გვ. 157.
- ⁶ ადგიშვილი ლ., კერესელიძე დ., საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი და კონტინენტური ევროპის ქვეყნების შრომის სამართლის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი, ქართული სამართლის მიმოხილვა, ნ. 1, 2003, გვ. 10.
- ⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინება, საქმე № ას-988-1021-2011.
- ⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის განჩინება, საქმე №2ბ/1152-15.
- ⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 აპრილის განჩინება, საქმე № ას-58-57-2014.
- ¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განჩინება, საქმე № ას-1241-1091-2010.
- ¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინება №ას-143-136-10.
- ¹² ჭანტურია ლ., ნინიძე თ., „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბ., 2002, გვ. 204.
- ¹³ კაპანაძე თ., დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაქმებულის მიერ ვალდებულების დარღვევის საფუძველით, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი №1(53)'17, თბ., 2017, გვ. 99.
- ¹⁴ ჩაჩავა ს., შრომის ხელშეკრულების ნებაზე დამოკიდებული და მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი შეწყვეტა – 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებით დამკვიდრებული ახალი კლასიფიკაცია, შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, გვ. 125-126.
- ¹⁵ საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 04.07.2013, სარეგისტრაციო კოდი: 270000000.04.001.016053.
- ¹⁶ ჩაჩავა ს., შრომის ხელშეკრულების ნებაზე დამოკიდებული და მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი შეწყვეტა – 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებით დამკვიდრებული ახალი კლასიფიკაცია, შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, 134.
- ¹⁷ ჩაჩავა ს. შრომის ხელშეკრულების ნებაზე დამოკიდებული და მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი შეწყვეტა – 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებით დამკვიდრებული ახალი კლასიფიკაცია, შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, 134-135.
- ¹⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/1106-15.
- ¹⁹ ჩაჩავა ს. შრომის ხელშეკრულების ნებაზე დამოკიდებული და მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი შეწყვეტა – 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებით დამკვიდრებული ახალი კლასიფიკაცია, შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, 135.
- ²⁰ Kündigungsschutzgesetz (KSchG), Art. 4, იხ.: <https://www.gesetze-im-internet.de/kschg/BJNR004990951.html>
- ²¹ Towergate London Market Ltd v Harrissa, იხ.: <http://www.bailii.org/ew/cases/EWCA/Civ/2008/433.html>
- ²² ფოთის საქალაქო სასამართლო საქმეზე #030210015001158662 არამართებულად მიიჩნია შრომით დავაში 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენება და გასაჩივრების მაქსიმალურ ვადად მიიჩნია 6 თვე.
- ²³ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1982 წლის კონვენცია (158) დამსაქმებლის ინიციატივით დასაქმების შეწყვეტის შესახებ. მიიღეს 1982 წლის 22 ივნისს, ძალაში შევიდა 1985 წლის 23 ნოემბერს. 1412 UNTS 159.
- ²⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის განჩინება, საქმე №2ბ/1152-15.

- ²⁵ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №2/ბ- 339-16.
- ²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-106-101-2014
- ²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/3/630
- ²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-921-871-2015; ასევე, საქმე №ას-483-457-2015.
- ²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-905-871-2016.
- ³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 მარტის განჩინება, საქმე, №ას-1298-1218-2015.
- ³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 მარტის განჩინება, საქმე №ას-1298-1218-2015.
- ³² ეს საკითხი განხილვის საგანი იყო უკვე სასამართლოში. იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №2/ბ 5312-17. სასამართლომ სარჩელი არ მიიჩნია ხანდაზმულად.
- ³³ სსკ-ს 140-ე მუხლი.
- ³⁴ Mariconda C., Commentary on the Labour Code of Georgia (editor: Andrea Boroni), Tbilisi, 2014, 564.
- ³⁵ ლიპარტელიანი რ., გაფიცვის უფლება: საქართველოს კანონმდებლობა და მისი მიმართება შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან. შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, 244.
- ³⁶ სანიკიძე მ., საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წლის 4 ივლისს განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა. შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, 24.
- ³⁷ ლიპარტელიანი რ., გაფიცვის უფლება: საქართველოს კანონმდებლობა და მისი მიმართება შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან. შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, 245.
- ³⁸ ლიპარტელიანი რ., გაფიცვის უფლება: საქართველოს კანონმდებლობა და მისი მიმართება შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან. შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, 246.
- ³⁹ ლიპარტელიანი რ., გაფიცვის უფლება: საქართველოს კანონმდებლობა და მისი მიმართება შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან. შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, 246.
- ⁴⁰ შრომის კოდექსის 48¹ მუხლის 1-ლი ნაწილი.
- ⁴¹ ლიპარტელიანი რ., გაფიცვის უფლება: საქართველოს კანონმდებლობა და მისი მიმართება შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან. შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, გვ. 247.
- ⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინება, საქმე №ას-506-484-2016
- ⁴³ სანიკიძე მ., საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წლის 4 ივლისს განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა. შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, 26.
- ⁴⁴ საჩალელი ს., გაფიცვის უფლება, შრომის სამართალი, III, თბილისი, 2014, გვ. 55.
- ⁴⁵ საჩალელი ს., გაფიცვის უფლება, შრომის სამართალი, III, 2014, გვ. 70.
- ⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინება, საქმე №ას-506-484-2016
- ⁴⁷ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ პუნქტი.
- ⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 3 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1236-1159-2015
- ⁴⁹ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე № 2/1536-16
- ⁵⁰ ხაჭომია თ., შრომის ხელშეკრულების ფორმა და არსებითი პირობები. შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2014, გვ. 41.
- ⁵¹ Kündigungsschutzgesetz (KSchG), Art. 2, იხ.: <https://www.gesetze-im-internet.de/kschg/BJNR004990951.html>
- ⁵² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/6941-14.



MATERIAL AND PROCEDURAL TERMS AGAINST DISPUTES FROM LABOR RELATIONSHIPS - ANALYSIS OF COURT PRACTICE

MATE KHVEDELIDZE

Doctor of Ivane Javakishvili Tbilisi State University

Right to work is a social right. Fulfilment of labor rights in terms prescribed by the law has significant importance considering social nature of the labor rights and increasing development of labor market. Protection of labor rights and formation of labor market is impossible without detailed definition of material and procedural terms for termination of labor agreement, charging with disciplinary penalty, right to appeal employer's decision on amendment of essential terms.

Terms of appealing employers' decision on termination of labor agreement were reduced due to the amendments implemented in 2013. Despite this, several events are left beyond regulation. Problematic issue with current edition is a definition of limitation of claim for the event when the employee does not address the employer during 30 days and does not require explanation on the grounds of termination and on its behalf, the employer does not prove grounds of termination with own initiative. Moreover, neither by the edition before amendments of 2013 and nor after that the labor code does not regulate

limitation terms for different disciplinary penalties and claims related to amendment of essential terms of the labor agreement. Likewise, important amendments were introduced in labor code in 2013 in regard of managing individual and collective disputes and disputes raised during strike, these issues are not discussed enough in legal literature

Existence of multiple legislative defaults in labor code endangers formation of predictable and long-term labor relations, violates balance between the employer and the employee. Considering this situation, development of correct practice is significantly important. This work is mostly based on court practice and discusses multiple issues in practice of common courts.

საქართველოს საოჯახო სამართლის ინსტიტუტების ზოგადი დახასიათება

ეკატერინე ნინუა

სამართლის დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

მეუღლეთა პირად საოჯახო არაქონებრივ და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით გაფორმებული ქორწინება (სს-ის 1106-ე მუხლი). რელიგიური ან ადათ-წესების დაცვით განხორციელებული ქორწინება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი თანაცხოვრება, ქორწინების გაუფორმებლად, რაოდენ ხანგრძლივი არ უნდა იყოს იგი, არ წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი შეიძლება იყვნენ საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილენი, რაც გამოიხატება, რომ მათ აქვთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ.

პირადი არაქონებრივი ურთიერთობები წარმოადგენენ ოჯახური ურთიერთობის მთავარ ელემენტს, ხოლო ქონებრივ ურთიერთობას დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს.

ოჯახში ცოლ-ქმარი მოწოდებულია აღზარდონ შვილები, პატივი სცენ და დაეხმარონ ერთმანეთს, გამოამჟღავნონ ზრუნვა ოჯახის

მოხუც და შრომისუუნარო წევრებზე. ცოლ-ქმრის ეს მოვალეობა განსაზღვრავს მათი პირადი არა-ქონებრივი ურთიერთობების შინაარსს.

მეუღლეების პირადი საოჯახო არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს თითქოს მათი კონსტიტუციური უფლებების გაგრძელებას, რომლის შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს დაქორწინებით. აქედან გამომდინარე, აკრძალულია ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის, როგორც ნებისმიერი სამოქალაქო სამართლის სუბიექტის მიმართ ამ უფლების დარღვევა.

პირადი საოჯახო არაქონებრივი ურთიერთობები განსხვავდებიან საოჯახო ქონებრივი ურთიერთობებისაგან გარკვეული თავისებურებებით. კერძოდ, აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობებს არ გააჩნია ქონებრივი, ღირებულებითი ბუნება. ისინი მიზნად ისახავენ მეუღლეების თანასწორობას, დამოუკიდებლობას და სხვა არამატერიალური სიკეთეების განხორციელებას საოჯახო ურთიერთობებში.

პირადი სამოქალაქო არაქონებრივი უფლებები (სსკ-ის 18-ე მუხლი), როგორც პირადი საოჯახო უფლებები – ხელშეუხებელია. აღნიშნული სახის ურთიერთობებში, ობიექტი არის ისეთი არამატერიალური სიკეთე, როგორიცაა ღირსება, პატივი, საქმიანი რეპუტაცია, ადამიანის სახელი, გვარის არჩევა და ა. შ. ყველა შემთხვევაში, ამ ურთიერთობის ობიექტად გვევლინება მონაწილეთა ქცევა მიმართული რაიმე სიკეთისადმი, რომელიც მათ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მათ ინტერესს შეადგენს. ამასთან, მიგვაჩნია, რომ საოჯახო სამართალში ოჯახის წევრთა პირადი არაქონებრივი უფლებები უფრო კონკრეტდება და მათი რაოდენობა შეზღუდულია, ვიდრე ზოგადად, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში (მაგალითად, მეუღლეთა პირადი არაქონებრივი უფლებებია: გვარის, პროფესიის, საცხოვრებელი ადგილის შერჩევა).

დაქორწინების დროს მეუღლეები სურვილისამებრ ირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს საერთო გვარად, ან თითოეული იტოვებს ქორწინებამდელ გვარს, ან თავის გვარს შეუერთებს მეუღლის გვარს. გვარების შეერთება არ შეიძლება, თუ ორივე მეუღლეს ან ერთ-ერთ მათგანს ორმაგი გვარი აქვს. ქორწინების დროს მეუღლეების მიერ შერჩეული გვარი ფიქსირდება სააქტო ჩანაწერსა და ქორწინების მოწმობაში. გვარის არჩევის უფლება მეუღლეებს ეძლევათ ქორწინების რეგისტრაციის მომენტამდე. გვარის შემდგომი შესწორება არ დაიშვება, რადგან გვარის არჩევის უფლება დასაქორწინებელ პირს ეძლევა მხოლოდ ერთხელ, ქორწინების რეგისტრაციის მომენტში. შემდგომში მეუღლის მიერ გვარის შეცვლა (თუნდაც ქორწინებამდელ გვარზე) დაიშვება მხოლოდ იმ საერთო საფუძვლით, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ერთ-ერთი მეუღლის მიერ გვარის შეცვლა არ იწვევს მეორე მეუღლის გვარის შეცვლას, ვინაიდან გვარის არჩევის უფლება მეუღლის პირადი უფლებაა და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მისი სურვილით.

ადამიანი პროფესიას ირჩევს მისი ინტერესებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სამუშაო პირს უნდა მისცეს შემოსავალი და მოუტანოს სულიერი და მორალური

კმაყოფილება. ამიტომ მეუღლეებს არა აქვთ არავითარი უფლება უკარნახონ ერთმანეთს თავიანთი ნება პროფესიისა და სამუშაოს არჩევისას. საქართველოს კონსტიტუციით 29-32-ე მუხლებით (1995 წლის 24 აგვისტო) განმტკიცებულია მოქალაქის მიერ ისეთი საქმიანობისა და პროფესიის არჩევის უფლება, რაც კანონით არ არის აკრძალული. აქედან გამომდინარე, მეუღლეებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება.

პირადი საოჯახო არაქონებრივი უფლებების მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ თითოეულ მეუღლეს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, რაც აგრეთვე, განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლითაც. კანონმდებლობით აკრძალულია, რომ მეუღლეების საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, ყველა ვითარებაში ერთად იცხოვრონ. ერთ-ერთი მეუღლის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ იწვევს ავტომატურად მეორე მეუღლის ვალდებულებას, ასევე შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი ე. ი. კანონით არ არის დადგენილი მეუღლეთა ერთად ცხოვრების ვალდებულება. მეუღლეთა აღნიშნული უფლებები მჭიდროდ არის დაკავშირებული თითოეული მათგანის პიროვნებასთან. ამიტომ არ შეიძლება მეუღლეები ვაიძულოთ იცხოვრონ ერთად, ვინაიდან მეუღლეების ცალ-ცალკე ცხოვრებას წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. მაგალითად, მეუღლეების ცალ-ცალკე ცხოვრებამ საოჯახო ურთიერთობების შეწყვეტის პირობით, შეიძლება გამოიწვიოს მათი ცალ-ცალკე ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების მიკუთვნება თითოეული მათგანისთვის ე. ი. გაყოფილად. მეუღლეების ცალ-ცალკე ცხოვრება ფაქტობრივი ქორწინების ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა.

მეუღლეთა პირადი საოჯახო არაქონებრივი უფლებები საოჯახო საკითხების გადაწყვეტისას, მოიცავს ოჯახური ცხოვრების ყველა მხარეს: შვილების აღზრდა, სასწავლებლის შერჩევა, საოჯახო ბიუჯეტის განკარგვა, დასვენების ადგილის არჩევა და სხვა.

ყველა საოჯახო საკითხს მეუღლეები თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე წყვეტენ ერთობლივად, რაც გულისხმობს ორივე მეუღლის ნების გათვალისწინებას ნებისმიერი საოჯახო საკითხის გადაწყვეტის დროს. მთავარი კი, ის არის, რომ ერთ-ერთმა მეუღლემ არ გადაწყვიტოს საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე პრობლემა მეორე მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ, რაც გამოიწვევს სამართლებრივ სფეროში მეუღლეების თანასწორობის პრინციპის დარღვევას.

ბავშვების აღზრდა მშობლების ერთობლივი უფლება-მოვალეობაა. ყველა სხვა პირი ვალდებულია თავი შეიკავოს ამ უფლების დარღვევისაგან, გარდა კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა. მშობლები ვალდებულნი არიან შვილები აღზარდონ ფიზიკურად, გონებრივად და მნიშვნელოვნად. ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ბავშვების აღზრდასთან უნდა გადაწყდეს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია ბავშვის აზრის გათვალისწინებაც. მიგვაჩნია, რომ მეუღლეთა მიერ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებების სწორად განხორციელების შემთხვევაში, ამავე დროს დაკისრებულ მოვალეობათა

შესრულება უდავოდ შეუწყობს ხელს ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდას და ოჯახური ურთიერთობების განმტკიცებას.

საოჯახო კანონმდებლობა პირადი საოჯახო არაქონებრივი უფლების გარდა, აგრეთვე განამტკიცებს მეუღლეების ვალდებულებას ოჯახში საოჯახო ურთიერთობები დაამყარონ ურთიერთპატივისცემის, ურთიერთდახმარების საფუძველზე, ხელი შეუწყონ ოჯახის კეთილდღეობას და განმტკიცებას, იზრუნონ ბავშვების განვითარებასა და კეთილდღეობაზე. აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს ბნეობრივ იმპერატივს და არა სამართლებრივ ნორმას. კანონმდებელი თითქოს მიუთითებს მეუღლეების საოჯახო ურთიერთობების აგების სასურველ მოდელზე, მაგრამ არ ითვალისწინებს რაიმე „სანქციას“ მათი შეუსრულებლობისათვის. თუმცა, პირადი უფლებების ბოროტად გამოყენება, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ოჯახის ინტერესების უპატივცემულობა ან უგულვებელყოფა, მეორე მეუღლისათვის პირადი უფლებების განხორციელებაში ხელის შეშლა შეიძლება გახდეს ქორწინების შეწყვეტის ან მეუღლეთა ქონების გაყოფისას, ასეთი მეუღლის წილის შემცირების საფუძველი.

საოჯახო არაქონებრივი უფლებების შინაარსი, საოჯახო ურთიერთობების მონაწილეების მიხედვით, სხვადასხვაგვარია. მეუღლეების პირადი არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები განსხვავდებიან იმ უფლებებისა და მოვალეობებისაგან, რომელიც წარმოიშობა მშობლებსა და შვილებს შორის, დებსა და ძმებს შორის, სხვა ნათესავებს შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა შორის არა მარტო პირად, არამედ ქონებრივ ურთიერთობებსაც, რომლებიც პირადი ურთიერთობებისაგან განსხვავებით, საკმაოდ დეტალურად არის მოწესრიგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. ქონებრივი ურთიერთობები – ეს არის საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ურთიერთობა მესაკუთრეებს შორის. ქონებრივი ურთიერთობები ნებელობითი ხასიათისაა და დაკავშირებულია საოჯახო სამართალში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგებასთან, ისევე როგორც პირადი ურთიერთობების მოწესრიგება, მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობაზე და ურთიერთმხარდაჭერაზე აგებული. ქონებრივ ურთიერთობას ოჯახში დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რამდენადაც ოჯახს აქვს მნიშვნელოვანი ფუნქციები, იმდენად მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობების საკითხი საკანონმდებლო რეგლამენტაციის მეტად აქტუალური საკითხია.

მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობები უმთავრესად დაკავშირებულია დაქორწინების შემდეგ შექმნილი ქონების სამართლებრივ მოწესრიგებასთან, მაგრამ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სფერო ამით არ ამოიწურება.

საოჯახო ქონებრივი ურთიერთობები ზოგადად, სამოქალაქო ქონებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავდებიან გარკვეული თავისებურებებით, კერძოდ მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერ-

თობები წარმოიშობიან ქონებიდან, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე და შექმნილია ქორწინების განმავლობაში, აგრეთვე ერთი მეუღლის მიერ მეორისათვის ალიმენტის გადახდით და სხვა.

საოჯახო ქონებრივი ურთიერთობების შინაარსი შედგება მეუღლეების ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ აგრეთვე, საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობების მთავარ შინაარსს. საოჯახო ქონებრივი უფლებები საოჯახო კანონით იყოფა სანივთო და ვალდებულებით უფლებებზე.

მეუღლეებს შეუძლიათ ჰქონდეთ სამოქალაქო კოდექსით აღიარებული ნებისმიერი სანივთო უფლებები ერთმანეთის მიმართ. ამასთან, საოჯახო კანონმდებლობით მთლიანად არის მოწესრიგებული ისეთი სანივთო უფლება, როგორცაა მეუღლეების საერთო თანასაკუთრების უფლება, რომელიც წარმოადგენს მეუღლეების ქონების მიმართ კანონიერი რეჟიმის წარმოშობის საფუძველს.

საერთო თანასაკუთრებასთან ერთად, მეუღლეებს უფლება აქვთ იქონიონ აგრეთვე, ინდივიდუალური საკუთრება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეებს შეუძლიათ ჰქონდეთ საკმაოდ მრავალგვარი სანივთო უფლებები, განსაკუთრებულად შეძლებულ წყვილებს.

მეუღლეებს, როგორც სამოქალაქო სამართლის ნებისმიერ სუბიექტს შეუძლიათ დადონ ურთიერთშორის კანონით ნებადართული ყველა სახის ქონებრივი გარიგება.

სამოქალაქო კოდექსის ნორმებმა, რომლებიც არეგულირებენ მეუღლეთა საოჯახო ქონებრივ ურთიერთობებს, განიცადეს არსებითი ცვლილება ადრე მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით. კერძოდ, მოქმედი სამოქალაქო კოდექსი მეუღლეებს უფლებას აძლევს თავად განსაზღვრონ თავიანთი ქონებრივი ურთიერთობების შინაარსი საქორწინო ხელშეკრულების დადებით (მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები) ან ერთ-ერთი მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის შესახებ შეთანხმების გზით. საქორწინო ხელშეკრულების ან ალიმენტის გადახდის შესახებ შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებზე გავრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი იმპერატიული ნორმები მეუღლეთა ქონების მდგომარეობის შესახებ ან შესაბამისი ნორმები მეუღლეთა საალიმენტო მოვალეობების შესახებ.

მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს იმ ქონების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც შეიძლება იყოს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში ან ინდივიდუალურ (განცალკევებულ) საკუთრებაში. ამიტომ, მეუღლეთა საოჯახო-ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების კვლევისას, აუცილებელია იმ საერთო კრიტერიუმების გამოვლინება, რომლის საფუძველზედაც შეიძლება გადაწყდეს საკითხი, თუ რომელი ქონება უნდა მიეკუთვნოს მეუღლეთა ინდივიდუალურ (განცალკევებულ) საკუთრებას და რომელი

მათ საერთო თანასაკუთრებას. ვფიქრობთ, ამისთვის უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია დავადგინოთ მეუღლეთა მფლობელობაში მყოფი ქონების მიზნობრივი დანიშნულება, შეძენის გზები და ხასიათი.

მოქმედი კანონმდებლობით არ არის განასაზღვრული, თუ როგორია მეუღლეთა მიერ საჩუქრად მიღებული ქონების სამართლებრივი მდგომარეობა, მაგრამ სასამართლოებმა მოცემული კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას, შეიმუშავეს ერთიანი პოზიცია, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ქონება საჩუქრად ეძლევა ერთ-ერთ მეუღლეს, იგი ითვლება ამ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად.

დავის შემთხვევაში, სასამართლოები ხელმძღვანელობენ პრეზუმციით (ვარაუდით), რომ ოჯახის საერთო სარგებლობისათვის და არა მარტო ერთ-ერთი მეუღლის პირადი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი ნივთები, თუ საწინააღმდეგო არ არის დამტკიცებული, ორივე მეუღლისათვის ნაჩუქარ ქონებად უნდა ჩაითვალოს და მათზე გავრცელდეს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი.

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ცნების ქვეშ იგულისხმება ქორწინების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), რომელიც შეძენილია ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით. ამასთან, მეუღლეთა ერთობლივი შრომა მოცემულ შემთხვევაში, ნიშნავს ოჯახის საკეთილდღეოდ გაწეულ ყოველგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო და აუცილებელ შრომას, რასაც მეუღლეები ასრულებენ როგორც ოჯახში, ისე ოჯახის გარეთ.

იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს, თუ რა მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ხელფასი და სხვა ფულადი შემოსავალი მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად. ზოგიერთი ავტორის აზრით, ხელფასი და სხვა ფულადი შემოსავალი მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მეუღლეს გაუჩნდა უფლება მასზე. ეს მოსაზრება ჩვენი აზრით, მოკლებულია რეალობას. გასამრჯელოზე წარმოშობილი უფლება ვალდებულებითი ხასიათის პირადი უფლებაა, რომლის რეალიზაციაც შეუძლია მხოლოდ იმ მეუღლეს, რომლის შრომითაც არის მოპოვებული იგი. ვიდრე ერთ-ერთი მეუღლე ხელფასს არ მიიღებს, მეორე მეუღლეს არა აქვს მასზე უფლება.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, ხელფასი და სხვა ფულადი შრომითი შემოსავალი საერთო თანასაკუთრებად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მეუღლეები მათ კუთვნილ შემოსავალს საერთო საოჯახო ბიუჯეტში შეიტანენ.

მიგვაჩნია, რომ მოცემული თვალსაზრისი არ შეესაბამება საოჯახო კანონმდებლობის კონსტიტუციურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო თანასაკუთრებას. მეუღლეებს შორის ქონების საერთო თანასაკუთრება ქორწინების კანონიერი შედეგია და იგი დამოკიდებული არ არის მათ სურვილზე – შეიტანონ თუ არა მიღებული ხელფასი საერთო-საოჯახო ბიუჯეტში.

ასევე, მცდარად მიგვაჩნია იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება, რომ მეუღლეს უფლება აქვს დახარჯოს ხელფასი (და სხვა შრომითი შემოსავალი) მიმდინარე საჭიროებისათვის და მხოლოდ დაზოგვით ნაწილი გადასცეს საერთო თანასაკუთრებაში.

თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვას, სარგებლობასა და ფლობას მეუღლეები ახორციელებენ ურთიერთშეთანხმებით. არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება განკარგოს იგი მეორე მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ. მეუღლე, რომელიც ახორციელებს მესაკუთრის უფლებამოსილებას საერთო თანასაკუთრების ფარგლებში, იგულისხმება, რომ მოქმედებს მეორე მეუღლის თანხმობით. ამიტომ, მესამე პირს გარიგების დადებისას არ სჭირდება მიიღოს მეუღლის თანხმობა საერთო ქონების განკარგვაზე. ასეთი თანხმობა გამომდინარეობს მეუღლეთა ურთიერთობებიდან, რაც მეუღლეთა ურთიერთნდობას, მათი პირადი და ქონებრივი ინტერესების ერთიანობას ეფუძნება. აღნიშნული საკითხის სხვანაირად გადაწყვეტა გამოიწვევდა სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვან შეფერხებას. ერთ-ერთი მეუღლის მიერ საერთო ქონების განკარგვაზე გარიგების დადების შემთხვევაში, მეორე მეუღლის თანხმობის არსებობის ვარაუდი პრაქტიკაში შეიძლება არ შეესაბამებოდეს გარემოებათა ნამდვილ ვითარებას. ასეთ შემთხვევაში, მეუღლე, რომლის თანხმობის გარეშეც მოხდა გარიგების დადება, ვერ მოითხოვს გარიგების ბათილად ცნობას იმ საფუძველზე, რომ: ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ) ის არ ეთანხმება გარიგებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ მეუღლეს, რომლის ინტერესებიც იქნა დარღვეული საერთო ქონების განკარგვით, უფლებამოსილია დარღვეულ უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი (სსკ-ის 1160-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1167-ე მუხლის მიხედვით, თუ საერთო ქონების გაყოფა ხდება ქორწინების განმავლობაში, მაშინ ქონების ის ნაწილი, რომელიც არ გაყოფილა და აგრეთვე ქონება, რომელსაც ისინი შეიძენენ მომავალში, ჩათვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული მუხლი მიუთითებს იმაზე, რომ დავა შეიძლება არსებობდეს არა მთელ საერთო ქონებაზე, რომელიც შეძენილია ქორწინების განმავლობაში, არამედ მხოლოდ მის ნაწილზე, როდესაც გაიყოფა მეუღლეებს შორის დავის მომენტისათვის არსებული საერთო ქონება.

თუ მეუღლეები ვერ შეთანხმდებიან საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე, მაშინ დავას მათ შორის, მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის განცხადების საფუძველზე, გადაწყვეტს სასამართლო. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტანთ სასამართლო პრეცედენტს, 2013 წლის 5 სექტემბერს მხარეთა შორის შედგა შეთანხმება ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფის შესახებ. შეთანხმების თანახმად, მოპასუხეს მოსარჩელესათვის უნდა გადაეხადა 40 000 აშშ დოლარი. მოპასუხემ გადაიხადა 30 000 აშშ დოლარი, ხოლო 10 000 აშშ დოლარი გადახდილი უნდა ყოფილიყო შეთანხმების ხელმოწერიდან 6 თვის განმავლობაში – 2014 წლის 5 მარტამდე, რომელიც მას არ გადაუხდია. შესაბამისად, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეს დაკისრებოდა აღნიშნული თანხის გადახდა, რაზედაც

უარს აცხადებდა იმ მოტივით, რომ იგი ითხოვდა თავდაპირველი მოსარჩელისგან 17 500 აშშ დოლარის დაკისრებას (იხ.: დაზუსტებული მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 09.07.2015 სხდომის ოქმი). საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სასამართლომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა 10 000 აშშ დოლარის გადახდა.

იმ შემთხვევაში, თუ გაყოფა ეხება მესამე პირის უფლებებს (მაგალითად, საკრედიტო ურთიერთობებიდან გამომდინარე), მაშინ დავა ქონების გაყოფის შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს განქორწინების საქმის განხილვასთან ერთად. სარჩელის განუხილველად დატოვება იმ ანაბრის გაყოფის თაობაზე, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის სახელზე ირიცხება, იმ მოტივით, რომ ანაბარზე პრეტენზიას აცხადებს მესამე პირი, არ იქნებოდა კანონის შესაბამისი. იგივე შეიძლება ითქვას მეუღლეების საერთო ქონებიდან არასრულწლოვანი შვილების სახელზე შეტანილ ანაბარზე, რომელიც მიეკუთვნება ამ შვილებს და არ შეიძლება იქნას გათვალისწინებული საერთო ქონების გაყოფისას. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს თუ რომელმა მეუღლემ შეიტანა ანაბარი ბანკში, მთავარი ის არის, რომ იგი შეტანილია საერთო შვილების სახელზე, რომლის მოთხოვნის უფლებაც ბანკის მიმართ აქვთ მხოლოდ მათ.

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრება წყდება ქონების გაყოფით. თითოეული ხდება ქონების იმ ნაწილის მესაკუთრე, რომელიც მის გაყოფამდე მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში იმყოფებოდა.

საერთო საკუთრებაში წილის განსაზღვრის მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მეუღლეს, მათ შორის იმასაც, რომლის სახელზეც არ არის რეგისტრირებული ეს ქონება.

ამდენად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში ზოგადად არის განხილული მეუღლეთა შორის ქორწინების საფუძველზე წარმოშობილი საქართველოს საოჯახო სამართლის ინსტიტუტების – არაქონებრივი და ქონებრივი ურთიერთობების შინაარსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957, გვ. 215.
2. А. П. Сергеев, Ю. К. Толстой, Гражданское право, Т. 3, М., 2006.
3. В. А. Рясенцев, Семейное право, М., 1975.
4. შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2000.
5. Е. М. Ворожейкин, Правовые основы брака и семьи, М., 1969.
6. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2017.
7. შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2000.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება #ას-755-723-2016, 23 დეკემბერი, 2016.



GENERAL DESCRIPTION OF FAMILY LAW INSTITUTIONS OF GEORGIA

EKATERINE NINUA

Doctor of Law,

Associate Professor of Akaki Tsereteli State University

The paper describes the general characters of Georgian family law institutions. Spouses are incapable of producing non-material and property rights and obligations only based on the marriage registered in the manner prescribed by the law. Issues related to the choice of the place of residence, choice of surname, joint arrangement and care of children are determined by personal non property rights. Besides, the present work determines the property relations between the spouses, which can be determined by the law or wedding contract. It concerns the legal regime of individual and common property of spouses. The author's opinions and court practice regarding the subject of the study are suggested.

უკუმიტიების პრინციპი უცხოურ სასამართლო სისტემაში

თამარ მსხვილიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

„უკუმიტიება არის საკითხი, რომელიც უყვარს მეცნიერებს, სძულს სტუდენტებს და იგნორირებულია (როდესაც ამჩნევენ) პრაქტიკოსი იურისტების, მათ შორის, მოსამართლეთა მიერ“.¹

შესავალი

საერთაშორისო კერძო სამართლის შინაარსი დაიყვანება კოლიზიური პრობლემის გამოვლენასა და სამართლის სისტემათა შორის კონკურენციის თავიდან აცილებაში. კოლიზიური ნორმის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ არ იმეორებს სამართლის სხვა დარგების ნორმათა სტრუქტურას და უშუალოდ არ წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას, რადგან მას მხოლოდ მითითებითი ხასიათი აქვს. ანუ ჯერ დგინდება კოლიზიური ნორმის გამოყენების საკითხი, შემდგომ ირკვევა რომელი სამართლებრივი სისტემის გამოყენებისაკენ უთითებს ის. სწორედ ამ ეტაპზე აქტიურდება უკუმიტიების პრობლემა.

კოლიზიური ნორმა კონკრეტული სამართალურთიერთობის დასარეგულირებლად უთითებს რომელიმე ქვეყნის სამართალს. კოლიზიური კანონი, როდესაც მიაწინებს უცხოური სამართლის

გამოყენების შესახებ, ის კი, უკანვე მიუთითებს თავდაპირველ სამართალს, ამას დოქტრინა უწოდებს პირველი რანგის ანუ ერთჯერად renvoi-ს (რემისია), ხოლო როცა მითითება კეთდება მესამე ქვეყნის სამართალზე, ესაა შემდგომი მითითება – მეორე რანგის ანუ კომპლექსური renvoi (ტრანსმისია).²

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, როცა სასამართლო აღმოაჩენს, რომ თავისივე კოლიზიური ნორმის მიერ მითითებული სამართალი საკითხს უკან გადმოამისამართებს, ასეთ შემთხვევაში, რა უნდა გააკეთოს მან? ამ კითხვას სამი სავარაუდო პასუხი აქვს. პირველი, სასამართლოს შეუძლია უცხო საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების არჩევანის იგნორირება და მხოლოდ უცხოური მატერიალური სამართლის გამოყენება. რაც ჩვეულებრივ ცნობილია, როგორც „renvoi-ს უარყოფა.“ თუმცა, ეს მარტივი გადაწყვეტა ნიშნავს, რომ სასამართლო მიმართავს უცხოურ მატერიალურ სამართალს, მაშინ როდესაც თავად ის, სხვა იურისდიქციის სასამართლო არ იყენებს მას, რადგან მისი კოლიზიური ნორმა გამოსაყენებლად უთითებს სხვა ქვეყნის სამართალს. მეორე, სასამართლოს შეუძლია აღიაროს უცხოური კოლიზიური სამართლის ნორმების არჩევანი, შედეგად მიიღოს უკუმითითება და გამოიყენოს თავისი მატერიალური სამართალი. ამას როგორც წესი, უწოდებენ „ერთჯერად renvoi-ს.“ და მესამე, როცა საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები მიემართებიან მთლიანი უცხოური სამართლისაკენ (მატერიალური და კოლიზიური კანონმდებლობა), ეს სამართალი კი უკან აბრუნებს მითითებას თავდაპირველი ქვეყნის არა მხოლოდ მატერიალური, არამედ კოლიზიური სამართლის ნორმებისაკენ. მას მოიხსენიებენ, როგორც „ტოტალური renvoi.“ ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მითითებების უსასრულო ციკლს ან მუდმივ რეგრესიას ისე, რომ მოხდეს ყოველი იურიდიული სისტემის სამართლის მიერ მეორისაკენ მინიშნება.³ სწორედ ამიტომ, საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინით გადაწყდა, რომ თავდაპირველი ქვეყნის სამართალზე უკუმითითების შემთხვევაში, აღარ უნდა მოხდეს მოცემული ქვეყნის კოლიზიური სამართლის გამოყენება და მხოლოდ მატერიალური ნორმების მეშვეობით გადაიტარას საკითხი. მარტივად რომ ვთქვათ, უკან მითითება ერთგვარად შემოიფარგლა მხოლოდ მატერიალური სამართლით და გამორიცხა შემდგომი მითითებების არსებობა.

უკუმითითების წარმოშობა და განვითარება სასამართლო პრაქტიკაში

უკუმითითების პრინციპის კანონმდებლობაში დანერგვამ საერთაშორისო კერძო სამართლის ევროპულ დოქტრინაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მე-20 საუკუნის დასაწყისში, მოქმედი კანონმდებლობა უკუმითითების წინააღმდეგ გამოდიოდა. კოლიზიონისტთა შორის გავრცელებული შეხედულებით, მის შემოღებას ისეთივე მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც სახელმწიფოს მხრიდან სასამართლოს უზენაესობის უარყოფას უცხოური კანონმდებლობის სასარგებლოდ. მათი აზრით, შესაძლოა ეარსება საფრთხეს, რომ ნებისმიერი კოლიზიურსამართლებრივი მითითება დაუსრულებლად გავრცელებულიყო დროში და საბოლოოდ გადაწყვეტა ვერ მომხდარიყო. შესაბამისად, შეიქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, რასაც კანონი სარკეთა თამაშს ან ჩოგბურთის საერთაშორისო პარტიას უწოდებს.⁴

ვითარება რთულდება მაშინ, როცა სახელმწიფო, რომელიც პერსონალურ სტატუსში ითვალისწინებს მოქალაქეობის კრიტერიუმს, მითითებას აკეთებს საცხოვრებელი ადგილის კანონზე და ეს ქვეყანა, რომელიც აღიარებს საცხოვრებლის კრიტერიუმს, უკანვე მიუთითებს მოქალაქეობის ქვეყნის კანონს. ამ კუთხით, საინტერესო მაგალითია იტალიაში მცხოვრები ინგლისელის მემკვიდრეობის საქმე: აქ, იტალიელი მოსამართლე მითითებაზე დაყრდნობით პრობლემის ინგლისურ გამოსავალს იპოვის, ხოლო ინგლისური სამართლის ნორმა, რომელიც აღიარებს მოქალაქეობის კრიტერიუმს, თავის მხრივ, უკან აბრუნებს მითითებას იტალიურ, როგორც გამოსაყენებელ საცხოვრებელ კანონზე. თუ უკუმიუთითებს ინგლისური კანონი მიიღებს, ინგლისელი მოსამართლე იმავე საქმეზე პრობლემის იტალიურ გადაწყვეტას მოძებნის. ასეთ შემთხვევაში, როგორც წარმოდგენილი მაგალითიდან ჩანს, უკუმიუთითება არანაირ კოორდინაციას არ ახდენს სისტემებს შორის, იგი პრობლემის გადაჭრის უბრალო გაცვლა იმ წუთიდან, როცა თითოეული მოსამართლე საკუთარი კოლიზიური კანონით მითითებულ უცხოურ ნორმას იყენებს.⁵

კონტინენტური ევროპისაგან განსხვავებით, ინგლისელმა მოსამართლეებმა თავიდანვე გამოხატეს კეთილგანწყობა უკუმიუთითების ნორმის მიმართ და იგი მისაღებად მიიჩნიეს მთელი თავისი სპეციფიკით. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ცნობილი საქმე – *Collier v. Rivaz*,⁶ რომელზეც ინგლისის კენტერბერის სასამართლომ, 1841 წლის 3 აგვისტოს გამოიტანა გადაწყვეტილება. საქმე ეხებოდა ანდერძში რამდენიმე დანამატის ნამდვილობას, რომელიც შედგენილი იყო ბელგიაში მცხოვრები ინგლისის ქვეშევრდომის მიერ და ფორმით პასუხობდა ინგლისური მატერიალური სამართლის და არა ბელგიური კანონის მოთხოვნებს. კენტერბერის სასამართლომ მოსამართლემ, ჰერბერტ ჯენერმა აღნიშნა, რომ ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ინგლისელ მოსამართლეებს ისე უნდა გამოეთანათ გადაწყვეტილება, თითქოსდა ბელგიაში იმყოფებოდნენ. ინგლისური კოლიზიური სამართალი ანდერძის ფორმის ნამდვილობას უკავშირებდა მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანას ე. ი. ბელგიურ სამართალს. ხოლო ბელგიური კოლიზიური ნორმა აღნიშნულ ურთიერთობას უქვემდებარებდა მამკვიდრებლის პირად კანონს, ანუ ამ შემთხვევაში ინგლისურ სამართალს. რადგან სასამართლო პროცესზე ექსპერტთა ჩვენებიდან გაირკვა, რომ ბელგიელმა მოსამართლეებმა მითითება გააკეთეს ინგლისურ სამართალზე. ამ უკანასკნელმა აღიარა ბელგიური სამართლის უკუმიუთითება და ანდერძის დანამატი კანონიერად გამოცხადდა, ვინაიდან ის ინგლისური სამართლის ფორმის დაცვით იყო შედგენილი. მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლეებმა ინგლისური მატერიალური სამართლის გამოყენებით პრაქტიკულად გზა გაუხსნეს ნამდვილ უკუმიუთითებას. სასამართლომ გამოიყენა ტაქტიკა, რომლის თანახმადაც, მათ უნდა მიეღოთ იმ სამართლის მიერ განხორციელებული უკუმიუთითება, რომლის გამოყენებასაც უთითებდა ინგლისის კოლიზიური კანონი. აღნიშნული საქმის შემდეგ, მსგავსი უკუმიუთითებების აღიარება ტრადიციად იქცა ინგლისური სასამართლო პრაქტიკისათვის.⁷

renvoi დოქტრინა გამოყენებული იქნა 1903 წელს, საქმეში *Re Johnson*,⁸ სადაც ანდერძის უქონლობამ გამოიწვია მოანდერძის წარმოშობის ადგილის სამართლის გამოყენება. მერი ჯონსონს, მალტაში დაბადებულ ბრიტანეთის ქვეშევრდომს (მალტა 1814 წლიდან ბრიტანეთის კოლონია იყო) საცხოვ-

რეგული ადგილი ჰქონდა ბადენში, გერმანიაში. გარდაცვალების შემდეგ, მას დარჩა მოძრავი ქონება ინგლისსა და ბადენში. მთავარი კითხვა იყო, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო მოძრავი ქონება – მოქალაქეობის სამართლის თუ ბადენის კანონის მიხედვით? სასამართლო პროცესზე ექსპერტთა ჩვენებით დადგინდა, რომ ბადენის კანონმდებლობა სამკვიდრო ქონების დასარეგულირებლად იმ სამართალს მიუთითებდა, რომელსაც სამკვიდრებელი გარდაცვალების დროს განეკუთვნებოდა, ანუ ამ შემთხვევაში – ინგლისურს. მოსამართლე ფარველმა გადაწყვიტა, რადგან მონადერძე ბადენის სამართლის მიხედვით დომიცილირებული არ იყო ბადენში, მის საცხოვრებელ ადგილად კვლავ მალტა რჩებოდა. ამდენად, პირის ინგლისში არსებული მოძრავი ქონების განკარგვა მისი წარმოშობის ადგილის სამართალს დაექვემდებარა (*lex successionis*).

1926 წელს, საქმეში – *Re annesley*,⁹ წარმოშობით ინგლისელი ქალბატონი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც გარდაცვალებამდე ოთხი წლით ადრე შეადგინა ანდერძი ინგლისური კანონის ფორმის დაცვით. მოძრავი მემკვიდრეობის შესახებ განკარგვა ინგლისური სამართლის თანახმად, კანონიერი იყო, ფრანგული სამართლის მიხედვით კი, ბათილი, რადგან მას არ დაუტოვებია სავალდებულო წილი – ორი მესამედი შვილებისათვის. ანდერძში მიეთითა, რომ მამკვიდრებელს არ უთქვამს უარი თავისი წარმოშობის საცხოვრებელ ადგილზე. მოძრავი ქონების გარკვეული ნაწილი ინგლისში იმყოფებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ქალბატონი გარდაიცვალა საფრანგეთში დომიცილირებული (თუმცა, ფრანგული სამართალი მას კვლავ ინგლისის მცხოვრებად მიიჩნევდა). ფრანგული კოლიზიური ნორმა იმ უცხოელთა საქმეებში, რომელთაც კანონიერი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდათ საფრანგეთში, გამოსაყენებლად მოქალაქეობის ქვეყნის, ანუ ამ შემთხვევაში, ინგლისურ სამართალს მიუთითებდა. ინგლისური კოლიზიური სამართალი კი, უკან უბრუნებდა მითითებას ფრანგულ, როგორც საცხოვრებელი ადგილის სამართალს. ბუნებრივია, წარმოიშვა კითხვა აღიარებდა ფრანგული სამართალი უკუმიითითებას და გამოიყენებდა საფრანგეთის ეროვნულ სამართალს? ექსპერტთა წინააღმდეგობრივი ჩვენებების მიუხედავად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსამართლე რასელმა გადაწყვიტა, რომ ფრანგული სასამართლო უკუმიითითებას მიიღებდა.

1930 წელს, საქმეში – *Re Ross*,¹⁰ ინგლისელი ქალბატონი იტალიაში გარდაიცვალა და ანდერძში არ მოიხსენია ერთადერთი ვაჟი. მას დარჩა მოძრავი ქონება ინგლისში. შვილის განცხადებით, ანდერძის არსებობის მიუხედავად, იტალიური სამართალი მას უფლებას აძლევდა სავალდებულო წილზე – იტალიაში არსებული უძრავი ქონების ნახევარსა და ნებისმიერ ადგილას მყოფ მოძრავ ქონებაზე. ინგლისის კოლიზიურმა ნორმამ მიუთითა იტალიური სამართლის გამოყენება (*lex domicilii* მოძრავი, ხოლო *lex situs* უძრავი ქონებისათვის). იტალიის სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება მამკვიდრებლის მოქალაქეობის სამართლის მიხედვით ე. ი. მან უკუმიითითა ინგლისის მატერიალურ სამართალზე. სასამართლომ მიიღო უკუმიითითება, გამოიყენა ინგლისური მატერიალური სამართალი და სარჩელი არ დააკმაყოფილა.

უკუმითითების დაშვების თაობაზე მოსაზრებები საფრანგეთში წარმოიშვა ფორგოს ცნობილი საქმის ირგვლივ.¹¹ ბავარიის მოქალაქე ფორგო საფრანგეთში, ქ. პაუში, 5 წლის ასაკიდან ცხოვრობდა, ნმ წლის ასაკში ისე გარდაიცვალა, რომ კანონიერი საცხოვრებლის უფლება არასოდეს მიუღია. მას ანდერძი არ დაუტოვებია, 1869 წელს გაიხსნა მისი სამკვიდრო და სოლიდურ მოძრავ ქონებაზე პრეტენზია განაცხადეს დედის მხრიდან ნათესავებმა, რადგან ბავარიული სამემკვიდრეო სამართალი სწორედ ამას ითვალისწინებდა. თუმცა, ფრანგული სამართალი ასეთ ნათესავებს კანონით მემკვიდრეებად არ მიიჩნევდა. 1878 წელს, ძალაში შევიდა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა კანონიერი საცხოვრებელი ადგილის ცნებას და ითვალისწინებდა სახელმწიფოს მხრიდან მის დამოწმებას. ამგვარი სახელმწიფო მოწმობა მამკვიდრებელს არ გააჩნდა. შესაბამისად, მისი კანონიერი საცხოვრებელი ადგილი ისევ ბავარიაში რჩებოდა. ამდენად, ფრანგული საერთაშორისო კერძო სამართალი მიუთითებდა ბავარიული სამართლის გამოყენებას, რომელიც ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა კანონიერი და ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ცნებებს. ამიტომ ის, თავის მხრივ, კვლავ ფრანგული ნორმის გამოყენებას უკუმიუთითებდა. ფრანგულმა საკასაციო სასამართლომ მიიღო ბავარიული კანონის კოლიზიური ნორმის მითითება და გამოიყენა ფრანგული მატერიალური სამართალი.

საქმე – Birchall¹² ეხებოდა ინგლისელი წყვილის განქორწინების საკითხს. ფრანგული სამართლის თანახმად, მათ საცხოვრებელი ადგილი ჰქონდათ საფრანგეთში. ქვემდგომმა ინსტანციამ გამოიყენა დომიცილის ფრანგული ინტერპრეტაცია, რომელიც წარმოადგენდა გამონაკლისს ფორგოს საქმით დამკვიდრებული წესისაგან, სადაც პირველად, მხედველობაში მიიღეს დომიცილი უცხოური გაგებით. 1951 წელს, პარიზის სააპელაციო სასამართლომ განაცხადა: „უკუმითითების მიღება გამართლებულია, როცა მითითება კეთდება საფრანგეთის, როგორც საცხოვრებელი ადგილის სამართალზე, რადგან აქ ცხოვრებით მხარეები ინტეგრირდნენ ფრანგულ სოციალურ და სამართლებრივ სივრცეში.“ საკასაციო სასამართლომ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ქვემდგომმა ინსტანციებმა აღიარეს უკუმითითების სავალდებულო ხასიათი, რაც იმით გამოიხატა, რომ უცხოელთა ეროვნული სამართლის კოლიზიური ნორმები ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოს, ანუ საფრანგეთის მემკვიდრეობით სამართალს მიუთითებდა. ამდენად, სასამართლომ უკუმითითების საფუძველზე გამოიყენა ფრანგული მატერიალური სამართალი. ამან გზა გაუხსნა renvoi-ს ფართოდ გამოყენებას.

ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულმა ერთ-ერთმა ყველაზე რეზონანსულმა საქმემ – Neilson,¹³ მსოფლიოს საერთაშორისო კერძო სამართლის იურისტების უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

ბარბარა ნეილსონი ბინაში ყოფნისას კიბეებიდან ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა. ეს მოხდა ვუჰანში, ჩინეთში, სადაც მისი მეუღლე, ჯორჯ ნეილსონი დასაქმებული იყო მოპასუხის – Overseas Projects Corporation of Victoria Ltd (OPC)-ის მიერ, რათა მოემზადებინა კურსი ორგანიზაციულ ქცევაზე ვუჰანის რკინისა და ფოლადის უნივერსიტეტში. გაფორმებული შრომითი კონტრაქტის მიხედვით, OPC-ს უნდა

უზრუნველყო საცხოვრებელი ჯორჯისა და მისი ოჯახისათვის. მოსარჩელები იყვნენ ავსტრალიის მოქალაქეები, მუდმივად მცხოვრებნი დასავლეთ ავსტრალიაში. შესაბამისად, ავტრალიაში დაბრუნებისას, მათ აღძრეს სარჩელი OPC-ის წინააღმდეგ, ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და დელიქტის ფაქტზე. თავის მხრივ, OPC-მა აღძრა სარჩელი თავისი საჯარო პასუხისმგებლობის სადაზღვევო კომპანიის (MMI) და სადაზღვევო ბროკერის წინააღმდეგ, რომელმაც შეადგინა დაზღვევის ხელშეკრულება. პირველმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა ბარბარა ნეილსონის სარჩელი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტზე, რადგან მიიჩნია რომ OPC-ს არ გააჩნდა აშკარა ან ნაგულისხმევი სახელშეკრულებო ვალდებულება, უზრუნველყო ნეილსონის ოჯახი საცხოვრებლით. შესაბამისად, განსახილველი დარჩა მხოლოდ დელიქტის საფუძველზე არსებული სარჩელი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბარბარა ნეილსონის დელიქტური სარჩელი წესრიგდებოდა დელიქტის ადგილის კანონით (lex loci delicti) ე. ი. ჩინური სამართლით. თუმცა, მისმა ადვოკატმა არ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცება ჩინური სამართლის შესახებ, რაც მოწინააღმდეგის წარმომადგენელმა გააკეთა. იგი ცდილობდა დაცვა აეგო 1986 წლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სამოქალაქო სამართლის ზოგად პრინციპებზე,¹⁴ რომლის მიხედვით, ჩინური სარჩელის ხანდაზმულობის ვადა დელიქტისათვის არის ერთი წელი. რაც ბუნებრივია, სარჩელის უარყოფას გამოიწვევდა. 126-ე მუხლი კი, განსაზღვრავდა, რომ „შენობის გამო წარმოშობილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ შენობის მესაკუთრეს, მაკონტროლებელს ან მენეჯერს.“ მოსამართლემ უარყო ჩინურ სამართალს დაფუძნებული დაცვის ეს პოზიცია და განაცხადა: „ჩინეთის სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების 146-ე მუხლი, მე უფლებას მაძლევს გამოვიყენო ავსტრალიური სამართალი, რადგან ორივე მხარე ავსტრალიის მოქალაქენი არიან.“ სასამართლოს მიერ გამოყენებული ამ მუხლის თარგმანში წერია: „უფლებების დარღვევით გამოწვეული ზიანის კომპენსაციისას, გამოყენებულ უნდა იქნას იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ადგილი ჰქონდა დარღვევას. თუ ორივე მხარე არის ერთი და იგივე ქვეყნის წარმომადგენელი ან მუდმივად მცხოვრებნი ერთსა და იმავე ქვეყანაში, ასევე შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას მათი ქვეყნის ან საცხოვრებელი ადგილის სამართალი.“ გამოიყენა რა, ავსტრალიური სამართალი, მოსამართლემ დაასკვნა, რომ OPC-მა დაარღვია სიფრთხილის დაცვის ვალდებულება ბარბარა ნეილსონის მიმართ და დაავალდებულა იგი მიყენებული ზიანისათვის 300.000 დოლარით. ასევე, სასამართლომ OPC-ის დაზღვევაზე პასუხისმგებლობა დააკისრა MMI-ს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. სააპელაციო ინსტანციამ დასძინა, რომ არ უნდა გამოიყენებოდეს renvoi ნორმა საერთაშორისო დელიქტურ სარჩელებში. შესაბამისად, დაასკვნა რომ თავდაპირველ მოსამართლეს უნდა ესარგებლა ჩინური სამართლით და სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გასულად მიეჩნია. ამის შემდგომ ნეილსონმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა ავსტრალიის უზენაეს სასამართლოში. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო ჩინური სამართლის მთლიანად გათვალისწინება, კოლიზიური სამართლებრივი ნორმების ჩათვლით. ამდენად, მან მიიღო უკუმითითება. საპირისპიროს გაკეთება გამოიწვევდა, რომ ავსტრალიურ სასამართლოს შესაძლოა გამოეყენებინა ჩინური სამართალი მაშინ, როცა ეს უკანასკნელი იმავე საქმის განხილვისას, თავად არ გამოიყენებდა საკუთარ სამართალს, რადგან ჩინური კოლიზიური სამართლის ნორმების არჩევანი მიმართავდა მას სხვა იურიდიული სისტემისაკენ.

დასკვნა

სასამართლო პრაქტიკაში წარმოშობილი უკუმითითება, მისი რთული და სპეციფიკური ბუნების გამო იგნორირებულია. კოლიზიონისტები და პრაქტიკოსი იურისტები, ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით უპირველეს საფრთხედ მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მითითებების უსასრულო ციკლს, ანუ მოხდეს თითოეული იურიდიული სისტემის მიერ მეორისაკენ მინიშნება. თუმცა, ამ არგუმენტის მოწინააღმდეგენი არ იზიარებენ მას და ამბობენ, რომ მითითებების შემდგომი სერია ვერ იქნება გრძელი, რადგან შესაძლო კავშირები ნაკლებია და ძირითადად, ორ ან სამ სახელმწიფოს შორის ნაწილდება, რომელთაგან ერთი – სასამართლოს ადგილმდებარეობის ქვეყანაა, რომელმაც საკითხისადმი თავისი კომპეტენცია რომ განაცხადოს, აუცილებლად უნდა დაადასტუროს ფაქტთან რაიმე სახის კავშირი. ძირითადი მიზეზი, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა აღიარებს უკუმითითების გამოყენებას, ისაა, რომ სხვა მითითებისაგან განსხვავებით, ის მოსამართლეებს შესაძლებლობას აძლევს უცხოურის ნაცვლად, საკუთარი ქვეყნის სამართალი გამოიყენონ. ამ ინსტიტუტის მხარდამჭერი მთავარი არგუმენტი კი, ასე ჟღერს – იგი არის საშუალება, რათა დაინტერესებულ ქვეყნებს შორის წარმოიშვას ჰარმონია, ანუ აღსრულდეს იგივე კანონი, ვინც არ უნდა იყოს უფლებამოსილი მოსამართლე. მიუხედავად იმისა, რომ უკუმითითება არაერთგვაროვნად იქნა მიღებული დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ, საბოლოოდ, სახელმწიფოთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღიარა ამ პრინციპის გამოყენების საჭიროება.

შენიშვნები:

- ¹ Ricketson, S. Lindell, G. (1997). Conflict of Laws: Commentary and Materials, p. 379.
- ² Berlingher, R. D. (2013). The Renvoi in Private International Law, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 3, N 1 p. 67.
- ³ Daves, M. April (2006). Renvoi and presumptions about foreign law. Melbourne University law review. p.2
- ⁴ Perrone, P. (2002). aprile, Il problema del rinvio nel diritto internazionale private Diritto&Diritti p.4 <https://www.diritto.it/rinvio-nel-diritto-internazionale-privato/>
- ⁵ იმისთვის, რომ აღსრულდეს იგივე მატერიალური სამართალი, რასაც უცხოელი მოსამართლე მიმართავდა და ამგვარად შეესხას ხორცი სასურველი უნიფორმული ხასიათის გადაწყვეტილებებს, უკუმითიების საკითხში ორი ქვეყნიდან ერთმა, უნდა მიიღოს მეორეს საპირისპირო გადაწყვეტილება. სხვაგვარად აუცილებელია, ერთმა მიიღოს უკუმითიება და მეორემ – არა. Perrone, P. (2002). aprile, Il problema del rinvio nel diritto internazionale privato Diritto&Diritti p. 7.
- ⁶ Lorenzen, E. G. (1918). Renvoi Doctrine in the Conflict of Laws __ Meaning of "The law of a Country," faculty Scholarship Series. p. 520, 521, http://digitalcommons.law.yale.edu/fss_papers/4564
- ⁷ Dicey and Morris on The Conflict of Laws (1987). Eleventh Edition, volume 1, London, STEVENS & SONS LIMITED p. 78.
- ⁸ John O' Brien (1999). Conflict of Laws, Second Edition, London, p. 10.
- ⁹ Scott, A.W. (1979). Private International Law, Second Edition, MACDONALD and EVANS p. 40.
- ¹⁰ Scott, A.W. (1979). Private International Law, Second Edition, MACDONALD and EVANS p. 41.
- ¹¹ Berlinger, R.D. (2013). January, The Renvoi in Private International Law, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 3, No.1, p. 67 Lorenzen, Ernest G. (1910). The "Renvoi" Theory and the Application of Foreign Law. I. "Renvoi" in General. Columbia Law Review Vol. 10, No.3, p.191-193, www.jstor.com
- ¹² Sauveplanne, J. G. (1990). Private International Law, Vol III, Renvoi Chapter 6, International Encyclopedia of Comparative Law p. 15,16.
- ¹³ Neilson v Overseas Projects Corporation Of Victoria LTD 2005. Gray, Anthony (2007). The rise of Renvoi in Australia: creating the theoretical framework. University of New South Wales Law Journal, 30 (1). https://eprints.usq.edu.au/2516/1/Gray_Renvoi.pdf
Daves, M. (2006). April, Renvoi and presumptions about foreign law, Melbourne University law review. Mccomish, J. (2007). Pleading and proving foreign law in Australia, Melbourne University Law Review.
- ¹⁴ Article 136 of the General Principles of Civil Law of the People's Republic of China, China Legislative Information Network System, http://www.chinalaw.gov.cn/jsp/jalor_en/disptext.jsp?recno=1&&ttlrec=1

THE PRINCIPLE OF REFERENCE BACK IN FOREIGN JUDICIAL PRACTICE

TAMAR MSKHVILIDZE
Eastern European University
PhD student of the faculty of law

Application of reference back allows a judge to apply his/her own legislation instead of the foreign one. In spite of the inconsistent adoption of the reference back by the court practice, the collision laws of the overwhelming majority of states have finally recognized the need to apply this principle.

Judges and lawyers may have an intense contact with international competence and the principles of collision law. They may not be well aware of the essence of the solution to a specific cases. The article will help practicing lawyers to better understand this issue.

Collisionists and practicing lawyers consider that the primary danger of reference back is that the cycle of reference back might become infinite. In other words, each legal system may refer back to the other. However, opponents of this argument disagree and say that the next set of reference cannot be long. As the possible links are few and mainly divided between two or three states, one of which is the country of location of the court, which, in order to declare its jurisdiction over the matter, it must necessarily prove the connection with the fact. The main reason why the laws of different countries recognize the use of reference back is that, unlike any other reference, it gives judges the opportunity to apply their national law instead of the foreign one.

კანონის ენის ზოგიერთი საკითხის შესახებ

ნინო ძიძიგური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის დოქტორანტი, ფილოლოგიის დოქტორი

შესავალი

საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, ერთდროულად წარმოიშვა სახელმწიფო და სამართალი. ეს ორი ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენა ისტორიულად, თავისი წარმოშობის მიზეზებით, შინაარსით და დანიშნულებით, განუყოფლადაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

სახელმწიფო განსაკუთრებული წესით მოწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციაა, ხოლო სამართალს ის სავალდებულო ქცევის ნორმები შეადგენენ, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ.

ტრადიციულად, სახელმწიფო სამართლის სისტემა იყოფა ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად – სამართლის დარგებად და იურიდიულ ინსტიტუტებად. თანამედროვე სამართლის სისტემის წამყვანი და უმნიშვნელოვანესი დარგია სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი, ვინაიდან მისი შემადგენელი ნორმები არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვან და ფართო სფეროს – სახელმწიფოსამართლებრივ ურთიერთობებს და უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან. საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგუ-

ლირების ფართო სპექტრით აიხსნება ის ფაქტი, რომ სახელმწიფო სამართლის ნორმები აისახება პირველ ყოვლისა, ქვეყნის ძირითად კანონში – კონსტიტუციაში და ხშირად, სახელმწიფო სამართალს კონსტიტუციურ სამართალსაც უწოდებენ. მაშასადამე, სახელმწიფო სამართლის ძირითადი წყარო სწორედ კონსტიტუციაა.

როგორც ცნობილია, ყოველი ქვეყნის სამართლისათვის დამახასიათებელია სამართლის საკუთარი სისტემა, მიუხედავად იმისა, განვითარების რა საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის სახელმწიფო, როგორია მისი სამართლის წყაროები, რამდენად დამუშავებულია სამართლის ნორმები და სრულყოფილია მათი გამოხატულების ფორმა.

I. სამართალი და ენა

ურთიერთკავშირი სამართალსა და ენას შორის აქტიური განსჯის საგანია თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა კავშირია სამართალსა და ენას შორის და რა ზოგადი კანონზომიერებები ახასიათებს ამ კავშირს.

არსებული ურთიერთკავშირის განხილვისას გამოყოფენ პრობლემის განსხვავებულ დონეებსა და ასპექტებს. ესენია: ურთიერთობა სამართლის ენასა და სამართლებრივ კულტურას შორის, სამართლის ენობრივი სტილი, კავშირი სამართლის ენასა და ბუნებრივ ენას შორის, განსხვავება კანონის ენასა და სამართლის ენას შორის; ნორმატიული აქტების ენობრივი ფორმით გამოხატვის, ფორმულირების პრობლემა; სამართლის ენის ფორმალიზების პრობლემა (მონაცემთა ელექტრონული დამუშავების საკითხი) და სხვ.

იურიდიულ მეცნიერებასა და ენათმეცნიერებას შორის ურთიერთობა განეკუთვნება მარგინალურ პრობლემათა რიცხვს, რაც განპირობებულია საკანონმდებლო ფორმულირებისა და იურიდიული ტექსტების ენობრივი გამოხატვის სირთულეებით. მართალია, აღნიშნულ მეცნიერებებს ახასიათებთ გარკვეული ერთიანობა, მაგრამ საკითხთან დაკავშირებით, მათი განვითარება სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა, რომლის საფუძველიცაა მათი შესწავლის ობიექტი, ვინაიდან ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტია ენის სტრუქტურა, ხოლო სამართლის მეცნიერება შეისწავლის სამართლის სტრუქტურას.¹

სამართლის სტრუქტურა უნდა განვიხილოთ სამართლის ნორმათა, სამართლებრივ მოთხოვნათა ურთიერთდამაკავშირებელ კომპლექსად, რომლებიც აფუძნებენ სამართლებრივ ურთიერთობას. მაშასადამე, იგი არის ენობრივად ფიქსირებული რეგულირების წესი, რომელიც აგვარებს ადამიანთა შორის ურთიერთობას. ეს წესები ფორმულირებულია ნორმატიული წინადადებებით და ბუნებრივია, ენის სრულყოფა არის წინაპირობა იმისა, რომ შესაძლებელია ცხოვრების ყველა სასურველი სფეროს, ყველა ურთიერთობის ნორმატიული წინადადებებით რეგულირება.

II. კანონის ენა

ზოგადად, კანონის ენა და სტილი კანონმდებლობის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო „ახალგაზრდა“ მიმართულებაა თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში. კანონშემოქმედებითი პრობლემები დღესდღეობით, სერიოზული კვლევის საგანია იურისტთა სამეცნიერო წრეებში. გასული საუკუნის 70-იანი წლებამდე იურიდიული მეცნიერება არსებითად იყო სამართლის შეფარდების დოგმატიკა, რომელიც უკვე არსებული „მზა“ კანონების ფორმალურ იურიდიულ ანალიზზე იყო ორიენტირებული. რაც შეეხება საკანონმდებლო ტექნიკის, კანონთა შემუშავების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, იგი შედარებით ჩრდილში იყო მოქცეული.² სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს განვითარებას კანონმდებლობის თეორია, რომლის საგნად მიჩნეულია არა მარტო სამართლის ნორმები, არამედ ის სოციალური რეალობაც, რომლითაც დეტერმინირებულია კანონი და ამავდროულად, რომლის რეგულირებასაც ისახავს იგი მიზნად. იგი, როგორც შედარებით ახალი მეცნიერება, ერთგვარი კორელაცია მართვის შესახებ თეორიისა და სამართალშემოქმედების თეორიისა. იგი ძალიან პრაქტიკული გახდა – უკვე არ ესწრაფვის „იდეალურ“ კანონს, ცდილობს „შედარებით კარგი“ კანონის ჩამოყალიბება უზრუნველყოს „წარმატებული“ კანონის ფორმით. აქედან გამომდინარე, ამ მეცნიერების დარგის ღირებულება ჩანს არა იმდენად მის თეორიულ დებულებებში, რამდენადაც სინამდვილის ნორმატიული მოწესრიგების პრაქტიკულ შედეგებში.

კანონის შინაარსის ოპტიმალური ფორმულირების საკითხებს სწორედ საკანონმდებლო ტექნიკა წყვეტს, რომელიც შეეხება კანონთა ჩამოყალიბების შედარებით სტატიკურ და მყარ კომპონენტებს და რომლის ხარისხის კრიტერიუმადაც მიჩნეულია ნორმათა თვალსაჩინოება. ნორმის თვალსაჩინოების ელემენტებია:

- ეკონომიურობის პრინციპი, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რამდენად აუცილებელია ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება;
- სისტემური წესრიგი;
- გამოქვეყნების, კანონის ტექსტის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპი.

საკანონმდებლო ტექნიკის ელემენტებს მიეკუთვნება:

1. მათი შინაარსის, მოცულობის, მნიშვნელობის, მოქმედების ძალის მიუხედავად, გარეგანი გამოვლენის ფორმის გარკვეული ერთიანობა. ეს არის სათაური, შესავალი, პრეამბულა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა;
2. კანონი უნდა იყოს დასრულებული სისტემა, ახასიათებდეს ლოგიკური, ტელელოგიური თანმიმდევრულობა და წინააღმდეგობების არარსებობა. რაც შეეხება კანონის გარეგან სისტემატურობას, აქ მხედველობაში აქვთ კანონის ტექსტში მოცემული დებულებების ვიზუალურად თვალსაჩინო დაყოფა და კანონის სტრუქტურა.
3. კანონთა ენობრივი ფორმის სრულყოფა.

ზოგადად, სამართლის ენა ერთ-ერთი მაღალგანვითარებული დარგობრივი ენაა, სადაც შეიძლება გამოიყოს შემდეგი ენობრივი დონეები, ფენები:

1. კანონის ენა;
2. მეცნიერული (სარეცენზიო) ენა;
3. განაჩენისა და გადაწყვეტილების ენა;
4. მოხელეთა ენა.³

როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში აქცენტი უპირველეს ყოვლისა, გაკეთებულია კანონის ენაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ის კანონზომიერებები, რომლებიც მოქმედებენ დარგობრივი ენისა და საერთოდ ენის ურთიერთკავშირის პროცესში.

კანონის ენა არის ავთენტიკური, რამდენადაც მასში გამოხატულია კანონმდებლის ნება. ასევე, იგი შეუცვლელია, რადგან დაუშვებელია კანონში გამოყენებული სიტყვის შეცვლა, თუნდაც ამრიგად იცვლებოდეს. კანონში გამოყენებული სიტყვა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ყველა ფორმალური წესის დაცვით მიღებული ახალი კანონით. ამ კუთხით, მწვავე პრობლემაა კანონის ტექსტის გაგების საკითხი, რომელიც მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამ სირთულეთა გათვალისწინებით, პრობლემის გადაჭრის იდეალური გზა არ არსებობს. ერთადერთი გამოსავალია მოინახოს კომპრომისული ფორმულა, რომლისთვისაც ამოსავალი პრინციპი იქნებოდა არა ის, რომ კანონის ტექსტი გასაგები უნდა იყოს ყველასათვის, არამედ ის, რომ კანონის ტექსტი მაქსიმალურად ადეკვატურად უნდა ასახავდეს სოციალური სინამდვილის კანონზომიერებებს, ხოლო მასში მოცემული ქცევის წესი უნდა ჩამოყალიბდეს გარკვეულად, ზუსტად, არაორაზროვნად, ანუ როგორც პროფესორი პაული აღნიშნავს, კანონის ტექსტში უნდა იყოს რამდენიც საჭიროა, იმდენივე სამართლებრივი სინამდვილე და ტექსტი იმდენად გასაგები, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

კანონის ენის გაუმჯობესება უნდა ხდებოდეს არა ყოფით ენასთან დაახლოებით, არამედ უნდა ხორციელდებოდეს სიზუსტისა და გაგების ურთიერთდაახლოების მიმართულებით.⁴ აქვე აღსანიშნავია, როდესაც საქმე ეხება ტექსტის თარგმნა-დამუშავებას, რომელიც მოითხოვს ამრის ზუსტად გადმოსაცემ ცნებათა დიფერენცირებისათვის საჭირო სპეციალურ ტერმინთა შესატყვისების პოვნასა და წარმოებას, რის შედეგადაც ყალიბდება მეცნიერული ტერმინოლოგია, ხდება მისი სისტემაში მოყვანა და მეცნიერული ენის შექმნა.

ყოველი ენის განვითარების გზაზე სხვა ენებთან კონტაქტისას ხდება ერთი ენიდან სიტყვათა, ცალკეულ გამოთქმათა მეორე ენაში შეღწევა. ზოგჯერ ამგვარი მოვლენა იწვევს ენის თავისთავადობის ცვლილებას, ბუნებრივი სიტყვებისა და გამოთქმების შეზღუდვას. ამ ტიპის ცვლილებანი მძიმე ტვირთად აწვება ენას, რის გამოც ეს უკანასკნელი მათგან გათავისუფლებას საჭიროებს. ენის სიწმინდის დაცვა – ეს არის დამკვიდრებული სალიტერატურო ენის ნორმის დაცვა, მისი წესების, მართებული სიტყვების და გამოთქმების შესაბამისად ხმარება, ბუნებრივი წარმოთქმების გამოყენება.⁵

ზოგადად, კანონის ენაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყურადღების გამახვილება კონსტიტუციაზე, რადგან იგი თითოეული ქვეყნის ძირითადი კანონია და ზოგადად, სამართლის უმთავრესი წყაროა, რადგან მისი შინაარსი ყოველ ქვეყანაში საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების, ადამიანთა ურთიერთობების მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი და უზოგადესი ნორმებისაგან შედგება. ე. ი. კონსტიტუცია იურიდიული ბაზაა მიმდინარე კანონმდებლობისათვის ისევე, როგორც ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიღებისათვის. ამიტომაც, კანონშემოქმედების სავალდებულო მოთხოვნები ძირითად კანონთან მიმართებაში იძენენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მართლაც, თუ კონსტიტუციაში ესა თუ ის ცნება აღნიშნულია ერთი განსაზღვრული ტერმინით, მაშინ მთლიანად კანონმდებლობა შესაბამის შემთხვევაში, ზუსტად იგივე ტერმინს უნდა იყენებდეს და თავს არიდებდეს სხვა სინონიმების გამოყენებას, რათა კანონმდებელმა ზუსტად გაარკვიოს ერთი და იგივე ცნებასთან აქვს საქმე, თუ განსხვავებულთან.

ცალკეული ქვეყნის პრაქტიკაში, კონსტიტუციის ენის და სტილის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავებები გვაქვს.

რომაული სამართლის სისტემის მქონე ევროპული ქვეყნების კონსტიტუციებში შეიმჩნევა საყოველთაო სიტყვახმარებისა და შედარებით მარტივი ფორმულირების ტენდენცია. იგივე შეიძლება ითქვას „სოციალისტური“ კონსტიტუციების უმრავლესობაზე. თუმცა, ხანდახან მათი მისწრაფება მარტივი და გასაგები ტექსტისკენ, ასევე მისი გადამეტებული პოლიტიზირება, ზიანს აყენებს შესაბამისი ცნების იურიდიული სიზუსტით აღნიშვნას.

გერმანული სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების კონსტიტუციებისათვის დამახასიათებელია კონსტიტუციის ტექსტის შიგადაშიგ გართულება, ამასთან ისინი თუმცა, გარკვეულ სიძნელეს ქმნიან მოუზადებელი მკითხველისათვის, სამაგიეროდ უზრუნველყოფენ მაღალ იურიდიულ სიზუსტეს.

ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის მქონე მრავალი ქვეყნის კონსტიტუციები განსაკუთრებით რთული აღსაქმელია. ამის მიზეზია, არა მარტო ის, რომ აღნიშნული სისტემა შეიცავს მრავალ ინსტიტუტს, რომელთაც არ გააჩნიათ ანალოგი ევროპის კონტინენტურ სამართალში, არამედ სპეციფიკური სტილისტიკაც.⁶

კონსტიტუციური ტექსტის სტილი, ძირითადად, მკაცრად დოკუმენტურია თუმცა, ზოგ შემთხვევაში (პრემბულა, ქარტია, უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ დეკლარაციები), გამოიყენება ე. წ. მაღალფარდოვანი სტილი, რომელიც მოწოდებულია გამოიწვიოს განსაკუთრებული ემოციური ზემოქმედება.

ანგლოსაქსური და რომაული სამართლებრივი სისტემის მქონე მრავალი ქვეყნის კონსტიტუციისათვის, ნორმების ფორმულირებისას, დამახასიათებელია მომავალი დროის გამოყენება. ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის აქტებში შესამჩნევია რეგულირების დეტალიზაცია, რაც უზრუნველყოფს

შესაბამისი სამართლებრივი ნორმების საჭირო სიზუსტით განმარტებას.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის მიუხედავად, თუ როგორაა განმარტებული სამართლის ცნება, იურისპრუდენცია ყოველთვის იკვლევს სამართლის ენობრივ გამოხატულებას, ანუ ახდენს როგორც კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების ტექსტის, ასევე სამართლის შეფარდების აქტების ანალიზს. ზოგადად, XIX საუკუნის ევროპაში (განსაკუთრებით, დიდ ბრიტანეთში), სამართლის ტექსტების ფორმალური ანალიზის ტრადიცია ანალიტიკურმა იურისპრუდენციამ საგრძნობლად განავითარა. მე-20 საუკუნის დასაწყისში კი, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, როდესაც იურიდიული ფორმალიზმის საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა და განვითარდა სამართლის რეალისტური სკოლა, მოხდა კლასიკური გერმანული ფილოსოფიისკენ და ბუნებითი სამართლისკენ შემობრუნება. მიუხედავად ანალიტიკური იურისპრუდენციისა და სამართლის წმინდა თეორიის გავლენისა, სამართლის მეცნიერების განვითარებაზე ემპირიული, სოციალური მეცნიერების გავლენა სულ უფრო მზარდი ხდებოდა და დღესდღეობით, საინტერესოა საკითხი – თუ როგორ აყალიბებს ენა სამართალს.

სამართალი არის სამყარო და როგორც სხვა დანარჩენი სამყარო – არ არსებობს ენისაგან დამოუკიდებლად (ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი).

დაბოლოს, სამართალი ცხოვრობს სიტყვაში და სიტყვის მეშვეობით. სამართლის ჩამოყალიბება-განვითარება მიმდინარეობს ენის საშუალებით. ყველა მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნა გადმოცემულია ენობრივი ფორმით და სადავო სიტუაციების ყველა გადაწყვეტა ასევე, მოითხოვს ენობრივ ფორმას, ანუ ის, რაც არ შეიძლება გამოითქვას, ვერ მოწესრიგდება. დაწერილი სამართალი გამოხატულია განსაზღვრული ტექსტით. ამასთან, წერილობითი ფორმა აუცილებელია სამართლის ობიექტივიზაციისათვის, მოქმედი სამართლის თვალსაჩინოებისათვის, სამართლის ფორმის ხელმისაწვდომობისათვის, არსებული ფორმების უფრო თავისუფლად გამოყენებისათვის.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: როგორ იქმნება კანონი, ხუბუა გ., კანონმდებლობის თეორია, მეთოდისა და საკანონმდებლო ტექნიკა, თბ., 2000, გვ. 219–220.
- ² იხ.: როგორ იქმნება კანონი, ხუბუა გ., კანონმდებლობის თეორია, მეთოდისა და საკანონმდებლო ტექნიკა, თბ., 2000, გვ. 203.
- ³ იქვე, გვ. 227.
- ⁴ იქვე, გვ. 233.
- ⁵ იქვე, მეტრეველი ნ., კანონი და ენათმეცნიერება, გვ. 239.
- ⁶ Конституционное (Государственное) право зарубежных стран, Общая часть, М., 1996.



REGARDING SEVERAL ISSUES OF THE LANGUAGE OF LEGISLATION

NINO DZIDZIGURI

*Doctoral Student of the Faculty of Humanities and Social Sciences of Georgian
Technical University
Doctor of Philology*

At a certain stage of the development of society, state and law emerged simultaneously. These two the most complicated public events have historically been inextricably linked with their causes, content and purpose.


State is political organization established by the particular rules, while the law is a set of mandatory code of conducts, performance of which is ensured by the state.

Traditionally, the state law system has been divided into separate constituent parts – the fields of law and legal institutions. The leading and most important branch of the modern justice system is a state (constitutional) law, as its constituents regulate the diverse and broad field of public relations – state–legal relations and are directly linked to the exercise of state authority. The wide range of regulation of public relations can explain the fact, that the norms of state law are reflected first and foremost in the country's basic law – the constitution; and state law is often referred to as a constitutional law. Therefore, the constitution is the main source of the state law.

As it is known, legislation of each country is characterized by its own system of law, regardless of the stage of development of a particular state, its sources of law, the extent to which the legal norms are elaborated and how perfect the form of their manifestation is.

In general, the language and style of legislation is one of the "youngest" directions in the theory of law in modern legal literature. Nowadays, law-making problems are subject of serious research in the scientific circles of lawyers. Until now, legal science has been essentially dogmatics of correlation of law which has been focused on formal legal analysis of existing "ready" laws. As for the relationship between legislative techniques and the law-making process, it has been relatively shady.

პროფესორ გიორგი გოგიაშვილის სახელმძღვანელოზე „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“



ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესია წიგნის გამოცემა როგორც ეროვნული იურიდიული ლიტერატურის გამდიდრების, ისე ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. ახალი სახელმძღვანელოს გამოცემა კიდევ უფრო აქტუალურია, როცა საქმე ეხება შედარებით სამართალს, სადაც აშკარაა ქართულ ენაზე შექმნილი ნაშრომების სიმწირე. ასევეა შედარებითი კონსტიტუციური სამართლის სფეროც, სადაც ქართულენოვანი იურიდიული ლიტერატურა სიმდიდრით არ გამოირჩევა. ბოლო წლების საკანონმდებლო ცვლილებები და თანამედროვე გამოწვევები ახალ მოთხოვნებს უყენებს ნაშრომებს. ამ თვალსაზრისით, სტუდენტი ახალგაზრდობისა და მეცნიერ-მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროფესორ გიორგი გოგიაშვილის სახელმძღვანელოს გამოცემა შედარებით კონსტიტუციურ სამართალში.

უპირველეს ყოვლისა, მართალია, ვარ კერძო სამართლის სპეციალისტი და ნაკლებად კომპეტენტური კონსტიტუციურ სამართალში თუმცა, შეძლებისდაგვარად ვინტერესდები ხოლმე კონსტიტუციურ-სამართლებრივი კვლევებით, ვინაიდან კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლებები გამოიყენება სამოქალაქო სამართალშიც. ამ გაგებით, საინტერესოა ნაშრომები, რომლებიც ეხება იმას, თუ როგორ მოქმედებს ძირითადი უფლებები კერძო სამართალში – პირდაპირი თუ ირიბი ფორმით. შემიძლია ჩემი, როგორც კერძო სამართლის სპეციალისტის, შეხედულებები გაგიზიაროთ.

1. დასაწყისში მიზანშეწონილია, ორიოდ სიტყვით აღინიშნოს უშუალოდ ავტორის შესახებ, ვინაიდან ეს, თავის მხრივ, ღირებული ნაშრომის შექმნის აუცილებელი წინაპირობაა. ავტორის საქმიანობა შეიძლება გაიყოს ორ მიმართულებად:
 - ა. უპირველესად, აღსანიშნავია ბატონი გიორგი გოგიაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი, როგორც კონსტიტუციონალისტის, სამეცნიერო ბიოგრაფია მდიდარია. მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ურთულეს თემაზე – „ფედერალიზმის ცნება და არსი.“ მოგვიანებით კი, გამოსცა ნაშრომები „შედარებითი ფედერალიზმი“, „სამოსამართლო სამართალი“, „შედარებითი კონსტიტუციონალიზმი“ და სხვა. რაც შეეხება მის პედაგოგიურ საქმიანობას, ის ათ წელზე მეტია, კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ეს ერთიორად ზრდის კიდევ მის ნაშრომთა ღირებულებას. ფაქტობრივად, ბატონი გიორგის ინტელექტუალური საქმიანობის ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს შედარებით კონსტიტუციურ სამართალში ამ სახელმძღვანელოს გამოცემა.
 - ბ. არანაკლებ საყურადღებოა ბატონი გიორგი გოგიაშვილის სამოსამართლო საქმიანობა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ფაქტობრივად, პრაქტიკული გამოცდილება ეხმარება მას, ნაშრომში თვალსაჩინოდ ასახოს პრობლემათა პრაქტიკული მხარე და სამოსამართლო სამართლის ძირითადი საფუძვლები. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, ვინაიდან სარეცენზიო სახელმძღვანელო შექმნა სწორედ უშუალოდ კონსტიტუციურ სამართალში ჩახედულმა მკვლევარმა, რაც ნაშრომის ღირებულებასაც განაპირობებს.
2. რაც შეეხება უშუალოდ ნაშრომს, აღსანიშნავია, რომ ქართული იურიდიული საზოგადოება არაა შედარებითსამართლებრივი კვლევებით განებივრებული. საქმე ისაა, რომ ერთია ეროვნული კანონმდებლობის შესწავლის საფუძველზე ნაშრომის შექმნა, ხოლო მეორეა შედარებითსამართლებრივი კვლევის, კერძოდ სახელმძღვანელოს მომზადება, რომელიც შიდაეროვნულთან შედარებით, მრავალკომპონენტთან პროცესს მოიაზრებს.

ავტორს სწორედ შედარებითი მეთოდი აქვს გამოყენებული კონსტიტუციურ სამართალში სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემის განსახილველად. როგორც ცნობილია, შედარებითი მეთოდის ძირითადი მოთხოვნაა, დადგინდეს სახელმწიფოთა კანონმდებლობების, სამართლებრივი ცნებების, მოვლენებისა და პროცესების შესწავლის შედეგად, მათ შორის განმასხვავებელი თუ საერთო წერტილები. ცხადია, შესადარებელი ობიექტებიც უნდა იყოს დადარებადი ხარისხის, მოცულობის, შინაარსისა და ნიშნების მიხედვით.¹

აქედან გამომდინარე, შედარებით სამართალს აქვს რამდენიმე ფუნქცია, რომელთაგან აღსანიშნავია ეროვნული სამართლის საფუძვლების შესწავლა.² სწორედ საკუთარი სამართლის ღრმა ცოდნა

¹ Бабаева В. К., Баранов В. М., Витрук Я. В., Исаков В. Б. и др., Теория государства и права: Учебник, Под ред. Бабаева В.К., М., 2003, 21-22.

² Gottwold P., Comparative Civil Procedure, Ritsumeikan Law Review, No 22, 2005, 24.

შეიძლება ჩაითვალოს მისი სხვა ქვეყნების სამართალთან ადვილად შედარების წინაპირობად.³ აღნიშნული იმას ცხადყოფს, რომ შედარებითი სამართალი ემსახურება ეროვნული სამართლის უკეთესად გაგებას. ის გვეხმარება სხვა ქვეყნების მსოფლმხედველობათა შესწავლაში, ურთიერთობების მოწესრიგებაში ჰარმონიული თანაარსებობის გზით, რაც თანამედროვე ცივილიზაციის არსებობისა და პროგრესის წინაპირობაა. ასევე, შედარებითი სამართლის ფუნქციებიდან თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს კანონების გაუმჯობესება და სამართლის უნიფიკაცია. სახელდობრ, შედარებითი სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა როგორც ჰარმონიის ძიება, ისე უნიფიკაცია.⁴

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყოს შედარებითი სამართლის ოთხი ძირითადი ფუნქცია:

1. მართლშეგნების ამაღლება და სამართლებრივი ცოდნისა თუ თვალსაწიერის გაფართოება;
2. ისეთი საფუძველგანმსაზღვრელი პრინციპების მოძიება, რომელთა დახმარებით შეიძლება საკუთარი სამართლის ღრმად გაგება, ზოგჯერ კი – ეროვნული მიდგომების გაუმჯობესების მიღწევაც. შედარებითი სამართლის ამოცანაა უკეთესი ცოდნის ძიება. შესაბამისად, შედარებითი კვლევებიც მიმართულია იქითკენ, რომ შემუშავდეს ერთგვაროვანი მიდგომები მოქმედი კანონმდებლობების განმარტების მიმართ, მათ შორის ეროვნულ სასამართლოებში;
3. საკუთარი ეროვნული სამართლებრივი სისტემის რეფორმირება და დახვეწა-გაუმჯობესება;
4. ტრანსნაციონალური უნიფიკაცია ან სამართლის ჰარმონიზაცია, კერძოდ, მოდელური კოდექსების შექმნით.⁵

აქედან გამომდინარე, შედარებითსამართლებრივი სახელმძღვანელოების შექმნა მრავალასპექტიანი პროცესია. ეროვნული სამართლის კვლევისაგან განსხვავებით, შედარებითსამართლებრივი ნაშრომი უკავშირდება უფრო მეტ კომპონენტს, რომლებსაც ფართო დატვირთვა აქვთ. საქმე ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია, გარდა ნაციონალური სამართლის კარგად ცოდნისა, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მაგალითებით მსჯელობა და მათ სამართალთან შედარების გზით ახალი შედეგის – დასკვნის – წარმოდგენა, რაც უდავოდ საინტერესო უნდა იყოს როგორც თეორეტიკოსი, ისე პრაქტიკოსი იურისტებისთვის.

დასაწყისშივე, პროფესორმა გიორგი გოგიაშვილმა ნაშრომში წარმოაჩინა კონსტიტუციური იდეის განვითარების სხვადასხვა თავისებურება, კონსტიტუციის გამოყენების ძირითადი ეტაპები, მმართ-

³ David R., John E. C. Brierley, Major legal systems in the world today, An Introduction to the Comparative Study of Law, 2. edition, New York, 1978, 16.

⁴ დავიდი რ., თანამედროვე ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსულიდან თარგმნა თ. ნინიძემ, თბ., 1993, 22-25.

⁵ Gottwold P., Comparative Civil Procedure, Ritsumeikan Law Review, No 22, 2005, 23-24.

ველობის მოდელები, საპარლამენტო სამართალი, სახელმწიფო ენა და ეთნიკური უმცირესობები, ფედერალიზმის კონცეფცია და სხვა. მმართველობის მოდელების ფარგლებში, პირველ ყოვლისა, ავტორმა გამოკვეთა საპარლამენტო რესპუბლიკის სპეციფიკა, შემდეგ კი – საპარლამენტო რესპუბლიკისა და შერეული მოდელების ძირითადი საფუძვლები. აქვე საგანგებოდ გაანალიზებულია საქართველოს მოდელი. რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის სისტემებს, პრობლემის არსი წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითების მიხედვით.

არანაკლებ საინტერესოა სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც ეხება კონსტიტუციისა და სამოქალაქო სამართლის ურთიერთდამოკიდებულებას, ანუ თუ როგორია კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლებების მოქმედება კერძო სამართალში. ამ კუთხით, დასადგენია ძირითადი უფლებების სფეროს განხორციელების პრობლემები: რამდენად უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფო ძირითადი უფლებების რეალიზაციას კერძო სამართალში? მოიცავს თუ არა კონსტიტუცია კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს? ეს კითხვები კიდევ უფრო აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კერძო ავტონომიაზე ვრცელდება კერძო სამართლის წესები, ანუ „კერძო სამართლის სფეროში პირადი არჩევანის თავისუფლება მეფობს.“⁶

უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) ღირებულებითი წესრიგის საზომად ასახელებს საქართველოს კონსტიტუციას (სსკ-ის მე-2 მუხლი), რომელიც განსაზღვრავს კერძო სამართლის განვითარებისთვის აუცილებელ ფარგლებს. ძირითადი უფლებების მოშვესრებიელი ნორმა არეგულირებს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ურთიერთობას, ხოლო კერძოსამართლებრივი უფლება გამოიყენება კერძო პირებს შორის ურთიერთობაში. ამასთან, ძირითადი უფლებების ერთ-ერთი ადრესატი ყოველთვის სახელმწიფოა, რომელსაც ევალება აღნიშნული ძირითადი უფლების დაცვა. ამის დაკისრება კერძო პირისთვის გაუმართლებელი იქნებოდა, ვინაიდან ის არაა აღჭურვილი სახელმწიფოს საჯარო უფლებამოსილებით. რაც შეეხება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, აქ კერძო უფლების ადრესატი არის კერძო პირი;⁷ შესაბამისად, ძირითადი უფლებების მიზანია, შებოჭოს საჯარო ხელისუფლება ინდივიდის უფლებების უზრუნველსაყოფად.⁸

ამასთან, არის გამონაკლისებიც, როცა კონსტიტუციით დაცული უფლებები მოქმედებს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებშიც. თუმცა, ეს ზემოქმედება ატარებს ევენტუალურ (და არა უშუალო) ხასიათს. ავტორი ნათლად გამოკვეთს, რომ ინდივიდის უფლებები დაცულია სახელმწიფო ხელისუფლებისაგან (და არა კერძო პირებისგან). შესაბამისად, კონსტიტუციურ უფლებებს არ აქვთ პირდაპირი (ჰორი-

⁶ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მთარგმნელი მაისურაძე მ., თბ., 2003, 334-337.

⁷ იხ.: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 82-84.

⁸ იხ.: Phirtskhalashvili A., Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, Berlin, 2010, 46-52.

ზონტალური) მოქმედების ძალა. ასევე, სარეცენზიო სახელმძღვანელოს ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ იძლევა პირდაპირ პასუხს სამოქალაქო სამართალში ძირითადი უფლებების მოქმედების თავისებურებების შესახებ. თუმცა, აქვე სამართლიანად დასძენს, რომ თავისუფლებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, რაც უნდა გაითვალისწინოს როგორც სასამართლო სამართლის განმარტების სტადიაზე, ისე კანონმდებელმაც კერძო სამართლის ნორმების დადგენისას.⁹

ამავე დროს, ნაშრომში ცალ-ცალკე კარშია განხილული შემდეგი საკითხები: სახელმწიფო ენა და ეთნიკური უმცირესობები, სამართლის განსაზღვრულობის პრობლემა ინგლისურ და კონტინენტურ სისტემებში, მოსამართლე და კანონი. მათი აქტუალობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კონსტიტუციური სამართლით, ისინი საინტერესოა სხვა სფეროებისთვისაც, როგორცაა: სამართლის თეორია, სამართლის ფილოსოფია, სამოსამართლო სამართალი. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან შედარებით სამართალს მჭიდრო კავშირი აქვს სამართლის ისტორიასთან, სამართლის სოციოლოგიასთან, სამართლის ფილოსოფიასთან.¹⁰ ამდენად, ბ-ნი გიორგის ნაშრომი არაა მხოლოდ კონსტიტუციური სამართლის სფეროთი შეზღუდული და შეიძლება საინტერესო გახდეს სამართლის სოციოლოგიების, ფილოსოფოსებისა თუ სხვა სფეროს წარმომადგენელთათვისაც.

დასასრულს, ქართული იურიდიული ლიტერატურა, განსაკუთრებით შედარებითსამართლებრივი კვლევები, ძალიან მწირია. მახსენდება რამდენიმე ნაშრომი შედარებითი სამართლის სფეროში: 2000-2001 წლებში გამოიცა ცვაიგერტისა და კოტცის ორტომეულის ქართულენოვანი თარგმანი სახელწოდებით „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, 1999 წელს, ჟან პრადელის „შედარებითი სისხლის სამართალი“, 2016 წელს, მარკ ტაშნეტის „შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები.“ ახლა გამოიცა ბ-ნი გიორგი გოგიაშვილის ავტორობით სახელმძღვანელო „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“. ვფიქრობ, ეს როგორც ფაქტი, მოვლენა, უმნიშვნელოვანესია საზოგადოებისთვის და ქართული იურიდიული ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ვულოცავ ამ წარმატებას საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, გიორგი გოგიაშვილს ასევე, ვუსურვებ მისთვის ჩვეული მეცნიერული წიაღსვლებით დატვირთულ კვლევებსა და შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო ასპარეზზე.

მიხეილ ბიჭია

*სამართლის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თსუ-ის მოწვეული ლექტორი, ადვოკატი*

⁹ დაწვრ. იხ.: გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2019, 126-130.

¹⁰ David R., John E. C. Brierley, Major legal systems in the world today, An Introduction to the Comparative Study of Law, 2. edition, New York, 1978, 4-16.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90, +995 599 51 97 36

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01



9 773312 59002